აღვსდგეთ მსახურებისათვის

რუჰის ინსტიტუტი

წიგნი 2

აღვსდგეთ
მსახურებისათვის

რუჰის ინსტიტუტი

წიგნები ნაწილიდან:

ქვემოთ მოყვანილია მასალათა ჩამონათვალი, მომზადებული რუჰის ინსტიტუტის მიერ. ეს წიგნები მომზადებულია კურსთა ძირითადი თანმიმდევრობისათვის, დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სახით ახალგაზრდებისა და უფროსებისთვის და მიმართულია მსახურების უნარის ზრდისკენ. რუჰის ინსტიტუტი ასევე შეიმუშავებს დამატებით კურსთა სერიას მესამე წიგნის განშტოების სახით, ბაჰაი ბავშვთა კლასების მასწავლებელთა მომზადებისათვის, ასევე მეორე კურსთა სერია მე-5 წიგნიდან მოზარდთა ჯგუფების წამყვანების აღზრდისთვის, რაზეც ასევე მითითებულია ჩამონათვალში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალი თანდათან გაიზრდება, ადგილებზე გამოცდილების მიღების მიხედვით და მასში დამატებული იქნება პროგრამის ახალი ელემენტები, როდესაც მასალები, რომლებიც იმყოფება შემუშავების სტადიაზე, მოწოდებული იქნება საყოველთაო გამოყენებისთვის.

წიგნი 1	*ფიქრები სულის ცხოვრებაზე*
წიგნი 2	*აღვსდგეთ მსახურებისათვის*
წიგნი 3	*ბავშვთა კლასების ჩატარება, 1 საფეხური*
	ბავშვთა კლასების ჩატარება, 2 საფეხური (განშტოების კურსი)
	ბავშვთა კლასების ჩატარება, 3 საფეხური (განშტოების კურსი)
	ბავშვთა კლასების ჩატარება, 4 საფეხური (განშტოების კურსი)
წიგნი 4	*ორმაგი ღვთიური გამოცხადება*
წიგნი 5	*მოზარდთა ძალების გამოთავისუფლება*
	საწყისი იმპულსი: მე-5 წიგნის პირველი განშტოების კურსი
	გაფართოებული წრე: მე-5 წიგნის მეორე განშტოების კურსი
წიგნი 6	*უფლის რწმენის სწავლებაt*
წიგნი 7	*მსახურების გზაზე ერთად სიარული*
წიგნი 8	*ბაჰაულას აღთქმა*
წიგნი 9	*ისტორიული პერსპექტივის მოპოვება*
წიგნი 10	*დინამიკური თემების შექმნა*
წიგნი 11	*მატერიალური საშუალებები*
წიგნი 12	(უახლოეს მომავალში)
წიგნი 13	*სოციალურ ქმედებებში ჩართვა*
წიგნი 14	(უახლოეს მომავალში)

Copyright © 2020, 2026 რუჰის ინსტიტუტი, კოლუმბია
ყველა უფლება დაცულია. გამოცემა 2.1.1.PE 2026 წლის

Printed in Georgia

Originally published in Spanish as *Levantémonos a servir*

Copyright © 1987, 1996, 2020 რუჰის ინსტიტუტი, კოლუმბია

ISBN 978-958-52941-0-3

Permission for a limited printing of this book in Georgian has been granted by the Ruhi Institute.

რუჰის ინსტიტუტი
კალი, კოლუმბია
Email: instituto@ruhi.org
Website: www.ruhi.org

სარჩევი

რამდენიმე იდეა წამყვანისთვის v

სწავლების სიხარული 1

ამაღლებული საუბრები 19

თემები გაღრმავებისათვის 43

რამდენიმე იდეა წამყანისთვის

ეს მეორე წიგნი, რუჰის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ძირითადი კურსებიდან, ეხება შესაძლებლობებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წვლილი შევიტანოთ მნიშვნელოვან და ამაღლებულ საუბარში. მსახურების კონკრეტული აქტი, რომელზეც წიგნი ყურადღებას ამახვილებს, აღწერილია მესამე თავში. სამყაროში, სადაც ძლევამოსილი ძალები წყვეტენ საზოგადოებრივ კავშირებს, მეგობრებთან და მეზობლებთან სტუმრობის პრაქტიკა მათ სახლებში საზოგადოების ცხოვრების ძირითადი თემების შესასწავლად, თუ ეს კულტურის გამორჩეული თვისება გახდება, შეუძლია გამოასწოროს ზოგიერთი უბედურება, რომელიც წარმოშობილია იზოლაციის მძაფრი გაზრდით. ამგვარად შექმნილი ამხანაგობის კავშირები, ამ თავის ვარაუდით, ემსახურება ცოცხალი და ჰარმონიული თემების მშენებლობის პროცესის გაძლიერებას.

სამეზობლოში ან სოფელში სახლებში ვიზიტების მდგრადი პროგრამა მოითხოვს ორგანიზებულობის ხარისხს, რომელიც მოიცავს ერთგული მეგობრების ბირთვს, რომელსაც მხარს უჭერს საჭირო ადმინისტრაციული ინსტიტუტები და ორგანიზაციები. წიგნში ჯგუფის წარმართვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მონაწილეები მზად არიან შეუერთდნენ ასეთ მუდმივ ძალისხმევას. მათთვის დაგეგმილი ვიზიტები, როგორც მათი შესწავლის კომპონენტი, უნდა მოჰყვეს ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღონ ამ ძალისხმევაში ყოველწლიურად, რაც მსახურების ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

სულიერი და სოციალური მნიშვნელობის თემების შესწავლის მიზნით სახლებში სტუმრობის პრაქტიკა აშკარად ამდიდრებს თემის კულტურას. ამ მხრივ თანაბრად გადამწყვეტია მრავალი არაფორმალური დისკუსია, რომელიც იმართება სახლში და სამუშაო ადგილზე, სკოლასა და ბაზარზე. ასე რომ, დროდადრო ყოველდღიურ საუბარში სულიერი პრინციპების დანერგვა არის უნარი, რომელიც იმსახურებს ყურადღებას. მისი განვითარება მეორე თავის ყურადღების ცენტრშია, რომელიც, ამგვარად, უყრის საფუძველს მესამე თავში ჩატარებულ სწავლას.

თუ მეგობრებთან და მეზობლებთან ჩვენი საუბრები ამაღლებული უნდა იყოს, ჩვენ უნდა შევძლოთ მათთან ურთიერთობაში სიხარულის მოტანა. ეს არის საგანი, რომელიც განხილულია პირველ თავში, „სწავლების სიხარული“. რუჰის ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული მსახურების ყველა აქტი, არსებითად, გულისხმობს სხვებისთვის ღვთაებრივი სიბრძნის მარგალიტების გაზიარებას, რომლებსაც ჩვენ აღმოვაჩენთ ბაჰაულას გამოცხადების ოკეანეში. პირველი თავის შესწავლა მიზნად ისახავს გაზარდოს ცნობიერების ამაღლება ამ მისწრაფებაში თანდაყოლილი სიხარულის შესახებ. მონაწილეებს სთხოვენ რამდენიმე განყოფილებაში დაფიქრდნენ ღვთის სიტყვაზე და რა კურთხევაა მისი სხვებისთვის გაზიარება. ამ აქტიდან, ეს თავი გვთავაზობს, წარმოგვიქმნის სიხარულს, რომელიც აჩქარებს ჩვენს ნაბიჯებს მსახურების გზაზე სიარულისას. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე დავრწმუნდებით ამ ღრმა სულიერ ჭეშმარიტებაში, ჩვენ შეგვიძლია დავკარგოთ სწავლების ხალისი, თუ ვერ დავფიქრდებით იმ თვისებებზე და დამოკიდებულებებზე, რომლებიც განასხვავებს მსახურებას. ეს არის განხილვის საგანი სერიის ბევრ მომდევნო წიგნში, და მხოლოდ რამდენიმე განიხილება აქ, დაწყებული მე-7 განყოფილების განდგომილებით. ბაჰაის წერილებიდან ციტატების შერჩევა საფუძველს წარმოადგენს ამ თვისების, ხარისხის შესახებ ფიქრისთვის, ხარისხი შეუცვლელი, თუ გარე ფაქტორები არ შეამცირებენ

მსახურების ხალისს. მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა არ დატოვონ სწავლა მცდარი წარმოდგენით, რომ განდგომილება გულისხმობს მოშორებას ან მზრუნველობის ნაკლებობას. ჩვენ მუდმივად უნდა ვცდილობდეთ გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა და გავზარდოთ ჩვენი მსახურების ეფექტურობა, რათა შეგვეძლოს უკეთესი და უკეთესი შედეგების მიღწევას. ეს მოითხოვს ძალისხმევის ხასიათის ადეკვატურ გაგებას, თემა, რომელიც განხილულია მე-8 განყოფილებაში. ოპტიმიზმი და მადლიერება, ორი ფუნდამენტური დამოკიდებულება მსახურების გზაზე, მოკლედ განიხილება შემდეგ და ბოლო ნაწილში.

წიგნის მეორე თავი, „ამაღლებული საუბრები“, ყურადღებას ამახვილებს არაფორმალური საუბრის დონის ამაღლების უნარზე სულიერი პრინციპების მითითებით, როცა შემთხვევა ამის საშუალებას იძლევა. იგი შედგება რამდენიმე მოკლე დებულებისაგან სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც, მართალია, არ არის ზუსტი ციტატები, მაგრამ ეფუძნება აბდულ-ბაჰას გამონათქვამებს და მოიცავს ბევრ სიტყვასა და ფრაზას, რომელიც მან გამოიყენა. საყოველთაო მიმართვით, ისინი საუბრობენ ყველა წარმოშობის ადამიანის მისწრაფებებსა და საზრუნავებზე. ვიმედოვნებთ, რომ განცხადებების შესწავლით მონაწილეები შთაგონებას მიიღებენ აბდულ-ბაჰას სულიერი პრინციპების ახსნის წესიდან და შეიძენენ მისკენ ხედვის ჩვევას, როდესაც ისინი ცდილობენ აღმოაჩინონ მარგალიტები, ბაჰაულას გამოცხადების ოკეანის სიღრმიდან, გაიგებენ მისი მამის სწავლებების მნიშვნელობას და შედეგებს და გულუხვად გაუზიარებენ ისინი სხვებს.

ამ თავის მიზნის მისაღწევად, მონაწილეებს უნდა მიეცეთ საშუალება, რამდენჯერმე გადახედონ თითოეულ განცხადებას, დაადგინონ აზრების თანმიმდევრობა და ივარჯიშონ მის გამოთქმაზე, სანამ იმ დონეზე არ გააცნობიერებენ იდეებს, რომ მათ ბუნებრივად შეძლონ გამოხატონ ისინი. ზოგიერთი, თავდაპირველად, ძირითადად იმახსოვრებს დებულებებს და გაიმეორებს მათ მეტ-ნაკლებად ისე, როგორც ჩანს ამ თავში. ეს მოსალოდნელია. რაც უფრო გაღრმავდება რწმენის შესახებ მათი ცოდნა და გამოცდილება გაიზრდება, მით უფრო მეტი წვდომა ექნებათ შინაარსის ფართო სპექტრზე და ბევრად უფრო მდიდარ ლექსიკაზე, რაც აისახება მათ ურთიერთობაში სხვებთან. მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ამ ეტაპზე, ის, რაც საჭიროა, არის ორმხრივი: სწავლების ახსნის სიმარტივის ზომა და აბდულ-ბაჰას აზრთან შესაბამისობა.

მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები ისწავლიან თითოეული დებულების შინაარსის წარმოდგენას, ისინი გადადიან სხვა აქტივობაზე, რომლის დროსაც წახალისებულნი არიან ურთიერთდააკავშირონ შესწავლილი იდეები თავიანთი ოჯახის, მეგობრებისა და თანამშრომლების საზრუნავ საკითხებთან. ამ მიზნით, მათ სთხოვენ დაფიქრდნენ საუბარში წამოჭრილ ზოგიერთ თემაზე და კითხვებზე და გადაწყვიტონ, რომელი მათგანი შესთავაზებს მათ დისკუსიაში იდეების დანერგვის შესაძლებლობას. რამდენიმე დებულებისთვის მოხსენიებულია ერთი-ორი მაგალითი, რათა ნაჩვენები იყოს, თუ როგორ აშუქებს აბდულ-ბაჰას მიერ წარმოთქმული სულიერი პრინციპები საკითხებს, რომლებიც ყველგან აწუხებს ხალხს. ეს სავარჯიშო უკეთეს შედეგს გამოიღებს, თუ წიგნის შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს თითოეულ წევრს რომელიმე დებულების არჩევაში და რამდენიმე პიროვნების არჩევაში, ვისთანაც ისაუბრებს მასში შემავალ იდეებზე. ამგვარად, დრო შეიძლება დათმობილი იქნას მონაწილეებისთვის თავის მოსაყრელად, რათა ერთმანეთს აღუწერონ საუბრის დინამიკა, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ.

ამ თავში თითოეული დებულებისთვის დასამახსოვრებლად ჩართულია რამდენიმე ციტატა ბაჰაულას ნაწერებიდან. რუჰის ინსტიტუტის აქცენტი დამახსოვრებაზე, რომელიც უკვე აშკარაა სერიის პირველ წიგნში, უფრო გამოხატული ხდება მე-2 წიგნში. მიღებულია, რომ ამ დროისთვის მონაწილეები აცნობიერებენ სულიერ საზრდოს, რომელსაც იღებენ ციტატების გონებასთან შესხმის შედეგად. ამრიგად, ამ წიგნში ისინი დაფიქრდებიან ღვთის სიტყვის ზეგავლენაზე ადამიანის გულზე, ხოლო მესამე თავში, ისევე როგორც მეორეში, ისინი ისწავლიან თავიანთ მეტყველებაში წარმოადგინონ ნაწერებში ნაპოვნი პრინციპები და იდეები, და საჭიროების შემთხვევაში კი, პირდაპირი ციტირებაც გააკეთონ. სწავლებების ზუსტად ახსნა, მათი წმინდა სახით სხვებისთვის მიცემა არის ერთ-ერთი იმ შესაძლებლობებს შორის, რომელთა განვითარებასაც ყველა ვცდილობთ მსახურების გზაზე სიარულისას. დასაწყებად შესანიშნავი ადგილია აბდულ-ბაჰას ახსნა-განმარტებების შესწავლა და მათი გამოხატვის მცდელობა, როგორც ის აკეთებდა, არის წინაპირობა, რომელიც საფუძვლად უდევს მეორე თავის სტრუქტურას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მესამე თავი, სახელწოდებით „თემები გაღრმავებისათვის“, მიმართავს ამ წიგნში განხილულ მსახურებას - ეს არის მეგობრებთან და მეზობლებთან ვიზიტი თემური ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დისკუსიებში აშკარა მიზნით. ამ თავში სამი ტიპის საუბარია გათვალისწინებული და თითოეულისთვის შემოთავაზებულია კონკრეტული შინაარსი. პირველი ტიპი ტრიალებს თემების სერიის გარშემო, რომლებიც უნდა იქნას შესწავლილი სოფლის ან უბნის მაცხოვრებლებთან სისტემატური ვიზიტების პროგრამის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ასახული შინაარსი შეიძლება გაზიარებულიყო დაინტერესებულ აუდიტორიასთან სხვადასხვა გზით, თემების თავდაპირველი განზრახვა - მიეცეთ ოჯახის წევრებს რწმენის შესახებ ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა - ყველაზე აქტუალური რჩება. მაშასადამე, ამ თავის უფრო დიდი წილი ეთმობა ამ ტიპის საუბარს.

მიუხედავად ამისა, სახლებში სტუმრობის პრაქტიკამ ახალი ზომები მიიღო ბოლო წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უფრო მცირე და პატარა გეოგრაფიული ერთეულები, სოფლის და ურბანულ უბნებამდე, იმატა იმ პირთა რიცხვში, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ როგორც მასწავლებლები, მოზარდთა ჯგუფების წამყვანები და ბავშვთა კლასის მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს აუცილებელია არა მხოლოდ რწმენის ცოდნის გავრცელების მიზნით; ასევე აუცილებელია მოზარდების სულიერი გაძლიერების და ბავშვების სულიერი აღზრდის პროგრამების წარმატებით განვითარებისთვის. ამასთან, რაც ცხადი გახდა, არის ის, რომ წამყვანებისა და მასწავლებლების მიერ უნდა განხორციელდეს რეგულარული ვიზიტები ახალგაზრდების მშობლებთან ორ პროგრამაში, რათა განიხილონ კონცეფციები და მიდგომები, რომლებიც მათ ფორმას აძლევს. ასეთი დისკუსიები წარმოადგენს საუბრის მეორე ტიპს, რომელიც განხილულია მე-14 და მე-15 განყოფილებებში. ამ სექციების შინაარსი უკმარისად ვრცელია, რადგან მონაწილეები უფრო მეტად გაეცნობიან ორ საგანმანათლებლო პროგრამას მომავალ კურსებში. მაგრამ იმისთვის, რომ მათ იცოდნენ ამ ტიპის საუბრის მნიშვნელობა და თან ახლდნენ ბავშვების მასწავლებლებს და მოზარდთა ჯგუფების წამყვანების მშობლებთან ვიზიტებზე, შეიძლება ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდეს ამ ადრეულ ეტაპზე.

ამ თავში გათვალისწინებული საუბრის მესამე ტიპი განსაკუთრებულ მიზანს ემსახურება. რამდენი ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი ეძიებს გზებს,

რომლითაც მათი მძაფრი სურვილი, წვლილი შეიტანონ მსოფლიოს გაუმჯობესებაში, გამოვლინდეს. ისინი წარმოადგენენ შესაძლებლობების უზარმაზარ რეზერვუარს, შეცვალონ საზოგადოება, რომელიც ელოდება, არა, სურვილი აქვს გამოყენებული იქნას. თანატოლებს შორის საუბარი, რომელშიც ისინი ასახავენ ახალგაზრდობის პერიოდისთვის უნიკალურ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს, მთელი მისი ენერგიითა და არაჩვეულებრივი პოტენციალით, უფრო ხშირად შეიძლება გამოიწვიოს დისკუსია მსახურების შესახებ და გააღვიძოს ინტერესი სოფლებში და სამეზობლოებში მიმდინარე სამუშაოების მიმართ მთელს მსოფლიოში. მრავალი, თავის მხრივ, მოესალმებიან მოწვევას, შეუერთდეს ინსტიტუტის კურსებს, როგორც საშუალება სულიერი განათლების მოპოვებისა მზარდი თაობებისთვის, როგორც ბავშვთა კლასის მასწავლებლები და მოზარდთა ჯგუფების წამყვანები. მე-9 და მე-10 განყოფილებები ასახავს რამდენიმე იდეას, რომელიც შეიძლება გამოიკვლიოთ ამ ტიპის საუბარში.

იმ შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რომლებიც ინდივიდებს საშუალებას აძლევს წამოიწყონ და გააგრძელონ მნიშვნელოვანი საუბრები, რა თქმა უნდა, ეს თავი უნდა გასცდეს ფართო თემებისა და შესაბამისი შინაარსის შეთავაზებას. იდეების მკაფიოდ გამოხატვის უნარის გარდა, მონაწილეებმა უნდა განავითარონ საჭირო დამოკიდებულებები და სულიერი თვისებები. ეს ემყარება იმ შინაარს, რომელიც იხსნება ამ თავში, მაგრამ მათი მნიშვნელობა განსახილველი შესაძლებლობებისთვის აშკარაა მე-4 განყოფილებაში, სადაც მონაწილეები ფიქრობენ იმაზე, თუ რა სახის გრძნობები და აზრები უნდა აავსონ ჩვენს გულსა და გონებას ვიზიტისთვის მომზადებისას, და მე-5 განყოფილებაში, სადაც ისინი ფიქრობენ თავმდაბლობის თვისებაზე. მასწავლებელს სურს უზრუნველყოს, რომ ამ განყოფილებებმა მიიღონ საკმარისი ყურადღება მონაწილეების მხრიდან, რადგან, რაც არ უნდა დიდი ცოდნა შევიძინოთ, რაც არ უნდა კარგად შევძლოთ იდეების ჩამოყალიბება, ჩვენი საუბრის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება იმ თვისებებზე და დამოკიდებულებებზე, რომლებსაც მათ მიმართ გამოვხატავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების ამ სერიაში აღწერილი მსახურების აქტები, თუმცა ცენტრალურია საზოგადოების ზრდისა და განვითარებისთვის, ის უპირველეს ყოვლისა არის პროცესის ელემენტი, რომელიც ცდილობს ინდივიდუალური შესაძლებლობების ამაღლებას შესწავლისა და მოქმედების გზით. ის, რაც ყველა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, არის ის, რომ ეს მოქმედებები ეფუძნება ერთმანეთს და იზრდება სირთულის თვალსაზრისით წიგნიდან წიგნამდე. მსახურების თითოეული აქტის ეფექტურად შესრულების სწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდგომი ქმედებების შესასრულებლად საჭირო შესაძლებლობებს. მუდმივი საუბრის შენარჩუნება სახლში რამდენიმე ვიზიტის განმავლობაში, როგორც ეს შემოთავაზებულია ამ წიგნში, აშკარად უფრო მოთხოვნადია, ვიდრე 1-ლ წიგნში წახალისებული აქტივობა, რეგულარული ლოცვითი შეხვედრის მასპინძლობა, დამოუკიდებლად თუ სხვებთან ერთად თანამშრომლობით. და ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ შემდგომი უფრო რთული მსახურების აქტების განსახორციელებლად, მონაწილეებისთვის აუცილებელი იქნება აქ განხილული შესაძლებლობების განვითარება.

როგორც პირველი წიგნის შესავალის შენიშვნებშია აღნიშნული, მსოფლიო მასშტაბით ინსტიტუტის კურსების მონაწილეები წარმოადგენენ მრავალფეროვნებას და, უპირველესყოვლისა, სხვადასხვა ხარისხით ეუფლებიან ბაჰაის სწავლებებს. სანამ ისინი შეუდგებიან ამ მეორე წიგნს, ისინი ნამდვილად დაადგნენ კურსების მიერ გახსნილ მსახურების გზას. მაგრამ გარკვეული

განსხვავებები რჩება. მაგალითად, ახალგაზრდების შემთხვევაში, თუ მათ არ გაუვლიათ საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, წიგნში წარმოდგენილი ბევრი განცხადება და თემა მათთვის ახალი იქნება და მისი შესწავლა მათთვის საშუალება იქნება, გააღრმავონ საკუთარი ცოდნა რწმენის შესახებ. მასწავლებელი მზად უნდა იყოს ამ კუთხით გამოავლინოს მოქნილობა და კრეატიულობა, რომელიც აუცილებელია ჯგუფის თითოეულ წევრში ურთიერთგაგების გასავითარებლად, იმავდროულად, ის ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ კურსის მთავარი მიზანი, მონაწილეებს საშუალება მისცეს ჩაერთონ შინაარსობრივ და ამაღლებულ საუბარში, მიღწეულია. უფრო მეტიც, ათასობით ადგილობრივ დასახლებებში, სადაც წიგნი გამოიყენება, თემური მშენებლობის პროცესი, რომელშიც ეს სამი განყოფილება ცდილობს წვლილი შეიტანოს, არ არის განვითარების ერთსა და იმავე ეტაპზე. ნასწავლის მოქმედებაში გამოყენებამ შეიძლება მიიღოს განსხვავებული ფორმა ერთი ადგილობრივი მოსახლეობიდან მეორეში და ეს ასევე მიუთითებს იმაზე, თუ რა ზრუნვისა და სიზუსტით მასწავლებელმა უნდა უპასუხოს თითოეული წევრის საჭიროებებს ჯგუფთან ამ გვერდების გადაშლის წინამძღოლობით.

სწავლების სიხარული

მიზანი

გათვიცნობიერება იმისა,
რომ სწავლების სიხარული
უშუალოდ ღმერთის სიტყვების
გაზიარების პროცესში მდგომარეობს.

განყოფილება 1

აღვსდგეთ მსახურებისთვის არის მეორე რუჰის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული კურსების სერიაში, რომლებიც ცდილობენ გააერთიანონ სწავლა და მოქმედება. მისი მიზანია დაგეხმაროთ შემდგომ წინსვლაში მსახურების გზაზე, რომელშიც ფეხი გადაადგით, რათა შეასრულოთ ორმხრივი მიზანი: განახორციელოთ თქვენი სულიერი და ინტელექტუალური ზრდა და ხელი შეუწყოთ საზოგადოების ტრანსფორმაციას. პირველ კურსში თქვენი მონაწილეობით, თქვენ უკვე უნდა გააცნობიეროთ, რომ გზა, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ, განსაზღვრულია მსახურების აქტების სერიით, მოქმედებებით, რომლებსაც ვახორციელებთ ახალი მსოფლიო წესრიგის მიზანზე მიპყრობილი თვალებით, როგორც ეს არის შთაგონებული ბაჰაულას ნაწერებში. ამრიგად, ბევრი რამ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „მსახურების გზაზე სიარულს“, მოიცავს ჩვენს ძალისხმევას, გამოვიყენოთ მისი სწავლებები ჩვენსა და კაცობრიობის ცხოვრებაში. ის თავად საუბრობს თავის გამოცხადებაზე შემდეგი სიტყვებით:

> **„მსახურნო ჩემნო! ჩემი წმინდა, ღვთის მიერ ნაბრძანები გამოცხადება ოკეანის მსგავსია, რომლის სიღრმეშიც შეუდარებელი ბრწყინვალების ურიცხვი, ფასდაუდებელი მარგალიტი იმალება. ყოველი მაძიებლის ვალია გამოცოცხლდეს და ეცადოს მიაღწიოს ამ ოკეანის ნაპირებს, რათა, თავისი ძიების წყურვილისა და ძალისხმევის შესაბამისად, მიიღოს წილი იმ წყალობისა, რაც ღმერთის მარადიულ და იდუმალ სიგელებშია დაწესებული.“[1]**

ამ პირველ განყოფილებაში, ჩვენი აზრები იქცევა სიხარულზე, რომელიც ავსებს ჩვენს გულებს, როდესაც აღმოვაჩენთ სიბრძნის მარგალიტებს, რომლებიც ბაჰაულას გამოცხადების ოკეანეში დევს და ვუზიარებთ მათ სხვებს. უკვე თქვენს მიერ პირველი წიგნის შესწავლიდან დაინახეთ, თუ რა საოცრად ლამაზია ღვთაებრივი ხელმძღვანელობის მარგალიტები, რომლებიც ნაპოვნია მის ნაწერებში. მოდით დავფიქრდეთ კიდევ რამდენიმე ნაწყვეტზე:

> **„ღვთის სიტყვა - ლამპარია, რომლის ნათელს ეს სიტყვა წარმოადგენს: თქვენ ერთი ხის ნაყოფნი და ერთი ტროს ფოთლები ხართ.”[2]**
>
> **„სამართლიანობა ჩემთვის უპირველესია. ნუ განერიდები მას, თუ გსურს ჩემი ნება და არ დამალო იგი, თუ ეძებ ჩემს ნდობას.”[3]**
>
> **„იმ პოქის საზრუნავი უნდა გაღელვებდეთ, რომელშიც ცხოვობთ და თქვენი ფიქრბიც მისი მოთხოვნებისა და საჭიროებებისაკენ მიმართეთ სრულად.“[4]**
>
> **„ყველა ადამიანი შექმნილია იმისთვის, რომ წინ წაწიოს მარადიულ განვითარებაში მყოფი ცივილიზაცია.“[5]**
>
> **„ქვეყნიერება გაუჩინარდება, და ის რაც მარადიულია, ღვთის სიყვარულია.”[6]**
>
> **„შენ ლამპარი ხარ ჩემი, ჩემი შუქი შენშია, გაბრწყინდი მით და არავინ ეძიო ჩემს გარდა, რამეთუ მე მდიდარი შეგქმენი და ჩემი წყალობითაც გულუხვად დაგასაჩუქრე.”[7]**

შესაძლოა სურილი გქონდეთ დაიმახსოვროთ ეს მოკლე ნაწყვეტები დროთა განმავლობაში.

განყოფილება 2

ამ განყოფილების მთავარ თემაზე მსჯელობის დასაწყებად, ხელახლა წაიკითხეთ წინა ნაწილში ციტირებული პირველი ნაწყვეტი და შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1. დაასრულეთ წინადადებები:

   ა. ჩვენი ვალია _____ და _____ ბაჰაულას გამოცხადების ოკეანის _____.

   ბ. ჩვენ უნდა გამოვცოცხლდეთ და ვეცადოთ მივაღწიოთ ბაჰაულას გამოცხადების ოკეანის ნაპირებს, რათა საკუთარი _____ და_____ მივიღოთ _____ იმ _____ რაც განსაზღვრულია ღმერთის მარადიულ და იდუმალ სიგელებში.

   გ. წყალობას რომელსაც ვღებულობთ ბაჰაულას გამოცხადების ოკეანიდან იქნება _____
   _____

2. რას ნიშნავს „ვისიმე გამოცოცხლება“?_____
   _____

3. რას ნიშნავს რაიმეს „ეცადოს მიაღწიოს“? _____
   _____

4. რის მიღწევას უნდა ცდილობდეს მაძიებელი? _____
   _____

5. რას ნიშნავს რაიმესთან „შესაბამისად“ ყოფნა? _____
   _____

6. ბაჰაულა ამბობს, რომ ჩვენ ვიღებთ წყალობას მისი გამოცხადების ოკეანიდან იმ ძალისხმევის შესაბამისად რასაც გავიღებთ.

   ა. მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი იმ ძალისხმევისა, რომელსაც მივაგებთ, რათა მივიღოთ ეს წყალობა. _____
   _____
   _____

ბ. მოიყვანეთ მაგალითები წყალობისა, რომელსაც ჩვენ _____
_____
_____
_____

განყოფილება 3

ვიცით, რომ ბაჰაულას გამოცხადება ჰგავს ოკეანეს, რომლის სიღრმეებში დამალულია ფასდაუდებელი მარგალიტები, ყოველმა ჩვენგანმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რომ მივიღოთ ეს ძღვენი და დავეხმაროთ სხვებს მიაღწიონ ამ ოკეანის ნაპირებს. მაგრამ რამდენად შორსაა ჩვენგან ეს ოკეანე? ბაჰაულა ამბობს:

> **„მსახურნო ჩემნო! ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია მოწმე ჩემი! ეს დიადი, უძირო და მღელვარე ოკეანე ახლოსაა, განსაცვიფრებლად ახლოსაა თქვენგან! უფრო ახლოს, ვიდრე თქვენივ სიცოცხლის ძარღვი! ოღონდაც ისურვეთ და თვალის დახამხამებაში მიაღწევთ და ეზიარებით მის წარუშლელ მადლს! ამ ღვთით ბოძებულ წყალობას, ამ გაუხუნარ ძღვენს, ამ ძლევამოსილ და გამოუთქმელად დიად სიუხვეს.“**[8]

1. რას ეხება ფრაზა „ეს დიადი, უძირო და მღელვარე ოკეანე“? _____
_____

2. რამდენად ახლოსაა ეს ოკეანე ჩვენთან? _____
_____

3. რამდენად სწრაფად შეგვიძლია ამ ოკეანემდე მიღწევა? _____
_____

4. დაასრულეთ წინადადებები:

   ა. ბაჰაულას გამოცხადების დიადი ოკეანე _____
   _____ ახლოსაა თქვენგან.

   ბ. ბაჰაულას გამოცხადების ოკეანე _____ ვიდრე თქვენი სიცოცხლის ძარღვი.

   გ. ოღონდაც ვისურვოთ და _____ მივაღწევთ მისი გამოცხადების ოკეანეს.

   დ. ბთვალის დახამხამებაში ჩვენ შეგვიძლია _____
   და ვეზიაროთ

განყოფილება 4

ბაჰაულას გამოცხადების ოკეანის ნაპირებთან მიღწევით, რომლის სიღრმეშიც ფასდაუდებელი მარგალიტები იმალება, საკუთარ სულებს რწმენის სულისკვეთებით ვავსებთ და ღვთიური წინამძღოლობის ამ მარგალიტებს სხვებსაც ვუზიარებთ, მარგალიტებს, რომლებსაც სარწმუნოების შესწავლის, ლოცვისა თუ მედიტაციის დროს აღმოვაჩენთ და იმ ძალისხმევაში რომელსაც მივაგებთ მისი საქმის და კაცობრიობისადმი მსახურებით. შეიძლება დაგჭირდეთ გარკვეული დროის დათმობა შემდეგი ნაწყვეტის დასამახსოვრებლად, რაც ამ მოვალეობის სიწმინდის მუდმივი შეხსენებაა:

„ჰოი, ღვთის გზაზე შემდგარო მგზავრო! მიიღ შენი წილი მისი წყალობის ოკეანიდან და ნუ წაართმევ საკუთარ თავს, რაც მის სიღრმეშია დაფარული. იყავ მათ შორის, ვინც ეზიარა საგანძურს მისას ამ ოკეანის მცირედი წვეთიც კი, გადმოღვრილი ყოველ არსებაზე, ცაში თუ ხმელეთზე, საკმარისი იქნება გაამდიდროს ისინი წყალობით ღვთისა - ყოვლისშემძლისა, ყოვლისმცოდნისა ყოვლადბრძენისა. განდგომილების ხელით მიიღე ეს მაცოცხელებელი წყლები და აპკურე ყოველ ქმნილს, რათა ისიც განიწმინდოს კაცთა მიერ მოგონილი შეზღუდულობისაგან და მიუახლოვდეს უფლის დიად საბრძანებელს - ამ დიდებულ და ბრწყინვალე სამყოფელს.”[9]

განყოფილება 5

ინსტიტუტის კურსების წინსვლისას, მათ მიერ მოთხოვნილი სწავლებისა და ქმედებების განხორციელებით, ჩვენი მსახურების უნარი გაიზრდება და ჩვენ შევძლებთ შევასრულოთ მსახურების ქმედებები, რომლებიც უზარმაზარ სიხარულს მოუტანს ჩვენს გულებს და დაგვეხმარება ჩვენი ორმხრივი მიზნის შესრულებაში. ისეთი ქმედებები, როგორიცაა ბავშვების სულიერი აღზრდის გაკვეთილების სწავლება, მოზარდების ჩართვა მათი სულიერი გაძლიერების პროგრამაში და მეგობრების ჯგუფის დახმარება ძირითადი სერიის წიგნების შესწავლაში. მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში, ღვთის სიტყვა, რომელსაც ჩვენ ვუზიარებთ სხვებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, იქნება ჩვენი მუდმივი შთაგონების წყარო. მაშასადამე, სწორია, რომ ხშირად უნდა ვიფიქროთ მის ძალასა და გავლენაზე ადამიანის გულზე. შემდეგ ნაწყვეტში ბაჰაულა საუბრობს ამ ძალაზე:

„უფლის სიტყვა იმ ნერგს ჰგავს, რომელსაც ფესვები ადამიანთა გულებში აქვს გადგმული. თქვენი ვალია რუდუნებით ზარდოთ იგი სიბრძნის მაცოცხლებელი წყლით, კურთხეული და წმინდა სიტყვებით, რათა ფესვები მისი გაძლიერდეს, ტოტები კი ამაღლდეს ცამდე და უფრო მაღლა.“[10]

1. რას შეიძლება შევადაროთ ღმერთის სიტყვა? _____

   _____

2. სად აქვს გადგმული ფესვები ღმერთის სიტყვის ხეს? _____

   _____

3. როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ამ ხის ზრდას? _____

   _____

4. რა სიმაღლეებზე შეუძლია ამ ხეს გაიზარდოს? _____

_____

5. რამდენიმე წინადადებით ახსენით, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი სხვებისთვის ღმერთის სიტყვის გაზიარება?

_____

_____

_____

_____

_____

განყოფილება 6

მოდით ვიფიქროთ სხვადასხვა აქტივობებზე, რომლებითაც დაკავებულნი ვართ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ ვკვებავთ ჩვენს სხეულს. ჩვენ ვსწავლობთ ახალი ცოდნის მისაღებად და გონებრივი შესაძლებლობების გასაფართოებლად. ჩვენ ვმუშაობთ და ვავითარებთ უნარებს, რომლებიც გვაძლევს საშუალებას ვიცხოვროთ როგორც საზოგადოების პროდუქტიული წევრები. ჩვენ ვეწევით სპორტს და დასვენებას. მსგავსი მრავალი აქტივობა, ყველა მნიშვნელოვანი ჩვენი ინტელექტუალური პროგრესისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის, ჩვენი დროის დიდ ნაწილს იკავებს. მაგრამ შემდეგ არის ყოველ დღეს ის განსაკუთრებული მომენტები, გაჟღენთილი სულიერებით, როცა ლოცვაში ვართ ჩაფლულნი; როდესაც მარტო ან მეგობრებთან ერთად ვიღრმავებთ ჩვენს ცოდნას ღვთაებრივი სწავლებების შესახებ; ან როდესაც, უამრავ გზაზე, ჩვენ ვეხმარებით გარშემომყოფებს ბაჰაულას გამოცხადების ოკეანეში დამალული მარგალიტების აღმოჩენაში. განა ეს მომენტები უდავოდ ძვირფასი არ არის? არის თუ არა უფრო დიდი სიხარული, ვიდრე ამ ზეციური კურთხევების ზიარება?

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ მოგვიწოდებდა აბდულ-ბაჰა, მიგვეძღვნა თავი კაცობრიობის ამაღლებისთვის:

> **„ჩვენ ყველანი გაერთიანებულნი ვართ ერთ ღვთაებრივ მიზანში, არანაირი მატერიალური განზრახვა ჩვენი არ არის, და ჩვენი ყველაზე ძვირფასი სურვილია ღმერთის სიყვარულის გავრცელება მთელ მსოფლიოში!”**[11]

დავუშვათ, რომ გაგიჩნდებათ შესაძლებლობა, გაუზიაროთ მეგობარს 1-ლი ნაწილის ერთ-ერთი ნაწყვეტი, რომელიც დაიმახსოვრეთ. საიდან მოდის ის სიხარული, რომელსაც გრძნობ შენს გულში? ბუნებრივია, თქვენ იმედოვნებთ, რომ თქვენი მეგობარი აიტაცება ბაჰაულას სიტყვებით. მაგრამ რა მოხდება, თუ ის არ გამოავლენს იმ ენთუზიაზმს, რომელსაც ელოდით? შენს გულში სიხარული უბრალოდ გაქრება? რატომაც არა?

განყოფილება 7

მაშასადამე დავასკვენით, რომ ნებისმიერი ჩვენი საქმიანობიდან, ღმერთის სიტყვის სხვებისთვის გაზიარებაზე დახარჯული დრო განსაკუთრებით კურთხეულია. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სიხარული თვით სწავლების, ღმერთის სიტყვებზე მსჯელობის პროცესით იყოს გამოწვეული. თუ ამას დავივიწყებთ, სხვაგავარი აზრები შეამცირებენ და ჩააქრობენ სიხარულის ნათელს ჩვენს გულებში. თუ ზედმეტად დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ სხვების რეაგირებას ჩვენი სარწმუნოების სწავლებებზე, თუკი ზედმეტად აღმოვჩნდებით სხვა ადამაინების ზეგავლენის ქვეშ, თუ დაველოდებით შექებას იმის გამო, რასაც ვაკეთებთ, ვკარგავთ სწავლების სიხარულს. ჩვენი შთაგონების წყარო ღვთისადმი სიყვარული უნდა იყოს და არა წარმატების, სარგებლის, სხვათა მხრიდან აღიარების და ხოტბა დიდების მიღების სურვილი. სწორედ ყოველივე ამისგან განდგომა წარმოადგენს სწავლებისგან მინიჭებული სიხარულის აუცილებელ პირობას. ქვემოთ მოყვანილი ციტატების შესწავლა აღნიშნული თემის უკეთ დაუფლებაში დაგეხმარებათ:

„ორი ხედვის მქონევ! დახუჭე ერთი თვალი და მეორე გაახილე: ერთი მათგანი დაუხუჭე მსოფლიოს და ყოველივეს, რაც მასშია, მეორით კი უსაყვარლესის კურთხეულ სილამაზეს უმზირე.“[12]

„მეგობრებო! ნუ მიატოვებთ მარადიულ მშვენიერებას წარმავალი სილამაზისა გამო და ნურც ამ წუთისოფლის მტვრის ერთგულებას ჩაეჭიდებით.“[13]

„ძეო წარმოთქმისა! მოაპყარ მზერა ჩემკენ და უარი თქვი ყოველზე, ჩემს გარდა, რამეთუ ჩემი მეუფება მარადიულია და უსასრულო, ჩემი სასუფეველი უკვდავია და წარუშლელი. თუ სხვას დაუწყებ ძებნას, ამაო იქნება შენი ცდა, თუნდაც ეძიო მთელს სამყაროში.“[14]

„უცხოვ, გამხდარო მეგობრად! შენი გულის სანთელი ჩემი ძლიერების მარჯვენითაა ანთებული. ნუ ჩააქრობ მას თავკერძოებისა და ვნებათაღელვის ორპირი ქარით. მკურნალი შენთა სნეულებათა ჩემი ხსენებაა, არ დაივიწყო ეს! შენს საგანძურად აქციე ჩემი სიყვარული. გაუფრთხილდი მას, ვითარცა თვალის ჩინს და სიცოცხლეს შენსას.“[15]

„განდგომილება მზესა ჰგავს; ვის გულშიც არ უნდა ანათებდეს იგი აქრობს ცეცხლს სიხარბისა და პატივმოყვარეობისა. ის, ვისი მზერაც გასხივოსნებულია წვდომის ნათელით, უეჭველად განუდგება სამყაროს და მის ამაოებას.... ნუ დაგამწუხრებთ სამყარო და მისი მანკიერებანი. ბედნიერია, ვისაც ვერც სიმდიდრე ავსებს ამაო სიდიადითა და ვერც სიღარიბე მწუხარებით.“[16]

1. ნიშნავს თუ არა „სამყაროსგან განდგომა“ განდეგილივით ცხოვრებას?_____

2. შესაძლებელია თუ არა იყო განდგომილი ამ სამყაროსგან და იმავდროულად ფლობდე მატერიალურ ფასეულობებს? _____
_____

3. განდგომილია თუ არა ამქვეყნიური სამყაროსგან პიროვნება, რომელიც პრაქტიკულად თავისი ცხოვრების ყოველ საათს სამუშაოს უთმობს? _____
_____

4. განდგომილია თუ არა ამქვეყნიური სამყაროსგან პიროვნება, რომელიც მხოლოდ იმდენ ხანს მუშაობს, რაც მისი ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო, დანარჩენ დროს კი უქმად ატარებს? _____
_____

5. განდგომილია თუ არა ამქვეყნიური სამყაროსგან პიროვნება, რომელიც ვერ უძლებს მსახურების სფეროში მატერიალურ დისკომფორტს?_____
_____

6. მატერიალურ ფასეულობათა გარდა მრავალ რამეზე შეიძლება ვიყოთ მიჯაჭვული. რისდამი იქნებოდით მიჯაჭვული, თუ თქვენ ხართ პიროვნება, რომელიც:

   – დამწუხრებულია, როცა სარწმუნოების მსახურებას აღასრულებს, ამას კი არავინ ამჩნევს? _____

   – იმედი უცრუვდება როცა ვინმე უარყოფს მის მიერ შეთავაზებულ წარგზავნას? _____

   – მალავს საკუთარ რწმენას, როცა ფიქრობს, რომ ადამიანები მას არ მიიღებენ?_____
   _____

7. განდგომილება არ გულისხმობს განმარტოებულებას ან უზრუნველობას. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს იმის ნიშანი, რომ ჩვენ არ ვართ განდგომილნი?

   _____ სიხარულის მიღება სხვისი პროგრესის დანახვით

   _____ შეწყვიტო კლასის სწავლება, როდესაც რამდენიმე ბავშვი ცუდად იქცევა

   _____ საკუთარი მიღწევებით ტრაბახი

_____ კარგად ისწავლო და კმაყოფილი იყო მიღწეული პროგრესით

_____ იყო შრომის მოყვარე, რათა განავითარო საკუთარი შესაძლებლობები ემსახურო საყოველთაო სიკეთეს

_____ სწრაფვა სრულყოფილებისკენ თავის პროფესიაში

_____ მოეკიდო სისუფთავეს და შეინარჩუნო სუფთა და მოწესრიგებული სახლი

_____ საკუთარი ნივთების მოვლა

_____ სხვების კეთილდღეობაზე ზრუნვა

_____ იმედგაცრუება, როცა ხოტბას არ გასხამენ ძალისხმევის მიგების მიუხედავად

8. განდგომილება იმდენად მნიშველოვანია ყოველივე ჩვენგანისთვის, რომ გირჩევთ დაიზეპიროთ ამ განყოფილებაში მოყვანილი ყოველი ნაწყვეტი.

განყოფილება 8

შემდეგი პირობა, რომელიც ღვთისადმი მსახურებისას სიხარულის განცდაში გვეხმარება – გულმოდგინე ძალისხმევისა და მსხვერპლის გაღების სურვილია. ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად ვიყენებთ სიტყვას „მსხვერპლი“ ან გამოთქმას „მსხვერპლის გაღება“. თუ უახლოესი მეგობარი გამთენიისას ბრუნდება მგზავრობიდან, მის შესახვედრად ჩვენც ადრე ვდგებით. ასეთ დროს ვამბობთ, რომ მსხვერპლად გავიღეთ ძილისათვის განკუთვნილი რამდენიმე საათი, როდესაც ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ავად ხდება, მის მოსავლელად მსხვერპლად გავიღებთ დასვენებისთვის განკუთვნილ საათებს. არის შემთხვევები ცხოვრებაში, როდესაც ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ და შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიზნის მისაღწევად კომფორტის მსხვერპლს ვიღებთ.

ჩვენ ყველას გვაქვს უდიდესი სურვილი, ვემსახუროთ ღვთის საქმეს, გულუხვად დავუთმოთ ჩვენი დრო და ენერგია, და შეძლებისდაგვარად ჩვენი მატერიალური რესურსების ნაწილიც. როცა ამას ვაკეთებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მსახურების გზაზე შესაძლოა უარი ვთქვათ ამქვეყნიურ ნივთებზე, მაგრამ საბოლოოდ რასაც ვღებულობთ არის ნამდვილი სიხარული, როცა სულიერად ვიზრდებით. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა მომავალ კურსებზე მეტი ვიფიქროთ მსხვერპლშეწირვის ბუნებაზე. თავიდანვე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ის გულისხმობს უარის თქმას იმაზე, რაც უფრო დაბალია უმაღლესისთვის, ისევე, როგორც თესლი სწირავს თავს, რათა ხე დაიბადოს. მსხვერპლშეწირვა არის სიხარულის მატარებელი და ეს სიხარული არ იქნება ჩვენი, თუ ჩვენ არ გვსურს შესაბამისი ძალისხმევის მიგება.

ბაჰაულა ამბობს:

„საჭიროა ვიშრომოთ, თუ გვსურს მივაღწიოთ მას; ანთებული უნდა ვიყოთ, რათა ვიგემოთ თაფლი მასთან შეერთებისა; და თუ შევსვამთ ამ თასიდან, განვუდგებით ქვეყნიერებას.“[17]

აბდულ-ბაჰა ამბობს:

„...ნუ მოისვენებთ, ნუ ეძიებთ სიმშვიდეს, ნუ ესწრაფვით ამ მანკიერი სამყაროს სიტკბოებას, განიწმინდეთ ყოველგვარი ლტოლვისაგან, სულითა და გულით ეცადეთ სრულად დამკვიდრდეთ ღმერთის სასუფეველში. შეიძინეთ ზეციური საუნჯე. დღითიდღე გასხივოსნდით. სულ უფრო და უფრო მიუახლოვდით ერთიანობის ზღურბლს."[18]

ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ჩვენი მიზნების მისაღწევად საჭიროა ძალისხმევა. მაგრამ ამ მარტივ რწმენას პრაქტიკაში გარკვეული ფარული აზრი აქვს, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს შესაბამისობა საჭირო ენერგიის რაოდენობასა და მიზნის ან ამოცანის სირთულის დონეს შორის. ჩვენ თავს ვიტყუებთ, თუ გვგონია, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია ნაკლები ძალისხმევით. მაგრამ ძალისხმევის სიდიდე არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია. საჭიროა თანმიმდევრულობა და გამძლეობა. საჭიროა ფოკუსირება. ამოცანების შესრულების ჩვევა, არ გადაახტე ერთიდან მეორეზე და არ დატოვო სამუშაო შეუსრულებლად, აუცილებელია. გულგრილი მცდელობა ნაყოფს არ გამოიღებს. წარმოიდგინეთ ყოველკვირეული გაკვეთილი ბავშვების სულიერი აღზრდისთვის. მასწავლებელმა უნდა დაუთმოს გარკვეული საათი თითოეული კლასისთვის მოსამზადებლად, მთელი მისი ხანგრძლივობის მანძილზე მთლიანად იყოს ორიენტირებული დაეხმაროს მოსწავლეებს გაკვეთილის შინაარსის გაგებაში, რეგულარულად ეწვიოს ახალგაზრდების მშობლებს და თვალყური ადევნოს მათ ინდივიდუალურ პროგრესს, კვირიდან კვირამდე. რა ბედის ქვეშ აღმოჩნდება კლასი, რომლის მასწავლებელი მხოლოდ ხანდახან ემზადება, სესიას ადრეულად და უეცრად ამთავრებს დაღლილობის საბაბზე და არ უთმობს საჭირო დროს თითოეულ ბავშვზე ფიქრს და მშობლებთან მისი პროგრესის განხილვას? და რა მოხდება, თუ გაკვეთილი უბრალოდ გაუქმდება, როცა მასწავლებელს სურს შეასრულოს რაიმე სხვა ვალდებულება, მაგალითად, იყოს მეგობართან, რომელიც ქალაქგარედან სტუმრობს?

ეს რამდენიმე შენიშვნა უნდა დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ძალისხმევის რაოდენობასაც და ხარისხსაც, რომელსაც მივაგებთ ყოველი საქმნიანობის დროს. ეს ეხება არა მხოლოდ იმ მსახურების აქტებს, რომლებშიც ჩვენ ვმონაწილეობთ; ის თანაბრად ეხება ჩვენს განვითარებას. სულიერი ჩვევებიც კი, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ ამ სერიის პირველ წიგნში - რეგულარულად ვილოცოთ, ყოველდღე წავიკითხოთ წმინდა ნაწერები, ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შევათანხმოთ ჩვენი ცხოვრება სწავლებებთან, მთელი გულით მივიღოთ მონაწილეობა ლოცვით შეხვედრებში - დამოკიდებულია მუდმივ ძალისხმევაზე. ქვემოთ მოცემულია მაგალითების მთელი რიგი, რომლებიც დაკავშირებულია ძალისხმევასთან. იმის გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანია ჭეშმარიტი, დაგეხმარებათ ამ საკითხზე შემდგომი გააზრებისთვის:

_____ თუ ჭკვიანი ხარ, არ გჭირდება მძიმე შრომა.

_____ რატომ უნდა აირჩიო გრძელი გზა ყოველთვის უმოკლესი ეძიე.

_____ ტკივილის გარეშე ვერ გაიმარჯვებ.

_____ დიდი ოცნებები იქონიე შენი სურვილები ახდება.

_____ რაც უფრო დიდია ჯილდო, მით მეტია ძალისხმევა.

_____ რაც უფრო დიდია ძალისხმევა, მით უფრო ტკბილია ჯილდო.

_____ თუ თავიდან წარმატებას ვერ მიაღწევ, სცადე, ისევ სცადე.

_____ რატომ უნდა იმუშაო, როცა შეგიძლია სხვებს გააკეთებინო შენ მაგივრად?

_____ თუ ამას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაშინ ბედად გეწია შენდა მიუღწეველი ყოფილიყო.

_____ მცირე ნაბიჯები - ხშირი და თანმიმდევრული - შეიძლება შორს გაგიყვანოს.

_____ არაფერი, რაც ღირებულია, მოდის მარტივად.

_____ სრულყოფილება მოითხოვს გულწრფელ მიძღვნას.

_____ ათასი მილის მოგზაურობა ერთი ნაბიჯით იწყება.

_____ უბრალოდ თავის გატანა არ არის საკმარისი.

_____ ჩვენ არ უნდა ველოდოთ მოვლენების განვითარებას; ჩვენ უნდა მივსდიოთ მათ.

_____ წარმატება იღბალის საკითხია.

_____ ჩვენ არ მივაღწევთ ჩვენს ორმხრივ მიზანს ჯადოქრობით.

_____ ჩვენ ყოველდღე უნდა განვსაჯოთ საკუთარი თავი.

ჩვენ მივდივართ მსახურების გზაზე, სადაც ვცდილობთ მივაღწიოთ საკუთარ სულიერ და ინტელექტუალურ ზრდას და შევიტანოთ წვლილი საზოგადოების გარდაქმნაში. ცხადია, რომ ამ ორმხრივი მიზნის მიღწევა ჩვენი მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ბაჰაულა გვეუბნება:

> **"შეუდარებელმა შემოქმედმა ყველა ადამიანი ერთი მასალისგან შექმნა და აამაღლა არსი მათი მის ყოველ ქმნილებათა ზედა. ამიტომ, წარმატება თუ მარცხი, შენაძენი თუ დანაკარგი თვით ადამიანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. რამდენადაც უფრო მიზანსწრაფულია იგი, მით მეტად მიიწევს წინ."[19]**

შესაძლოა სურვილი გქონდეთ დაიმახსოვროთ ზემოაღნიშნული ნაწყვეტი, თუ ეს ჯერ არ გაგიკეთებიათ.

განყოფილება 9

იმისათვის, რომ მსახურებისგან სიხარული მივიღოთ, საკუთარ თავში გარკვეული დამოკიდებულებები უნდა გამოვიმუშაოთ. მაგალითად, მადლობელი უნდა ვიყოთ იმ მსახურების ძღვენისა, რომელიც ღმერთმა გვიბოძა; მიუღებელია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენ ღმერთს სიკეთეს ვუკეთებთ, როცა მის საქმეს ვემსახურებით. ასევე უნდა ვისწავლოთ პესიმიზმის თავიდან აცილება და ცხოვრებას სამყაროს ოპტიმისტური ხედვით მივუდგეთ. მსახურების გზაზე არსებული დაბრკოლებები შეიძლება გადაიზარდოს შემდგომი წინსვლის საფეხურებად. სირთულეების ფონზეც კი, რწმენის თვალით უნდა ვუყურეთ მომავალს. აბდულ-ბაჰას შემდეგი სიტყვები მიუთითებს იმედსა და ოპტიმიზმზე, რომელიც უნდა ახასიათებდეს ჩვენს ძალისხმევას:

„თავდაპირველად, რა მცირეა თესლი, მაგრამ საბოლოოდ ძლევამოსილი ხეა. ნუ უმზერ თესლს, თვალი ადევნე ხეს და მის ყვავილებს, მის ფოთლებსა და ნაყოფებს.”[20]

„მაშასადამე იცოდეთ ამ პაწაწინა თესლის სასიცოცხლო მნიშვნელობისა, რომელიც ჭეშმარიტმა მხვნელ-მთესველმა თავისი მოწყალების ხელებით დათესა უფლის მოხნულ მინდვრებში და მორწყა ძღვანისა და მოწყალების წვიმით და ახლა საზრდოობს ჭეშმარიტების ვარსკვლავის სითბოსა და სინათლეში."[21]

„როდესაც ცქერით ხის ზრდასა და განვითარებას, იმედი იქონიეთ მის საბოლოო შედეგზე. ის აყვავდება და საბოლოოდ ნაყოფს გამოიღებს. თუ მშრალ ხეს ან ძველ ხეებს დაინახავთ, ნაყოფის არავითარი იმედიც კი იარსებებს.“[22]

„ამიტომ, ღვთის მოყვარულმა ხალხმა, შრომისმოყვარეობით, თავიანთი ძალისხმევის წყლებით, უნდა იზრუნონ, ასაზრდოონ და აღზარდონ იმედის ეს ხე.“[23]

„თუ გული შორდება ღვთის მიერ მოწოდებულ კურთხევებს, როგორ შეუძლია მას იქონიოს ბედნიერების იმედი? თუ ის თავის იმედსა და ნდობას ღვთის წყალობაში არ ამყარებს, სად შეუძლია მას სიმშვიდე ჰპოვოს?.“[24]

ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებზე დასაფიქრებლად, დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

1. თავდაპირველად, რა მცირეა თესლი, მაგრამ საბოლოოდ _____
_____

2. ჩვენ არ უნდა შევხედოთ პაწაწინა თესლს, არამედ _____
_____

3. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, მაშასადამე, რომ პაწაწინა თესლის მნიშვნელობა, მისი მოწყალების ხელებით, _____
_____
_____
_____

4. როდესაც ვხედავთ, რომ ხე იზრდება და ვითარდება, ჩვენ უნდა _____
_____

5. როდესაც ვხედავთ, რომ ხე იზრდება და ვითარდება, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ _____
_____

6. საკუთარი ძალისხმევის წყლებით, ჩვენ უნდა _____
_____

7. თუ გული შორდება ღვთის მიერ მოწოდებულ კურთხევებს _____
_____ ?

8. თუ გული თავის იმედსა და ნდობას ღვთის წყალობაში არ ამყარებს, _____
_____ ?

ახლა დაფიქრდით ერთი წუთით: ეთანხმებით თუ არა, რომ ჩვენი მხიარული და იმედისმომცემი სული, თავმდაბალი მადლიერების მდგომარეობასთან ერთად, სხვებისთვის სიხარულის წყაროა? და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ საქმის მსახურებაში აღდგომისას, ჩვენ ვატარებთ სასიხარულო ცნობას ახალი დღის გარიჟრაჟის, კაცობრიობის თავმოყრის დღის შესახებ. დაე, გაჟღერდეს ბაჰაულას სიტყვები ჩვენს გულებში:

> **„ბედნიერნი არიან ისინი, ვინც მოქმედებენ; ბედნიერები არიან ისინი, ვისაც ესმით; ბედნიერია ადამიანი, რომელიც მიჯაჭვულია ჭეშმარიტებაზე, განდგომილი ყველაფრისგან, რაც ცაში და დედამიწაზე სუფევს.“**[25]

ბიბლიოგრაფია

1. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*(Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1983, 2017 printing), CLIII, par. 5, p. 369.

2. Ibid., CXXXII, par. 3, p. 326.

3. Bahá'u'lláh, *The Hidden Words* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2003, 2012 printing), Arabic no. 2, p. 3.

4. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CVI, par. 1, p. 241.

5. Ibid., CIX, par. 2, p. 243.

6. Bahá'u'lláh, in *Women: Extracts from the Writings of Bahá'u'lláh, 'Abdu'l-Bahá, Shoghi Effendi and the Universal House of Justice*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1986, 1997 printing), no. 53, p. 26.

7. *The Hidden Words*, Arabic no. 11, p. 6.

8. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CLIII, par. 5, p. 370.

9. Ibid., CXXIX, par. 1, p. 316.

10. Ibid., XLIII, par. 9, p. 109.

11. From a talk given on 19 November 1911, published in *Paris Talks: Addresses Given by 'Abdu'l-Bahá in 1911*(Wilmette: Bahá'í Publishing, 2006, 2016 printing), no. 32.2, p. 121.

12. *The Hidden Words*, Persian no. 12, p. 26.

13. Ibid., Persian no. 14, p. 26.

14. Ibid., Arabic no. 15, p. 7.

15. Ibid., Persian no. 32, p. 33.

16. Bahá'u'lláh, in *The Bahá'í World: Volume One, 1925–1926* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1926, 1980 printing), p. 42.

17. *The Call of the Divine Beloved: Selected Mystical Works of Bahá'u'lláh*(Haifa: Bahá'í World Centre, 2018), no. 2.12, p. 17.

18. *Tablets of the Divine Plan: Revealed by 'Abdu'l-Bahá to the North American Bahá'ís* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1993, 2006 printing), no. 13.6, pp. 95–96.

19. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, XXXIV, par. 8, p. 91.

20. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2010, 2015 printing), no. 40.3, pp. 118–19.

21. Ibid., no. 40.3, p. 119.

22. From a talk given on 11 May 1912, published in *The Promulgation of Universal Peace: Talks Delivered by ‘Abdu’l-Bahá during His Visit to the United States and Canada in 1912* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2012), par. 2, p. 153.

23. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá* , no. 206.13, pp. 356–57.

24. From a talk given by ‘Abdu’l-Bahá on 21 November 1911, published in *Paris Talks*, no. 34.8, p. 133.

25. Bahá’u’lláh, *Epistle to the Son of the Wolf* (Wilmette: Bahá’íPublishing Trust, 1988, 2016 printing), p. 139.

ამაღლებული საუბრები

მიზანი

სულიერი პრინციპების საუბარში
წარმოდგენისუნარის შეძენა-დაუფლება.

განყოფილება 1

ამ წიგნის პირველ თავში ჩვენ ვისაუბრეთ, რომ საქმისადმი მსახურების გზაზე თქვენ უსაზღვრო სიხარულს იძენთ ბაჰაულას მიერ გამჟღავნებული ღმერთის სიტყვების სხვებისთვის გაზიარებით. მსახურების გზაზე სიარულისას, უამრავი საშუალება გვეძლევა მეგობრებთან გავაზიაროთ ბაჰაულას გამოცხადებაში დაფარული სიბრძნის ფასდაუდებელი განძი. მაშასადამე, ყველაზე არსებით უნარებს შორის, რომლებიც ჩვენ ყველამ უნდა განვავითაროთ, არის ის, რაც საშუალებას გვაძლევს წვლილი შევიტანოთ შინაარსობრივ და ამაღლებულ საუბარში. ამ თავის და შემდგომის მიზანია დაგეხმაროთ ამ კუთხით. აქ თქვენ დაგაინტერესებთ, თუ როგორ აამაღლოთ საუბრის დონე სულიერი პრინციპების მითითებით, როცა ეს შემთხვევა მოითხოვს. შემდეგ თავში, თქვენ იფიქრებთ იმაზე, თუ როგორ უნდა წამოიწყოთ და გააგრძელოთ საუბრების სერია გარკვეულ თემებზე, როგორც სისტემატური ძალისხმევის ნაწილი თქვენს სოფელში ან სამეზობლოში სიცოცხლით სავსე თემის ასაშენებლად.

რასაც ჩვენ გავაკეთებთ შემდეგ განყოფილებებში, უშუალოდ გადავხედავთ უამრავ ნაწყვეტს სხვადასხვა თემაზე, რომლებიც, მართალია არა ზუსტი ციტირებით, მაგრამ ყველა ეფუძნება აბდულ-ბაჰას საუბრებსა და სიგელებს და შეიცავს ბევრ ფრაზას, რომელიც მან გამოიყენა. თქვენ უნდა წაიკითხოთ თითოეული ნაწყვეტი რამდენჯერმე, განსაზღვროთ იდეების თანმიმდევრობა და რიგრიგობით გამოთქვათ ისინი თქვენი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, სანამ არ შეძლებთ მათ ბუნებრივად გადმოცემას. ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ საუბრის მარტივად მზადყოფნაში, როცა მიზანშეწონილად მიგაჩნიათ რწმენის სწავლებაზე დაყრდნობით დისკუსიის წინწაწევა.

თქვენ განაგრძობთ ამ თავში, რა თქმა უნდა, წმინდა ნაწერებიდან ციტატების დამახსოვრებას, რადგან მათ განსაკუთრებული ძალა გააჩნიათ, რომელიც ადამიანის გულში აღწევს და, როდესაც თქვენს მეტყველებაში აისახება, ღრმა გავლენას მოახდენს მსმენელზე. თუმცა საუბარში წმინდა ნაწერებიდან ციტირება სიბრძნეს მოითხოვს. აუცილებელია ზომიერება, ბალანსი წმინდა წერილებიდან პირდაპირ ციტირებასა და რწმენის სწავლებების ასახსნელად საკუთარი სიტყვების გამოყენებას შორის. ამ ბალანსის მისაღწევად, თქვენ უნდა დაუთმოთ დიდი დრო და ენერგია წმინდა ნაწერების შესწავლას და მისცეთ მათ საშუალება, ჩამოაყალიბონ თქვენი აზრები და გრძნობები.

განყოფილება 2

სწავლებისთვის შემოთავაზებულ პირველ ნაწყვეტში საუბარია აღმზრდელის, განმანათლებლის აუცილებლობაზე:

> როდესაც ცხოვერების საკითხს განვიხილავთ, ვრწმუნდებით რომ მინერალულ, მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანურ სამეფოებს, თითოეულს და ყველას სჭირდება განმანათლებელი. ბაღს ესაჭიროება მებაღე. უხვი მოსავლის მისაღებად მიწას ფერმერი სჭირდება. თუ ადამიანი მარტოდმარტოა ველურ ბუნებაში, იგი ცხოველურ ყოფას ეჩვევა. ხოლო თუ სათანადოდაა აღზრდილი, შეუძლია დიდების უმაღლესი მწვერვალიც კი

დაიპყროს. რომ არ ყოფილიყვნენ აღმზრდელები, არც ცივილიზაცია იარსებებდა.

აღზრდის სამი სახეობა არსებობს: მატერიალური, ჰუმანიტარული და სულიერი. მატერიალური აღზრდა სხეულის განვითარებას ემყარება. ჰუმანიტარული – ცივილიზაციასა და პროგრესს. იგი შეეხება მმართველობას, ადმინისტრაციას, ქველმოქმედებას, პროფესიას, ხელოვნებას და ხელოსნობას, მეცნიერებას, დიდ გამოგონებებსა და აღმოჩენებს. სულიერი აღზრდა ღვთაებრივი სრულყოფილებების მიღწევას ემსახურება, ეს არის ჭეშმარტი განათლება, რამდენადაც მისი მიზანი ადამიანის სულიერი ბუნების განვითარებაა.

იმისათვის, რომ კაცობრიობა განვითარდეს, მას სჭირდება განმანათლებელი, რომელსაც ექნება სათანადო ცოდნა მატერიალური, ჰუმანიტარული თუ სულიერი საკითხებისა. თუ ვინმე იტყვის „მე სრულყოფილი ინტელექტი გამაჩნია და სრულებითაც არ ვსაჭიროებ ასეთ აღმზრდელს“ – ის ამით უარყოფს იმას, რაც ნათელი და აშკარაა. ეს იმ ბავშვის საუბარს ჰგავს, რომელიც გაიძახის „მე არ მჭირდება განათლება, ჩემი შეხედულებისამებრ და ჭკუა-გონების მიხედვით ვიმოქმედებ და თავადვე მოვაღწევ სრულყოფილებას.“

კაცობრიობას ყოველთვის სჭირდებოდა ისეთი სრულყოფილი განმანათლებელი, რომელიც მას სხეულის სიჯანსაღის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარებოდა, ასევე შთააგონებდა ცოდნის დაუფლებას, მოუწოდებდა გამოგონებებისა და აღმოჩენებისაკენ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – მის ცხოვრებას, ჭეშმარიტ სულს შთაბერავდა. არც ერთ უბრალო მოკვდავს არ ძალუძს ამ მეტად საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა. მხოლოდ ღმერთის მიერ მოვლენილი გამოცხადება ფლობს ძალას მათი გადაწყვეტისა. ესენი არიან რჩეული სულები, რომელთაც ღმერთი კაცობრიობის საყოველთაო განმანათლებლად აგზავნის.

1. ჯგუფში რამდენიმეჯერ წაიკითხეთ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები და ერთმანეთს მათი შინაარსის შესწავლაში დაეხმარეთ, როგორც სხვა კურსების შემთხვევაში, შეგიძლიათ ერთმანეთს დაუსვათ ამ ნაწყვეტებში წარმოდგენილ მოსაზრებებთან დაკავშირებული კითხვები და ეცადეთ მათ გადმოცემას თქვენივე სიტყვებით.

2. შემდეგ, განიხილეთ თქვენს ჯგუფში, თუ როგორ შეიძლებოდა წარმოგედგინათ იდეები, რომლის გამოხატვაც შეისწავლეთ, საუბარში. ცხადია, თქვენ არ აპირებთ უცაბედ უთხრათ თქვენს მეგობრებს, რომ აღზრდა სამი სახისაა. მაშასადამე, ღირს, რომ იფიქროთ ურთიერთქმედების ტიპებზე, რომლებშიც ზემოაღნიშნული იდეები შესაფერისი, მართებული იქნებოდა. შესაძლოა, განსახილველი საკითხი არის საზოგადოების ზნეობრივი დაცემა ან როგორ ვიშრომოთ მსოფლიოს გასაუმჯობესებლად. დაფიქრდით იმ მრავალფეროვან საუბრებზე, რომლებშიც თქვენ ესაუბრებით მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და ნაცნობებთან. იმ საკითხებს შორის, რომლებიც მათ გონებას იკავებს, არის თუ არა ისეთი, რომელიც ამ ნაწყვეტებში მოცემული იდეების ირგვლივ განხილვის საშუალებას იძლევა?

_____

_____

_____

_____

_____

3. საუბარში ხშირად იბადება კითხვები ისეთ თემებზე, როგორიც ახლახან შეისწავლეთ. რა პასუხს გასცემდით კითხვაზე: „ვინ არიან ის განმანათლებლები, რომელთა შესახებაც თქვენ საუბრობდით?“

_____

_____

_____

4. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ციტატა ბაჰაულას ნაწერებიდან, რომლებიც ყოვლადსაჭირო აღმზრდელის თემას ეხება. ყურადღებით შეისწავლეთ ისინი და ეცადეთ ზეპირად ერთი მაინც დაიხსომოთ. ამ გზით თქვენ შეგეძლებათ ეს ნაწყვეტები საუბრებში შესაფერისად გამოიყენოთ:

„ყოველი ადამიანი შეიქმნა იმისთვის, რომ წინ წასწიოს მარადიულ განვითარებაში მყოფი ცივილიზაცია.“[1]

„როს ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი – ამაღლდეს დიდება მისი – კაცთ ევლინება, მისი მიზანია, თვალწინ გადაუშალოს თვალმარგალიტნი, დაფარული მათსავე ჭეშმარიტ და შინაგან არსში.“[2]

„უფალს წინასწარმეტყველთა წარმოგზავნისას ორგვარი მიზანი ამოძრავებს. პირველი – გაათავისუფლოს ადამის ძენი უმეცრების წყვდიადისაგან და წარუძღვეს მათ ჭეშმარიტების შემეცნების ნათელისაკენ. მეორე – კაცობრიობას მიანიჭოს სიმშვიდე, მყუდროება და გაითვალისწინოს ყველა საშუალება, რომლითაც ამის მიღწევაა შესაძლებელი.“[3]

„ყველა დროში და ნებისმიერ პირობებში ადამიანები საჭიროებენ მათ, ვინც დაეხმარება, მეგზურობას გაუწევს, მიმართულებას მისცემს და ასწავლის მათ.“[4]

განყოფილება 3

ქვემოთ მოყვანილ აბზაცებში საუბარია იმაზე, რომ ღმერთის შეცნობა – მხოლოდ მისი გამოცხადებების მეშვეობით შეიძლება და უდაოდ დაგეხმარებათ მეგობრებთან საუბრისას:

> დააკვირდით უსასრულო სამყაროს. განა შეიძლებოდა იგი შემოქმედის გარეშე შექმნილიყო? ან რომ შემოქმედის რეალობის გაგება შესაძლებელი ყოფილიყო იმით, რაც მან შექმნა? თუ დააკვირდებით ყველა ქმნილებას დაინახავთ, რომ უმდაბლესს არ ძალუძს ჩაწვდეს უმაღლესის ძალას. ასე,

რომ ქვა და ხე, როგორც არ უნდა ვითარდებოდეს იგი, ვერასოდეს წარმოიდგენს ხედვისა და სმენის ძალას. ცხოველი ვერასოდეს ჩაწვდება ადამიანის არსს და ვერც მის სულიერ ძალას წარმოიდგენს. მაშ, როგორ შეგვიძლია ჩვენ, ქმნილს, ჩავწვდეთ შემოქმედის არსს?

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის გონება ვერასოდეს ჩაწვდება ღმერთს, ის მის შეცნობას მოწყვეტილი როდია. დროდადრო დედამიწას ევლინებიან ადამიანები, რომლებიც ღმერთის მიერ არიან წარმოგზავნილნი, ღმერთისგან მომდინარი სრულყოფილება, მოწყალება და ბრწყინვალება წმინდა გამოცხადებაშია ხორცშესხმული, მსგავსად საგულდაგულოდ გაწმენდილი სარკისა – მზეს რომ ირეკლავს. იმის მტკიცება, რომ ეს სარკეები ჭეშმარიტების მზის გამოცხადებანი არიან, სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოსდა მზე ჩამოსულიყოს მისი სიდიადის სიმაღლიდან და სარკეს შერწყმოდეს. ასევე, ღმერთი არ ჩამოდის სიწმინდის ზეციდან არსებობის ამ სიბრტყეზე. ყოველივე ეს გულისხმობს შემდეგს: ნებისმიერი რამ, რაც კაცობრიობამ იცის, აღმოაჩენს და შეიცნობს ღმერთის სახელების, ნიშნებისა და სრულყოფილების შესახებ, ღმერთის წმინდა გამოცხადებებსაც ეკუთვნის.

1. ამ ნაწყვეტის ჯგუფში რამდემეჯერ წაკითხვისა და თემასთან დაკავშირებული შეკითხვების ერთმანეთისთვის დასმის შემდეგ. სცადეთ საკუთარი სიტყვებით გადმოსცეთ მისი შინაარსი.

2. ახლა განიხილეთ თქვენს ჯგუფში, თუ როგორ შეძლებთ საუბარში ბუნებრივად გადმოსცეთ აქ ნასწავლი იდეები. ეს მარტივად შეიძლება გაკეთდეს, მაგალითად, ღმერთის არსებობის ან ცხოვრების მიზნის შესახებ დისკუსიის დროს. რა სხვა თემები და კითხვები წამოიჭრება თქვენს ოჯახსა და მეგობრებს შორის საუბარში, რომლებიც საშუალებას შეგიქმნით ამ იდეების გაზიარებისა?

_____

_____

_____

_____

_____

3. წარმოიდგინეთ, რომ მეგობრებთან საუბრისას მოგეცათ შესაძლებლობა გაგეცნოთ მისთვის თქვენს მიერ ახლახანს შესწავლილი იდეები. როგორ უპასუხებდით თუ ერთ-ერთი მათგანი შემდგომ კითხვას დაგისვამდათ: „რა ვიცით ღმერთსა და მის გამოცხადებებზე?“

_____

_____

_____

4. შესაძლოა გაგიჩნდეთ სურვილი ზეპირად ისწავლოთ ქვემოთ მოყვანილი ციტატები ბაჰაულას ნაწერებიდან, ისინი ხომ სათანადო თემაზე მეგობრებთან საუბრისას დაგეხმარებათ:

„მისი ცნობა და მიღწევა, ვინც არის ყოველივეს საწყისი, შეუძლებელია მათი ცნობისა და მიღწევისა გარეშე, ვინც ჭეშმარიტების მზისგან წამოსული ნათელი არსებანი არიან.“[5]

„ის, ვისშიც უფლის გამოცხადებამ ხორცი შეისხა, თავად ღმერთს წარმოადგენს და მისი სახელით მეტყველებს. ის ჭეშმარიტად არის ღვთის უბრწყინვალეს წოდებათა განთიადი და ადგილი მის ამაღლებულ ნიშანთა გარდამოსვლისა.“[6]

„ამასთან ერთად, გჯეროდეთ, რომ გარჯა და საქმენი ყოველი გამოცხადებისა, ყოველივე, რაც მათ ეკუთვნით ან უნდა გამოხატონ მომავალში ღმერთის მიერაა განწესებული და მისი ნებისა თუ მიზნის ანარეკლია.“[7]

განყოფილება 4

რელიგიის ერთიანობა ბევრის ინტერესის საგანია და ქვემოთ მოყვანილი იდეები ბევრ შემთხვევაში დაგეხმარებათ:

ჩვენ უნდა გვიყვარდეს შუქი, რომელი ლამპრიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ვარდი, რომელ ბაღშიც არ უნდა ჰყვაოდეს იგი. ჩვენ უნდა ვიყოთ მაძიებელნი ჭეშმარიტებისა, საიდანაც არ უნდა იღებდეს სათავეს იგი. ერთ ლამპარზე მიჯაჭვულობამ შეიძლება ხელი შეგვიშალოს მეორის მიერ გამოცემული შუქის შეფასებაში. ჭეშმარიტების ძიებისას უნდა განვთავისუფლდეთ ყოველგვარი პირადი შეხედულებებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრებებისგან. თუ ჩვენი ფიალა საკუთარი მეს სიყვარულითაა სავსე, მასში აღარ იქნება ადგილი მაცოცხლებელი წყლისთვის.

რელიგია არის სამყაროს სინათლე. ის წარმართავს ჩვენს ნაბიჯებს და გვიხსნის უსასრულო ბედნიერების კარებს. როდესაც ჩვენ ვიკვლევთ ყველა დიდი რელიგიის სწავლებას, თავისუფალი დოგმატური რწმენის შეზღუდვებისგან და ბრმა მიბაძვისგან, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ისინი ერთსა და იმავე საფუძველს ემყარება. ისინი ყველა ავლენენ ღმერთის ცოდნას. ისინი კაცობრიობის სამყაროს წინსვლას ესწრაფვიან.

რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებები სოციალურ კანონებსა და წესდებებს შორის, რომლებიც გავრცელდა თითოეული რელიგიის მიერ დროისა და ადგილის მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ მათი არსით ყველა რელიგია ერთია. ისინი ავითარებენ რწმენას, ცოდნას, გულდაჯერებულობას, სამართლიანობას, ღვთისმოსაობას, მაღალგონიერებას, სანდოობას, ღვთის სიყვარულს და ქველმოქმედებას. ისინი ასწავლიან სიწმინდეს, განდგომილებას, თავმდაბლობას, თავშეკავებულობას, მოთმინებას და მუდმივობას. ეს ადამიანური სათნოებები ნახლდება ყოველ დისპენსაციაში.

სამწუხაროა, რომ ცრურწმენებისა და ბრმა მიბაძვის გამო, ბევრს არ ძალუძს რელიგიის ერთიანობა დაინახოს. ღმერთის ხელმძღვანელობა კაცობრიობისთვის არის ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებას არ აქვს გაყოფა; ის არის ერთი. თუ ჭეშმარიტებას დამოუკიდებლად გამოვიკვლევთ, წინასწარ ჩამოყალიბებული აზრების გადადებით, ჩვენი ძიება ერთიანობამდე მიგვიყვანს. რელიგიამ უნდა გაგვაერთიანოს; მან უნდა დაამყაროს სიყვარულის კავშირები ადამიანებს შორის. თუ ის ხდება მტრობისა და უთანხმოების მიზეზი, მაშინ მისი არარსებობა უფრო სასურველია.

1. წინამდებარე განყოფილების მსგავსად ჯგუფთან ერთად რამდენიმეჯერ წაიკითხეთ ზემოთმოყვანილი ნაწყვეტი, ერთმანეთს დაუსვით კითხვები მოცემულ იდეებთან დაკავშირებით და შეეცადეთ მათ გამოთქმას თქვენი სიტყვებით.

2. იფიქრეთ თქვენს ჯგუფში, თუ როგორ შეგიძლიათ გადაიტანოთ თქვენი შესწავლილი იდეები საუბარში, მაგალითად, რელიგიური კონფლიქტის შესახებ, რომელიც ასე ხშირად ამძიმებს ადამიანების გონებას. მაგრამ თქვენ ასევე შეიძლება აღმოჩნდეთ რამდენიმე მეგობარს შორის, რომლებიც განიხილავენ ჭეშმარიტების გამოძიების მნიშვნელობას და არ იყო მანიპულირებული პროპაგანდის მიერ. კიდევ ერთხელ დაფიქრდით თქვენს ბოლოდროინდელ საუბრებზე მეგობრებთან და მეზობლებთან, თანამშრომლებთან და ნაცნობებთან. რა საკითხები აწუხებს მათ გონებას, რაც სარგებელს მოუტანს ამ იდეების გარშემო განხილვას?

_____

_____

_____

_____

_____

3. როგორ უპასუხებდით, თუ საუბარში ზემოთ მოცემული იდეების გაზიარების შემდეგ ვინმემ გკითხოთ: „დაასახელეთ ჭეშმარიტებანი, რომლებიც საერთოა ყველა რელიგიისათვის?“

_____

_____

_____

4. რეკომენდებულია ბაჰაულას ქვემოთმოყვანილი ციტატების დაზეპირება, მათი საუბრისას გამოყენების მიზნით:

„ეჭვი არ არის, რომ სამყაროს ხალხები, რომელი რელიგიისა და რასისაც არ უნდა იყვნენ, ერთი ციური წყაროდან იღებენ შთაგონებას და ერთი ღმერთის ხელქვეითნი არიან.“[8]

„მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით დაუკავშირდით ყველა რელიგიის მიმდევართ.“[9]

ღმერთის სარწმუნოებისა და მისი რელიგიის მასულდგმულებელი ძირითადი მიზანი ადამიანთა მოდგმის ინტერესების დაცვა და მათი ერთობის ხელშეწყობაა...“[10]

„ღმერთის რელიგია სიყვარულისა და ერთიანობისთვის არსებობს; ნუ გადააქცევთ მას მტრობისა და განხეთქილების სათავედ.“[11]

განყოფილება 5

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთკავშირი არის შემდეგი საგანი, რომლის შესწავლაც მოგეთხოვებათ.

რელიგია უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერებას. ღმერთმა დაგვაჯილდოვა გონიერებით, რათა გავიგოთ რა არის ჭეშმარიტი. მოსალოდნელია, რომ მეცნიერება და რელიგია უნდა აკმაყოფილებდეს გონების სტანდარტებს. ამიტომ ისინი უნდა იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებული. ეს არის ორი ფრთა, რომლებზეც ადამიანური ინტელექტი დიდ სიმაღლეებამდე აიწევს, ორი ფრთა, რომლითაც კაცობრიობას შეუძლია ფრენა. ერთი ფრთა არ არის საკმარისი.

მეცნიერება ღმერთის ძღვენია. ის ამჟღავნებს ფიზიკური სამყაროს კანონებს და საშუალებას გვაძლევს დავძლიოთ ბუნების მიერ დაწესებული შეზღუდვები. სამეცნიერო ინსტრუმენტების დახმარებით, ჩვენ ვხედავთ შეუიარაღებელი თვალით უხილავ ნივთებს და მომენტალურად ვამყარებთ კავშირს უზარმაზარ მანძილებზე. მეცნიერება აერთიანებს აწმყოსა და წარსულს და განჭვრეტს მომავლის საიდუმლოებებს. ხალხის პროგრესი დამოკიდებულია მეცნიერულ მიღწევებზე.

ღმერთის რელიგია არის ჭეშმარიტების ხელშემწყობი, ცოდნის მხარდამჭერი და კაცობრიობის ცივილიზატორი. რელიგიის გარეშე მეცნიერება იქცევა მატერიალიზმის წინსვლის იარაღად, რაც საბოლოოდ სასოწარკვეთამდე მიგვიყვანს. როდესაც რელიგია ეწინააღმდეგება მეცნიერებას, ის უბრალო ცრურწმენად იქცევა. თუ რელიგია და მეცნიერება ერთად იცხოვრებენ ჰარმონიაში, სიძულვილისა და სიმწარის დიდი ნაწილი, რომელიც ახლა კაცობრიობას უბედურება მოაქვს, დასრულდება.

1. როგორც ყოველთვის, რამდენჯერმე წაიკითხეთ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი თქვენს ჯგუფში, აბზაც-აბზაც და დაუსვით ერთმანეთს კითხვები, სანამ არ ისწავლით შინაარსს საკმარისად კარგად, რომ ბუნებრივად გამოხატოთ იგი თქვენი სიტყვებით.

2. როგორ უპასუხებდით მას, ვინც გამოთქვა შემდეგი: „რელიგია წარსულს ჩაბარდა; მეცნიერება გადაჭრის კაცობრიობის ყველა პრობლემას“. იქნება თუ არა თქვენთვის სასარგებლო იმის გაშუქება, რომ რელიგია არ არის იგივე, რაც ცრურწმენა, მაგრამ ის ამად იქცევა მეცნიერების გარეშე, და რომ მეცნიერება რელიგიის გარეშე იწვევს მატერიალიზმისგან წარმოშობილ სასოწარკვეთას? შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები, თუ როგორ ვლინდება ეს პროცესი?

_____

_____

_____

_____

_____

3. გირჩევთ დაიმახსოვროთ ერთი ან რამდენიმე შემდეგი ნაწყვეტი ბაჰაულას წერილებიდან:

უპირველეს ყოვლისა, ამ სიკეთეებს შორის, რომლებიც ყოვლისშემძლემ მიანიჭა ადამიანს, არის გაგების ნიჭი. ეს ძღვენი ადამიანს აძლევს ძალას ჭეშმარიტების განჭვრეტისა ყველაფერში, უხელმძღვანელებს მას სიმართლისკენ და ხელს გაუმართავს მას საიდუმლოებების აღმოჩენაში.”[12]

„შეხედეთ სამყაროს და ყურადღებით დაფიქრდით მასზე. ის შენს თვალწინ გადაშლის საკუთარი თავის წიგნს და გამოავლენს იმას, რაც არს ჩაწერილი კალმით შენი უფლისა, ყოვლისშემქმნელისა, ყოვლისმომცველისა.”[13]

”ცოდნა არის როგორც ფრთები ადამიანის სიცოცხლისა და კიბე მისი აღმავლისა. ყოველ ადამიანს ევალება მისი მოპოვება.“[14]

განყოფილება 6

კაცობრიობის ერთიანობა არის თემა, რომელიც დღეს ყველგან რეზონანსს წარმოქმნის ადამიანთა გულებში, და ბევრი მიესალმება თქვენთან ერთად განიხილოს ქვემოთ წარმოდგენილი იდეები.

ბაღი, რომელშიც მრავალი ფერისა და არომატის ყვავილები გვერდიგვერდ იზრდება, თვალისმომჭრელია. და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი განსხვავებულია, თითოეული ყვავილი იპკურება ერთი და იმავე წვიმით და იღებს ერთი მზის სითბოს. ეს ასევე ეხება კაცობრიობას. იგი შედგება მრავალი რასისა და ფერისგან. მაგრამ ყველა ერთი და იმავე ღმერთისაგან მოდის და ყველას ერთი და იგივე წარმოშობა აქვს. მრავალფეროვნება ადამიანის ოჯახში უნდა იყოს ჰარმონიის წყარო, ისევე როგორც მუსიკაში, სადაც სხვადასხვა ნოტები ერთმანეთში ერწყმის სრულყოფილი აკორდის შესაქმნელად.

ერთიანობა აუცილებელია არსებობისთვის. სიყვარული არის სიცოცხლის უმთავრესი მიზეზი. მატერიალურ სამყაროში, ყველა საგნის ელემენტები ერთად იმართება მიზიდულობის კანონით. მიზიდულობის კანონი აერთიანებს გარკვეულ ელემენტებს ლამაზი ყვავილის სახით. მაგრამ როდესაც ეს მიმზიდველობა დაკნინებულია, ყვავილი დაიშლება და არსებობას შეწყვეტს. ასეა კაცობრიობის შემთხვევაშიც. მიზიდულობა, ჰარმონია და ერთიანობა არის ძალები, რომლებიც აერთიანებს კაცობრიობას.

ბაჰაულას აქვს ჩანაფიქრი მსოფლიოს ყველა ხალხის გაერთიანებისთვის. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ისინი ამ ერთიანობის წრეში შევიყვანოთ. როდესაც ჩვენ ვხვდებით რასის, ეროვნების, რელიგიისა და ჩვენი შეხედულებისგან განსხვავებულ ადამიანებს, არ უნდა დავუშვათ, რომ ეს განსხვავებები ბარიერებად იქცეს ჩვენს შორის. ჩვენ უნდა ვიფიქროთ მათზე, როგორც სხვადასხვა ფერის ვარდებზე, რომლებიც იზრდება კაცობრიობის ლამაზ ბაღში და გვიხაროდეს, რომ მათ შორის ვიმყოფებით.

1. ზემოაღნიშნული ნაწყვეტების შესწავლის შემდეგ, როგორც უწინ, დაფიქრდით თქვენს ირგვლივ ვითარებად საუბრებზე. რა არის ხალხის გონზე არსებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ ამ იდეების მათ გაზიარებას?

_____

_____

_____

_____

2. კაცობრიობის ერთიანობის შესახებ საუბარმა შეიძლება გამოიწვიოს დისკუსია საკუთარ თემში ერთიანობის მნიშვნელობის შესახებ. შეგიძლიათ თქვათ რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია თითოეულ ჩვენგანს ამაში წვლილი შეიტანოს?

_____

_____

_____

3. შესაძლოა სურვილი გქონდეთ დაიმახსოვროთ ერთი ან მეტი ქვემოთ მოყვანილი ციტატა, რათა მიმართოთ მათ ამ თემაზე მეგობრებთან ერთად საუბრისას:

„კარავი ერთიანობისა აღიმართა; ნუ ჩათვლით ერთმანეთს უცხოებად თქვენ ერთი ხის ნაყოფნი და ერთი რტოს ფოთლები ხართ.“[15]

„ერთობის ნათელი ისე ძლიერია, რომ მთელი დედამიწა შეუძლია გააბრწყინოს.“[16]

„მიაპყარით სახეები ერთობისაკენ. დაე, მისი ნათელი ბრწყინავდეს თქვენზედ. შეიკრიბეთ ერთად და ამოძირკვეთ ყოველი ფესვი განხეთქილებისა თქვენს შორის, ღვთის გულისათვის.“[17]

„ევალება კაცს შეუპოვრად ერთგული დარჩეს იმისა, რაც ხელს შეუწყობს მეგობრობას, სიკეთეს, ერთობას.“[18]

განყოფილება 7

შემდეგი ნაწყვეტი დაგეხმარებათ წვლილი შეიტანოთ სამართლიანობის საკითხზე, რომელიც ადამიანების უმეტესობის ინტერესის საგანია:

> ადამიანთა შესაძლებლობების განსხვავება მათი არსებობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ადამიანი იყოს თანაბარი ყველა მხრივ. მიუხედავად ამისა, ადამიანთა საქმეები, მთლიანობაში, უნდა იმართებოდეს სამართლიანობის პრინციპით. სამართლიანობა ყველასთვის უნდა იყოს წმინდათაწმინდა, ყველა ადამიანის უფლებები კი დაცული.
>
> სამართლიანობა არ არის შეზღუდული; იგი უნივერსალური თვისებაა. სწორედ მან უნდა მართოს საზოგადოება ნებისმიერ დონეზე. საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ტკბებოდეს ცივილიზაციით, ვინაიდან ყოველი ადამიანი კაცობრიობის სხეულის შემადგენელი ნაწილია. თუ ერთ-ერთ ორგანოს პრობლემები აქვს, მაშასადამე ყველა დანარჩენმაც აუცილებლად უნდა განიცადონ ეს. განა შესაძლებელია სხეულის რომელიღაც ნაწილი დაღონებული, დამწუხრებული იყოს, დანარჩენს კი ეს არ აღელვებდეს? დღევანდელ საზოგადოებას აკლია აუცილებელი ურთიერთგაგება და სიმეტრია; ის არ არის კარგად მოწყობილი. საჭიროა კანონები და პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი ადამიანური ოჯახის კეთილდღეობასა და ბედნიერებას.
>
> სამართლიანობა ჯილდოსა და სასჯელის სვეტებს ეყრდნობა. სახელმწიფოები, რომლებსაც მართავენ ურწმუნოები, ღვთიური სასჯელის შიშის გარეშე, აღასრულებენ უსამართლო კანონებს. ჯილდოს იმედი და დასჯის შიში ორივე საჭიროა, თუ ჩაგვრის თავიდან აცილება გვინდა. კანონმდებელნი თუ აღმასრულებელნი უნდა ითვალისწინებდნენ მიღებული გადაწყვეტილებების სულიერ შედეგებს. როდესაც მმართველს ეცოდინება, რომ პასუხს თავის საქციელზე მიწიერი ცხოვრების შემდეგაც კი აგებს, და თუ ეცოდინება, რომ მისი ყოველი დადგენილება ღვთაებრივი სამართლიანობის სასწორზე აიწონება ის აუცილებელად მოერიდება ძალადობას და ტირანიას.

1. მას შემდეგ რაც შეისწავლით ზემოაღნიშნული იდეების ბუნებრივად გადმოცემას, იფიქრეთ იმაზე, თუ რომელი საუბრის თემები ისარგებლებს იმ შეხედულებებით, რაც ზემოდაღნიშნული ნაწყვეტი გვთავაზობს.

   _____

   _____

   _____

   _____

2. როგორ უპასუხებდით მას, ვისაც სჯერა, რომ უსამართლობა არასოდეს დასრულდება?

_____

_____

_____

3. მოგიწოდებთ დაიმახსოვროთ ქვემოთ მოცემული რამდენიმე ციტატა ბაჰაულას წერილებიდან, რომლებიც დაკავშირებულია სამართლიანობასთან.

„ადამიანის სინათლე სამართლიანობაა. ნუ ჩააქრობთ მას ჩაგვრისა და ტირანიის პირქარით, სამართლიანობის მიზანი ხომ კაცთა შორის ერთობის დამკვიდრებაა.“[19]

„ვერანაირი ბრწყინვალება ვერ შეედრება სამართლიანობის ციალს. სამყაროს მოწყობა და კაცობრიობის სიმშვიდე სწორედ ამაზეა დამოკიდებული.“[20]

„სამართლიანობა წვრთნის სამყაროს, რამდენადაც იგი ჯილდოსა და სასჯელის ორ სვეტს ეყრდნობა. სწორედ ეს ორი სვეტი არის სათავე ქვეყნიერებისთვის სიცოცხლის მომნიჭებელი.“[21]

განყოფილება 8

უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის ყოველდღიურად იზრდება, და ქვემოთ მოცემული ნაწყვეტი დაგეხმარებათ მეგობრებთან საუბრისას ამ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

> დღეს, თანაზიარობისა და ჰარმონიული ურთიერთობის არარსებობის გამო, საზოგადოების ნაწილი კმაყოფილია, ცხოვრობს დიდ კომფორტსა და ფუფუნებაში, ზოგს კი სურსათი და თავშესაფარი სჭირდება. ზოგი უზომოდ მდიდარია, ზოგი კი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.
>
> საზოგადოების კანონები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული და აღსრულებული, რომ არ იყოს შესაძლებელი რამდენიმეს გადაჭარბებული სიმდიდრის დაგროვება და სხვების გაჭირვება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თანაბარი უნდა იყოს, რადგან განსხვავებები ხარისხში და უნარებში არის თანდაყოლილი თვისებები ქმნილებისთვის. მაგრამ სიმდიდრის სავალალო სიმდიდრის სიჭარბე, რომელსაც თან ახლავს დემორალიზებული სიღარიბე, შეიძლება გაუქმდეს. თუ კაპიტალისტისთვის სწორია სიმდიდრის ფლობა, თანაბრად სამართლიანია, რომ მშრომელს ჰქონდეს არსებობის საკმარისი საშუალება. როცა უკიდურეს სიღარიბეს ვხედავთ, სადღაც ტირანიას აღმოვაჩენთ.
>
> საკითხის არსი ის არის, რომ ღვთაებრივი სამართლიანობა ადამიანურ პირობებში უნდა გამოვლინდეს. მთელი ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლები ღვთაებრივი ხასიათისაა და დაკავშირებულია გულისა და სულის სამყაროსთან. მდიდრებმა უნდა გასცენ თავიანთი სიუხვე; მათ უნდა შეარბილონ თავიანთი გული და განავითარონ თანაგრძნობის უნარი. გულები ისე უნდა იყოს ერთმანეთისკენ მიზიდული, სიყვარული უნდა გახდეს ისეთი გაბატონებული, რომ მდიდრები საკუთარი ნებით

გადადგამენ ნაბიჯებს მუდმივი ეკონომიკური რეგულირებების დასამყარებლად. მათ თავად უნდა გააცნობიერონ, რომ არც სამართლიანი და არც კანონიერია დიდი სიმდიდრის ფლობა მაშინ, როცა თემში საშინელი სიღარიბეა. ამგვარად, ისინი საკუთარი ნებით გასცემენ თავიანთ სიმდიდრეს, და იმავდროულად შეინარჩუნებენ იმდენს, რაც მათ საშუალებას მისცემს კომფორტულად იცხოვრონ.

1. წაიკითხეთ ნაწყვეტი და შეისწავლეთ იგი თქვენს ჯგუფში ჩვეული წესით. ბევრი საკითხია ადამიანების გონზე, რომლებიც დაკავშირებულია სიმდიდრესა და სიღარიბესთან - დასაქმება, ხელფასები, საცხოვრებელი პირობები, რომ დავასახელოთ რამდენიმე. შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა თემები, რომელთა განხილვაც სარგებელს მოუტანს ამ ნაწყვეტში მოცემულ იდეებს?

_____

_____

_____

_____

2. რას უპასუხებდით, თუ ვინმემ, ვინც მოისმინა თქვენს მიერ ზემოხსენებული იდეები, გკითხოთ შემდეგი: „შენ ამბობ, რომ მდიდრები გააცნობიერებენ და მხარს დაუჭერენ მკაცრ საგადასახადო კანონებს და ისინი თავიანთი ნებით გადაიხდიან იმას, რაც რეალურად ევალებათ? რა მიზეზის გამო ფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია?"

_____

_____

_____

3. გირჩევთ დაიმახსოვროთ ერთი ან ორი ციტატა ბიბლიიდან:

"...კეთილი და მშვენიერი ნაყოფი უნდა გამოიღოთ, რათა თქვენთან ერთად სხვამაც ისარგებლოს. ამიტომ ყოველი ვალდებულია აირჩიოს რაიმე ხელობა ან რაიმე საქმიანობა. სწორედ ამაში მდგომარეობს სიმდიდრის არსი, გონიერნო!"[22]

„თუ თვალნი შენი მოწყალებისკენ არის მოქცეული, მიატოვე ის, რაც შენთვის სასარგებლოა და მიჰყევი იმას, რაც სარგებელს მოუტანს კაცობრიობას. და თუ თვალნი შენი სამართლიანობისკენ არის მიპყრობილი, მოყვასისთვის შეარჩიე ის, რასაც შენთვის აირჩევ."[23]

„ნეტარ არს ის, ვინც ძმას თავის თავზე ამჯობინებს"[24]

„არც ერთი საქმე კეთილი გაუჩინარდა და არც გაუჩინარდება, რადგან კეთილმოსურნე ქმედებები არის განძი, რომელიც ინახება ღმერთის აჩრდილში მოქმედთა საკეთილდღეოდ."[25]

“. . . გაუფრთხილდით, არ გადასცდეთ ზომიერების საზღვრებს და არ ჩაითვალოთ გზასაცდენილთა შორის.”[26]

განყოფილება 9

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე იდეა, რომელიც დაგეხმარებათ ცრურწმენის თემაზე დისკუსიებში მონაწილეობაში.

ცრურწმენა ყველა მისი ფორმით - რელიგიური, რასობრივი, გენდერული, ეთნიკური, ეკონომიკური - ანგრევს კაცობრიობის მწყობრთა სისტემას და ეწინააღმდეგება ღვთის მცნებებს. ათასობით წლის განმავლობაში კაცობრიობა განიცდიდა ომს და სისხლისღვრას, რომელიც გამოწვეული იყო ამა თუ იმ ცრურწმენებით. სანამ ისინი იარსებებენ, კაცობრიობა სულს ვერ ამოითქვამს.

ღმერთმა გაგზავნა თავისი წინასწარმეტყველები სიყვარულისა და ერთიანობის შექმნის მიზნით. ყველა ზეციური წიგნი სიყვარულის დაწერილი სიტყვაა. თუ ისინი აღმოჩნდებიან გაუცხოების მიზეზი, ისინი უნაყოფონი გახდებიან. ამიტომ რელიგიური ცრურწმენა განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ღვთის ნებასა და ბრძანებას.

ეროვნული ცრურწმენა სრულიად გაუმართლებელია. დედამიწა ერთი მიწაა, ერთი ქვეყანა. ხაზები და საზღვრები, რომლებიც ჰყოფს ერებს, წარმოსახვითია; და არც ღმერთის მიერ შექმნილია. ხალხი აცხადებს მდინარეს ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო ხაზად და თითოეულ მხარეს არქმევს სახელს, ხოლო მდინარე ორივესთვის შეიქმნა და ყველასთვის ბუნებრივი არტერიაა. განა ეს არ არის ფანტაზია და უმეცრება, რაც ადამიანებს უბიძგებს, რომ ცხოვრებისეული ძღვანი ომისა და ნგრევის მიზეზად აქციონ?

რასობრივი ცრურწმენა სხვა არაფერია, თუ არა ბრმა ირაციონალიზმი. ადამიანის კანის ფერი მხოლოდ კლიმატთან და გარემოსთან დროთა განმავლობაში მისი წინაპრების ადაპტაციის შედეგია. ხასიათი კაცობრიობის ჭეშმარიტი კრიტერიუმია. ბრწყინვალება არ არის დამოკიდებული რასაზე და ფერზე. რწმენა, გულის სიწმინდე, კეთილი საქმეები და ქება-მეტყველება არის ის, რაც მისაღებია ღვთის ზღურბლზე.

დიდი ხნის განმავლობაში ქალები კაცების დაქვემდებარებაში და ჩაგვრის ქვეშ იყვნენ. მამაკაცისა და ქალის განსხვავება ფიზიკური სამყაროს მოთხოვნაა; სულის სამყაროში ისინი თანასწორნი არიან. ღმერთის შეფასებით, არ არსებობს განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის. მთელი კაცობრიობა მისგან დაჯილდოებულია ინტელექტითა და აღქმით. ყველას აქვს უნარი შეიძინოს სათნოება. დღეს არ არსებობს ისეთი გარემოება, როდესაც ადამიანის სქესი იძლევა დისკრიმინაციის მიყენების საფუძველს.

ძველი აღთქმის სიტყვების თანახმად, ღმერთმა თქვა: „შევქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად“. ეს აშკარად ეხება ქალებსაც. ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად; ანუ ღვთაებრივი სათნოებები აისახება და ვლინდება ადამიანურ რეალობაში. ეს ჭეშმარიტებაა მთელი კაცობრიობისთვის.

რამდენად სრულიად დაუსაბუთებელია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ერთი ფერის, ეთნიკურობის ან ეროვნების ადამიანები არიან შექმნილი ღმერთის მსგავსად. რამდენად აბსურდულია იმის თქმა, რომ მხოლოდ მდიდრები არიან შექმნილი მის ხატად, ან ღმერთთან სიახლოვის კრიტერიუმად ფიქრი, საზოგადოებაში მაღალი თანამდებობაა. კაცობრიობა ვერ მიაღწევს გონთა გაშუქებას, გარდა ცრურწმენების მიტოვებისა და სამეფოს ზნეობის შეძენის გზით.

1. შეისწავლეთ ეს ნაწყვეტი წინათ მსგავსად და შემდეგ დაფიქრდით თქვენს მეგობრებსა და მეზობლების წამოჭრილ გამოწვევებზე, რომლებიც მოუწოდებენ ცრურწმენების აღმოფხვრას.

_____

_____

_____

_____

2. რას უპასუხებდით, თუ ვინმემ, ვინც მოისმინა თქვენი ზემოაღნიშნული იდეების გაზიარება, გკითხოთ: „შეიძლება გვქონდეს ცრურწმენა და არ ვიცოდეთ ამის შესახებ?“

_____

_____

_____

3. თქვენ შესაძლოა იპოვოთ შემთხვევა, რომ ამ იდეების შესახებ თქვენს დისკუსიაში ბაჰაულას წერილებიდან ჩართოთ ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოყვანილი ციტატებიდან:

”დედამიწა მხოლოდ ერთი ქვეყანაა და კაცობრიობა კი, მისი მოქალაქეები.”[27]

„ქვეყნიერების ყოველი ყლორტი ერთი ხიდან წარმოიშვა, და ყოველი წვეთი ერთი ოკეანედან, და ყოველი არსება აღავლენს მადლიერებას მათი ყოფისა ერთ არსებას .“[28]

„ის ჭეშმარიტად არს ადამიანი, ვინც დღეს თავს მიუძღვნის მთელი კაცობრიობის მსახურებას.“[29]

„კეთილი ხასიათის შუქი აღემატება მზის სინათლესა და მის ბრწყინვალებას.“[30]

„ადამიანთა განსხვავებანი მდგომარეობს არა ჩუქურთმებსა ან სიმდიდრეში, არამედ სათნო ქცევაში და ჭეშმარიტ გაგებაში.“[31]

„ღმერთმა ინებოს გიბოძოთ შემწეობა ცრურწმენის კერპების დასამსხვრევად და ადამიანთა ფუჭი წარმოსახვის ფარდების ჩამოგდებაში.“[32]

"ყველა ადამიანთა შორის ყველაზე უგულო არის ის, ვინც ამაოდ კამათობს და ცდილობს თავის ძმაზე აიმაღლოს თავი."[33]

განყოფილება 10

მეგობრებთან საუბრისას ხშირად შეგიძლიათ ისარგებლოთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობისადმი მიძღვნილი შემდეგი ნაწყვეტით:

> მზე, სინათლისა და სითბოს წყალობით ავლენს ყველა ნივთის ჭეშმარიტ არსს დედამიწაზე. ხეში ფარული ნაყოფი ჩნდება მის ტოტებზე მზის ძალის საპასუხოდ. ანალოგიურად, ჭეშმარიტების მზე, რომელიც მთელი ბრწყინვალებით ანათებს სულიერ ცაზე, ავლენს სინათლეს ისეთ რეალობებს, რომლებიც წარსულში არ იყო აშკარა. სწორედ ამიტომ, ამ ეპოქაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპი სრულად იქნა აღიარებული და უკვე დადასტურებული ფაქტია.
>
> ბაჰაულამ სრულიად გასაგებად თქვა, რომ ღმერთის თვალში არ არსებობს განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის. წინა საუკუნეებში გამეფებული უთანასწორობა მამაკაცების უპირატესობით როდი იყო გამოწვეული. უბრალოდ, ქალებს არ ჰქონდათ საშუალება თავიანთი შესაძლებლობების სათანადოდ განვითარებისა. მიუხედავად მათ წინაღმდეგ გამეფებული ცრურწმენებისა, ისტორიამ შემოინახა უამრავი ქალის სახელი, რომელთაც უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს.
>
> ერთ-ერთი ასეთი ქალი იყო სპარსელი პოეტი ქალი, ტაჰირა. ის დაიბადა 1800-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში, სადაც ქალები მთლიანად მამაკაცებს ემორჩილებოდნენ. ის იყო პირველი ქალი, რომელმაც მიიღო ღვთის ახალი გამოცხადების ჭეშმარიტება. როდესაც გახდა მოწმე ახალი დღის განთიადისა, სრულიად გაითავისა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის რეალობა დ მთელი თავისი ენერგია ამ ჭეშმარიტების საყოველთაო აღიარებას მიუძღვნა. მის ცოდნასა და მჭერმეტყველებას მისი დროის ყველაზე განსწავლული მამაკაცებიც კი აღტაცებაში მოჰყავდა. ტაჰირას წინააღმდეგ იყვნენ მიმართული ტირანი შაჰი და უმეცრებით აღსავსე ამაყი ღვთისმსახურნი, მაგრამ მას წამიერადაც არ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ჭეშმარიტებას ქადაგებდა და საბოლოოდ სიცოცხლე შესწირა ახალ სარწმუნოებას, რომელსაც ასე მტკიცედ დაუკავშირდა.
>
> გჯეროდეს, რომ ის რაც ღმერთისთვის მიუღებელია უმეცრება და ცრუმორწმუნეობაა. დღეს ქალებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მიიღონ სათანადო განათლება და მამაკაცის თანასწორი მდგომარეობა დაიკავონ ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში. ვიდრე ქალისა და მამაკაცის თანასწორობა მიწიერ სამყაროშიც არ იქცევა რეალობად, მსგავსად სულიერების სამეფოსი, მანამ მიუღწეველი იქნება კაცობრიობის სრულყოფილი განვითარება.

1. თქვენ, როგორც ყოველთვის, უნდა შეისწავლოთ ეს ნაწყვეტი თქვენს ჯგუფში და ივარჯიშოთ იდეების წარმოთქმაში. არის თუ არა რაიმე საუბარი, რომელიც ახლახან გქონდათ თქვენს მეგობრებთან, რომლითაც

ისარგებლებდით მის მიერ შემოთავაზებული შეხედულებებით? რა საკითხები იყო განხილული?

_____

_____

_____

_____

2. რა არის დღევანდელ საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც უნდა შეიცვალოს, თუ ქალებმა უნდა დაიკავონ თანაბარი პოზიცია მამაკაცებთან ყველა სფეროში?

_____

_____

_____

3. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ციტატა ბაჰაულას წერილებიდან, რომელთა დამახსოვრებაც შესაძლოა სურვილი გქონდეთ.

„ქალები და მამაკაცები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან თანასწორნი ღმერთის თვალში.“[34]

„იცით თუ არა რისთვის შეგქმენით ყველანი ერთი მტვერისაგან მიწისა? რათა არავინ აიმაღლოს თავი სხვაზე მეტად.“[35]

„ამ დღეს, ღვთაებრივი მოწყალების მარჯვენამ წაშალა ყველა განსხვავება. მსახურნი ღვთისა და მისი მხევალნი ერთსა და იმავე მდგომარეობას იკავებენ.“[36]

განყოფილება 11

ბოლო შესასწავლი ნაწყვეტი საყოველთაო განათლების საკითხს ეხება.

განათლების ხელშეწყობა ჩვენი დროის ყველაზე გადაუდებელი მოთხოვნაა. ვერც ერთი ერი ვერ მიაღწევს კეთილდღეობას, თუ ის არ გახდის განათლებას თავის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად. ხალხის დაცემის უპირველესი მიზეზი ცოდნაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა.

განათლება, სწორი აღზრდა ბავშობიდან უნდა დაიწყოს. დედის და მამის მოვალეობაა ძალ-ღონე არ დაიშურონ შვილებისთვის განათლების მისაღებად და მათი ხასიათის მორალური და სულიერი კანონების შესაბამისად სრულყოფისთვის, შეასწავლონ მათ ხელოვნება და მეცნიერება. დედები კაცობრიობის უპირველეს განმანათლებლად გვევლინებიან. ისინი ბავშვებზე აკვნიდანვე ზრუნავენ და მათ ცოდნით ასაზრდოებენ. ყოველი ბავშვი უნდა იყოს სათანადოდ აღზრდილი. ამის უგულებელყოფა ყოვლად დაუშვებელია. თუ მშობლებს შეუძლიათ შვილების სწავლასათვის

სათანადო ხარჯების გაღება, ასეც უნდა მოიქცნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თემმა უნდა იზრუნოს ბავშვის განათლებაზე.

განათლებამ ყოველ ადამიანში სრულყოფილების მიღწევის სურვილი უნდა განავითაროს. სწორედ სრულყოფილება უნდა გახდეს პიროვნების შთაგონების წყარო და ისიც მგზნებარედ ესწრაფოდეს მას, ეცადოს მიაღწიოს სულიერ ინდივიდუალიზმს, ცნობილი გახდეს ადამიანური სამყაროს ღირსებებით - გულწრფელობით, ერთგულებით, კაცობრიობისადმი მსახურებით, სიყვარულითა და სამართლიანობით. ჩვენ უნდა განვირჩეოდეთ საკუთარი ძალისხმევით მშვიდობისა და ერთგულების წარმატებისთვის და ხელი შევუწყოთ სწავლას. ადამიანთა ამ გზაზე დაყენებაა სწორედ განათლების ჭეშმარიტი ამოცანა.

1. თქვენს ჯგუფში ამ ნაწყვეტის შესწავლის შემდეგ, შეეცადეთ გამოავლინოთ თქვენი მეგობრების ზოგიერთი მღელვარება განათლებასთან დაკავშირებით. როგორ პასუხობს ზემოხსენებული იდეები მათ შეშფოთებას?

_____

_____

_____

_____

2. შეეცადეთ ზეპირად ისწავლოთ ბაჰაულას ნაწერებიდან მოყვანილი ერთი ან რამდენიმე ციტატა:

„ადამიანი არ უნდა დარჩეს ცოდნის და ხელობის გარეშე, რადგან მაშინ იგი უნაყოფო ხეს დაემსგავსება.“[37]

„მიმართეთ სრულად გონება და ნება თქვენი დედამიწის ხალხებისა და ტომების განათლებისაკენ...“[38]

„ხელოვნება, ხელოსნობა და მეცნიერება ამაღლებენ ყოფიერების სამყაროს და მწვერვალებისკენ მიუძღვებიან.“[39]

„ჭეშმარიტად, ცოდნა ადამიანის ნამდვილი საგანძურია. იგი მისთვის დიდების, მოწყალების, მხიარულების, ამაღლების, მხნეობისა და სიხარულის საწინდარია.“[40]

განყოფილება 12

მშვიდობა ყველა ადამიანის გონება-ფიქრებშია. მისი დაარსება ყველაზე აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ახლა, როცა დაფიქრდით წინა ნაწყვეტებში ჩამოთვლილ პრინციპებზე, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს საყოველთაო მშვიდობის საკითხზე დაფიქრება.

ბევრი რამ არის დამოკიდებული, რა თქმა უნდა, მთავრობებზე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაზე ომის აღმოსაფხვრელად. პოლიტიკური შეთანხმებები დავების მოსაგვარებლად და იარაღის შესამცირებლად აუცილებელია მშვიდობის მისაღწევად, ისევე როგორც ერებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის უამრავი ფორმა. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ასეთი ზომები, ისინი არ მიგვიყვანს გრძელვადიან მშვიდობამდე, თუ ზემოთ განხილული პრინციპები არ დამყარდება მთელ მსოფლიოში. თუ ადამიანები არ ისწავლიან რეალობის გამოკვლევას და არ გააცნობიერებენ, რომ ჭეშმარიტება ერთია, განა საუკუნოვანი მტრობა, საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ, არ განაგრძობს არსებობას? ჩვენ ყველას ერთი და იგივე წარმომავლობა გვაქვს. ღმერთი მფარველობს ჩვენზე და გვასწავლის ყველას თავისი გამოვლინებების მეშვეობით. მათი სწავლებები ეყრდნობა სიყვარულისა და თანამეგობრობის იმავე საფუძველს. მხოლოდ მაშინ, როცა რელიგიის ერთიანობა იქნება აღიარებული, რელიგიური უთანხმოება შეწყდება და რელიგიის შუქი გაანათებს მშვიდობის გზას. განა არ არის აუცილებელი, რომ მეცნიერება და რელიგია ჰარმონიულად იმუშაონ, ჩვენ კიდევ უნდა ვიკითხოთ, რომ გაფანტოს უმეცრების ღრუბლები და წარმოაჩინოს ყოველგვარი ცრურწმენის სიცრუე, თითოეული მათგანი ძლიერი ბარიერი მშვიდობისკენ? შესაძლებელია თუ არა მშვიდობიანი სამყაროს აშენება, არის კიდევ ერთი კითხვა, თუკი მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული გადაჭარბებული უთანასწორობა მსოფლიოს ყველა კუთხეში არ იქნება განხილული? და მანამ, სანამ ქალებს არ მიეცათ უფლება ადგილი დაიკავონ ადამიანური ძალისხმევის ყველა სფეროში მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, ძალადობა, რომელიც ახასიათებს ისტორიის დიდ ნაწილს, მშვიდობასა და ნამდვილ კეთილდღეობას არ დაუთმობს ადგილს. მზარდმა თაობებმა უნდა მიიღონ საყოველთაო განათლება ასეთი პრინციპებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მშვიდობის ყოველგვარი იმედი დაიმსხვრევა. თქვენ შესაძლოა სურვილი გქონდეთ დაიმახსოვროთ ბაჰაულას შემდეგი სიტყვები, რათა გაუზიაროთ ისინი კაცობრიობის მომავლით დაინტერესებულ ადამიანებს:

> **„კაცობრიობის კეთილდღეობა, მისი მშვიდობა და უსაფრთხოება მიუწვდომელია, სანამ და ვიდრე მისი ერთობა მყარად არ დამკვიდრდება.“**[41]

ბიბლიოგრაფია

1. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1983, 2017 printing), CIX, par. 2, p. 243.

2. Ibid., CXXXII, par. 1, p. 325.

3. Ibid., XXXIV, par. 5, p. 89.

4. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1988, 2005 printing), no. 11.1, p. 161.

5. Bahá'u'lláh, *The Kitáb-i-Íqán: The Book of Certitude* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2003, 2018 printing), par. 151, p. 131.

6. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, XXVIII, par. 2, p. 77.

7. Ibid., XXIV, par. 1, p. 66.

8. Ibid., CXI, par. 1, p. 246.

9. Ibid., XLIII, par. 6, p. 106.

10. Ibid., CX, par. 1, p. 244.

11. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 15.4, p. 220.

12. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, XCV, par. 1, pp. 219–20.

13. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 9.13, p. 141.

14. Ibid., no. 5.13, p. 51.

15. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXII, par. 1, pp. 247–48.

16. Ibid., CXXXII, par. 3, p. 326.

17. Ibid., CXI, par. 1, p. 246.

18. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 7.20, p. 90.

19. Ibid., no. 6.25, pp. 66–67.

20. Bahá'u'lláh, cited by Shoghi Effendi, *The Advent of Divine Justice* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2006, 2018 printing), par. 42, p. 41.

21. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 3.23, p. 27.

22. Bahá'u'lláh, *The Hidden Words* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2003, 2012 printing), Persian no. 80, p. 51.

23. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 6.19, p. 64.

24. Ibid., no. 6.37, p. 71.

25. Bahá'u'lláh, in *Ḥuqúqu'lláh—The Right of God: A Compilation of Extracts from the Writings of Bahá'u'lláh and 'Abdu'l-Bahá and from Letters Written by and on Behalf of Shoghi Effendi and the Universal House of Justice*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2007), no. 16, p. 16.

26. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXVIII, par. 2, p. 283.

27. Ibid., CXVII, par. 1, p. 282.

28. Bahá'u'lláh, cited by Shoghi Effendi, *The Promised Day Is Come* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1996, 2018 printing), par. 279, p. 187.

29. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXVII, par. 1, p. 282.

30. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 4.11, p. 36.

31. Ibid., no. 6.3, p. 57.

32. Ibid., no. 6.3, p. 58.

33. *The Hidden Words*, Persian no. 5, pp. 23–24.

34. Bahá'u'lláh, in *Women: Extracts from the Writings of Bahá'u'lláh, 'Abdu'l-Bahá, Shoghi Effendi and the Universal House of Justice*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1986, 1997 printing), no. 54, p. 26.

35. *The Hidden Words* , Arabic no. 68, p. 20.

36. Bahá'u'lláh, in the compilation *Women*, no. 3, p. 3.

37. Bahá'u'lláh, in *Excellence in All Things: A Compilation of Extracts from the Bahá'í Writings*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (London: Bahá'í Publishing Trust, 1981, 1989 printing), no. 5, p. 2.

38. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CLVI, par. 1, p. 378.

39. Bahá'u'lláh, *Epistle to the Son of the Wolf* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1988, 2016 printing), p. 26.

40. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas*, no. 5.13, p. 52.

41. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXXXI, par. 2, p. 324.

თემები გაღრმავებისათვის

მიზანი

მეგობრებთან და მეზობლებთან პერიოდულად შინ
მონახულების უნარის განვითარება
სულიერი მნიშვნელობის თემებზე სასაუბროდ

განყოფილება 1

ეს მესამე თავი, ისევე როგორც წინა, ეხება იმ უნარებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევიდეთ მნიშვნელოვან და ამაღლებულ საუბარში. მეორე თავში ჩვენი ყურადღება გამახვილდა უამრავ შემთხვევაზე, რომლებიც წარმოადგენენ საუბრის დონის ამაღლებას სულიერი პრინციპების მითითებით. აქ ყურადღება გადატანილია მეგობრებისა და მეზობლების სახლებში ჩვენ ვიზიტებზე, რათა ერთად გამოვიკვლიოთ თემები, რომლებიც ცენტრალური ნაწილია თემის ცხოვრებაში.

მსოფლიოს სოფლებში და სამეზობლოებში მეგობრების ჯგუფები ინტენსიურად არიან ჩართულნი ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებში, რომლებიც მოიცავს რეგულარულ ლოცვით შეხვედრებს, ბავშვების სულიერი აღზრდის კლასებს, მოზარდების შეხვედრებს, სასწავლო წრეებსა და ახალგაზრდულ ბანაკებს და სხვადასხვა სახის კამპანიებს. როდესაც აქტივობის ეს ნიმუში ფესვებს იდგამს ადგილობრივ დონეზე და რაც უფრო მზარდი რიცხვი ეძღვნება მსახურების აქტებს, მეგობრების ბირთვი იზრდება ზომაში და ძალაში. სოფლისა თუ მეზობლების სულ უფრო მეტ სახლებში ვიზიტების სისტემატური პროგრამა არის თემის მშენებლობის პროცესის სასიცოცხლო კომპონენტი, რომელიც ახლა იმპულსს აგროვებს. ასეთი ვიზიტების დროს განიხილება თემების მრავალფეროვნება. მაგალითად, ბაჰაი ბავშვთა კლასის მასწავლებელმა ხშირად უნდა მოუწოდოს ახალგაზრდების მშობლებს განათლებისთვის შესაბამისი თემების განსახილველად. მსგავსი ვიზიტები უნდა განხორციელდეს მოზარდებისა და ახალგაზრდების სახლებში იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მსახურობენ როგორც წამყვანები და მასწავლებლები, რათა განიხილონ ის საკითხები, რომლებიც ეხება ამ დამაიმედებელ წლებს ადამიანის ცხოვრებაში. თანაბრად არსებითია ოჯახის წევრებთან გამართული საუბრები თემებზე, რომლებიც აღრმავებს მათ ცოდნას რწმენის შესახებ. მთლიანობაში, ასეთი ვიზიტების გავლენა თემში გაჩენილ თანამეგობრობის კულტურაზე არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს.

განყოფილება 2

ამ თავის მიზნებისთვის, ჩვენ გადავხედავთ წარმოსახვით სამეზობლოს, რომელშიც ზემოთ აღწერილი პროცესი წინ მიიწევს და გამოვიყენებთ მას, როგორც კონტექსტს საუბრის სახეების შესასწავლად, რომელიც შესაძლოა წამოიწყოს სახლში ვიზიტის დროს.

ალეხანდრა ახალგაზრდა ქალია უნივერსიტეტის მესამე კურსზე. ის და მისი ერთ-ერთი ძმა, ასევე სტუდენტი, მშობლებთან ერთად ცხოვრობენ იმ სამეზობლოში, რომელსაც ჩვენ წარმოვიდგენთ, იმ სახლში, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ. ოთხი მათგანი და ახალგაზრდა წყვილი, რომელიც ახლახან გადმოსახლდნენ სამეზობლოში, ყოველ კვირას იკრიბებიან, რათა წაიკითხონ ლოცვა და გაიარონ კონსულტაცია მათ ირგვლივ 8000-იან მოსახლეობაში დაწყებული აქტივობების პროგრესის შესახებ. დანარჩენი სამნი კი მონაწილეობს დროდადრო ამ ყოველკვირეულ შეხვედრებში და იწყებენ სისტემატიურად ფიქრს არა მხოლოდ საკუთარ მსახურებაზე, არამედ თემის მშენებლობის მთელ პროცესზე: ექვსი თვის წინ დაწყებული ბავშვთა კლასის მასწავლებელი და ორი ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოზარდთა ჯგუფის ძალისხმევას ალეხანდრას უფროსი ძმის დახმარებით, რომელიც იყო მათი ჯგუფის

წამყვანი, როდესაც ისინი უმცროსები იყვნენ და რომელიც რეგულარულად ესტუმრება მშობლებს.

საუბრების პირველი ნაკრები, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ალეხანდრასა და სანჩესებს შორის, სამეზობლოში კარგად ცნობილი და პატივცემული ოჯახი. ცოლ-ქმარი სამოცი წლის არიან და შვილებისა და ქალიშვილების აღზრდის შემდეგ მარტო ცხოვრობენ ალეხანდრას სახლიდან რამდენიმე კვარტალის მოშორებით. ბატონი და ქალბატონი სანჩესი წერა-კითხვის მცოდნეა, მაგრამ დიდი ფორმალური განათლება არ მიუღიათ. ფართო პატივისცემა, რომელსაც ისინი სარგებლობენ, განპირობებულია იმ სიბრძნით, რომელიც მათ შეიძინეს კეთილშობილური და წმინდა საქმეების ცხოვრებაში გამოცდილებით. მათ გარკვეული დროით იცოდნენ ბაჰაის სწავლებები, მაგრამ მხოლოდ ახლახან გადაწყვიტეს მათი გულმოდგინე გამოკვლევა. ერთი კვირის წინ მათ განუცხადეს ალეხანდრას მშობლებს თემში გაწევრიანების სურვილი. მათ მისასალმებლად შეკრება უკვე დაიგეგმა და, გარდა ამისა, შეთანხმდნენ, რომ ალეხანდრა რეგულარულად ეწვევა მათ რამდენიმე კვირის განმავლობაში, რათა გაუზიაროს მათ მთელი რიგი თემები, რაც მათ დაეხმარება რწმენის შესახებ ცოდნის გაღრმავებაში. ვიზიტების მოხსენებით, თქვენ შეძლებთ ამ თემების შესწავლას და ამავე დროს დაფიქრდეთ საუბრის დინამიკაზე ასეთ ვითარებებში.

განყოფილება 3

ალეხანდრა გეგმავს თავისი პირველი საუბარი გამართოს ბატონ და ქალბატონ სანჩესებთან, ქვემოთ მოცემულ ღვთის მარადიული აღთქმის მოქკლე ახსნა-განმარტებაზე.

> ყოველივეს შემოქმედი ღმერთია – ერთადერთი, შეუდარებელი, თვითარსი. ბაჰაულა გვასწავლის, რომ ღმერთის არსის შეცნობა ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია, რადგან სასრული არ შეიძლება ჩაწვდეს უსასრულოს. ის წარმოდგენები, რომლებიც მის შესახებ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებმა შექმნეს, მხოლოდ მათივე წარმოსახვის ნაყოფია. ღმერთი ადამიანი როდია და მარტო სამყაროში განფენილ ძალასაც არ წარმოადგენს. აი სიტყვები, რომლებიც ჩვენი არსებობის წყაროს მიმართ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ: ზეციური მამა, ზეციური ძალა, დიადი სული, თითოეული მათგანი მხოლოდ ადამიანის ენით წოდებულ ერთ-ერთ სახელსა თუ თვისებას გამოხატავს, რაც თავის მხრივ საკმარისი როდია მისი სრულყოფილი აღწერისთვის.
>
> იდუმალ სიტყვებში ვკითხულობთ:
>
> **„ძეო ადამიანისა! მე შევიყვარე ქმნილება შენი და ამისათვის შეგქმენი. მაშ, შემიყვარე, რათა გახსენო და შენს სულს ცხოვრების სულისკვეთება შთავბერო.“**[1]
>
> ბაჰაულას ამ სიტყვებზე დაყრდნობით ჩვენდამი ღმერთის სიყვარული მიზეზია ჩვენი არსებობისა. ამიტომ, ყოველთვის უნდა ვგრძნობდეთ ამ სიყვარულს. რომელიც გვიცავს, გვეხმარება და სიცოცხლის სულისკვეთებით გვავსებს, ძნელბედობისა და თუ უდარდელობის ჟამს,

მწუხარებისა თუ სიხარულისას, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი სიყვარული გამუდმებით იღვრება ჩვენზედ.

ბაჰაის მოძღვრებიდან ვრწმუნდებით, რომ შეგვქმნა სიყვარულით, ღმერთმა დაგვიწესა აღთქმა. სიტყვა „აღთქმა“ შეთანხმებას ან პირობას ნიშნავს დადებულს ორ ან მეტ ადამიანს შორის. მარადიული აღთქმის თანახმად ყოვლად მოწყალე შემოქმედი არასდროს მიგვატოვებს და დროდადრო თავის ნებასა თუ განზრახვას გვატყობინებს მისი გამოცხადებების მეშვეობით ანუ ვინც არის მისი გამოცხადება.

ზმნა „ცხადყოფა“ ნიშნავს გამჟღავნებას, რაღაც ისეთის ჩვენებას, რაც ადრე შეუცნობი იყო. ღმერთის გამოცხადებანი განსაკუთრებული არსებები არიან, ვინც ღმერთის სიტყვა გაამჟღავნა ჩვენთვის. ეს საყოველთაო განმანათლებელები გვასწავლიან, თუ როგორ ვიცხოვროთ ღმერთის ნების შესაბამისად და მივაღწიოთ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ამ გამოცხადებებს შორისაა კრიშნა, მოსე, ზარათუშტრა, ბუდა, ქრისტე, მუჰამადი და რა თქმა უნდა ბაბი და ბაჰაულა – ამ ეპოქაში ღმერთის ტყუპი გამოცხადებები.

ამრიგად, ღვთის მარადიულ აღთქმაში მისი ნაწილი ყოველთვის სრულდებოდა. ფუნდამენტური კითხვა, რომელიც ყველამ უნდა დავუსვათ საკუთარ თავს, არის: „როგორ შევასრულო აღთქმის ჩემი ნაწილი? პასუხი, რომელსაც ყველა რელიგიურ წერილში ვპოულობთ, არის: ღმერთის გამოცხადების აღიარება და მისი სწავლებების მორჩილება. ეს პასუხი მიუთითებს ჩვენი ცხოვრების ნამდვილ მიზანზე, რომელიც არის ღმერთის შეცნობა და თაყვანისცემა. მოკლე სავალდებულო ლოცვაში ჩვენ ვაცხადებთ:

„ვადასტურებ უფალო, რომ შენ შემქმენი, რათა შეგიცნო და თაყვანი გცე. ვადასტურებ ამ წუთში ჩემს უძლურებას და შენს ძლევამოსილებას, ჩემს სიღატაკეს და შენს სიმდიდრეს.

არ არს სხვა ღმერთი შენს გარდა, მფარველისა, თვითარსისა.“[2]

რამდენადაც ჩვენ ღმერთის შეცნობა მხოლოდ მისი გამოცხადებების საშუალებით შეგვიძლია, ცხოვრების მიზანს მაშინ მივაღწევთ, როცა შევიცნობთ გამოცხადებას და მივყვებით მის სწავლებას. ამ დღეს, ჩვენი გულნი მადლიერებით აღსავსე უნდა იყოს იმის გამო, რომ იმ დროს ვცხოვრობთ, როცა ყველა წმინდა წიგნების დაპირება, რომ მშვიდობა და სამართლიანობა საბოლოოდ დამყარდება დედამიწაზე, სრულდება. ბაჰაულა ამბობს:

„ეს არის დღე, როცა უფლის გამორჩეული მადლი გარდმოვიდა ადამიანებზე; დღე, როცა მისი ყოვლისშემძლე სიკეთე ჩაენერგა ყოველ არსებას. მსოფლიოს ხალხების ვალია სძლიონ მათ შორის არსებულ სხვაობას და სიამტკბილობით განისვენონ მისი ზრუნვისა და სიკეთის ხის ჩრდილ ქვეშ.“[3]

სანამ ჩვენს ისტორიას გავაგრძელებთ, თქვენ უნდა წაიკითხოთ ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება და დაფიქრდეთ მასზე აბზაც-აბზაც თქვენი ჯგუფის სხვა მონაწილეებთან ერთად. შეგიძლიათ დაუსვათ ერთმანეთს კითხვები და ერთად უპასუხოთ, სანამ თითოეულ თქვენგანს არ შეეძლება იდეების ბუნებრივად და მარტივად გადმოცემა. ციტატების კარგად სწავლა განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, რადგან ამ ტიპის დისკუსიებში ნაწერებიდან ნაწყვეტების გაზიარება აუცილებელია. შემდეგი სავარჯიშოები დაგეხმარებათ იფიქროთ ამ ნაწილში წარმოდგენილი იდეებისა და ციტირებული მონაკვეთების მნიშვნელობის შესახებ:

1. როგორ აუხსნით ვინმეს, რომ ღმერთი შეუცნობელი არსია? ზემოაღნიშნულის პირველი აბზაცი უნდა დაგეხმაროთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

   _____

   _____

   _____

   _____

2. რატომ შექმნა ღმერთმა კაცობრიობა? _____

   _____

3. რას ნიშნავს სიტყვა „აღთქმა“? _____

   _____

4. რას დაჰპირდა ღმერთი კაცობრიობასთან თავის მარადიულ აღთქმაში? __

   _____

5. რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი? _____

   _____

6. თუკი ღმერთის არსს ვერასოდეს შევიცნობთ, მაშ რაღას ნიშნავს სიტყვები – ჩვენი ცხოვრების მიზანი ღმერთის არსის შეცნობაა? _____

   _____

7. რას ნიშნავს სიტყვა „ცხადყოფა“? _____

   _____

8. დაასახელეთ ღმერთის რამდენიმე გამოცხადება: _____

   _____

   _____

   _____

9. რა მოგვეთხოვება იმისათვის, რომ აღვასრულოთ ჩვენი მხარე აღთქმისა?

   _____

10. დაასრულეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები:

    ა. ამ დღეს ღმერთის _____ გარდმოვიდა კაცობრიობაზედ.

ბ . ამ დღეს _____ ჩაენერგა ყოველ ცოცხალ

ა . ამ დღეს ჩვენ უნდა _____ ჩვენს შორის არსებული სხვაობა და სიამტკბილობით და მშვიდობით დავივანოთ _____.

11. რას მოუწოდებს ბაჰაულა მსოფლიოს ხალხებს გააკეთონ? _____

_____

_____

განყოფილება 4

თემის შინაარსი, რომელსაც ალეხანდრა გეგმავს გაუზიაროს ბატონ და ქალბატონ სანჩესებს, არ არის ერთადერთი, რაც მის გონზე იყო. ის იმედოვნებს, რომ წყვილთან ძლიერ მეგობრულ კავშირს დაამყარებს. პირველი გამოცდილებიდან, მან იცის როგორც ცრურწმენების, ასევე მფარველობითი დამოკიდებულების მავნე შედეგები. ამათ ის ბუნებრივად თავს აარიდებს; უმაღლესმა ცოდნამ არ შეამცირა მისი თავმდაბლობა. მას არაფერი აქვს გულში, გარდა ნამდვილი სიყვარულისა და პატივისცემისა სანჩესების მიმართ. როდესაც ის ფიქრობს, თუ როგორ აპირებს პირველი თემის ახსნას, ის შეახსენებს საკუთარ თავს, რომ ეს არის მიმდინარე საუბრის დასაწყისი, რომელიც გაგრძელდება მრავალი კვირის განმავლობაში. იგი აცნობიერებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია იდეების თანმიმდევრობის სიცხადით წარმოჩენა, ის გარკვეულ წერტილებზე უნდა გაჩერდეს წყვილის პასუხის მოსასმენად. „უნდა შევეცადო სიმშვიდე შევინარჩუნო", – ეუბნება ის საკუთარ თავს, – რადგან სიმშვიდის დაკარგვისას სწორედ მაშინ ვაგრძელებ ლაპარაკს და ლაპარაკს და საუბრის ჩამოყალიბების იმედიც კი იკარგება". ალეხანდრა აგრძელებს თავის ვიზიტზე ფიქრს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ მიმართულებით. მის ადგილას რომ ყოფილიყავით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს ჩათვლიდით თქვენს გონებზე შესაფერის აზრებად?

_____ ჩემი მოვალეობაა ვასწავლო სანჩესებს რწმენა და დავრწმუნდე, რომ ისინი ისწავლიან ყველაფერს, რასაც მე ვასწავლი.

_____ რა პრივილეგიაა ამ შესანიშნავ წყვილთან დროის გატარება და მათთან ნაწყვეტების გაზიარება.

_____ ვიცი, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ ამას დიდი დრო არ დასჭირდება, რადგან სხვა საქმეები მაქვს გასაკეთებელი.

_____ ციტატები მათთვის ძალიან რთული იქნება. მე უნდა აღვნიშნო რამდენიმე მარტივი იდეა. მთავარია ის რომ, მათ მიმართ სიყვარული გამოვხატო.

_____ მათ ასაკში სანჩესები ბევრს ვერ ისწავლიან.

_____ მოუთმენლად ველოდები ვიზიტს და მათ მოსაზრებებს, როდესაც განვიხილავთ თემას და ვიმსჯელებთ ციტატებზე.

_____ მათ შეუძლიათ კითხვა. მე უბრალოდ გავაცნობ საგანს და დავტოვებ ციტატებს, რომ თავად შეისწავლონ.

_____ იდეების წარმოდგენისას ხშირად მომიწევს პაუზის გაკეთება, რათა ერთად შევისწავლოთ ციტატები და ვიმსჯელოთ მათზე.

_____ ვიმედოვნებ, რომ შევძლებ მთლიანი თემის წარდგენას შეუფერხებლად და ბოლოს ვკითხო, თუ აქვთ რაიმე შეკითხვა.

შესაძლოა მოიფიქროთ სხვა აზრები, რომლებიც გესურვებოდათ ან არ ისურვებდით გქონოდათ ასეთი ვიზიტისთვის მომზადებისას?

განყოფილება 5

ალეხანდრას პირველი ვიზიტი სანჩესების სახლში კარგად მიდის. წყვილი აღნიშნავს მის ნერვიულობას და თავს მშვიდად აგრძნობინებენ მათი სითბოთი და სიკეთით. ისინი ყურადღებით უსმენენ და სრულად მონაწილეობენ დისკუსიაში, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ციტატებს. სირთულის ერთადერთი მომენტი აღმოჩნდა დასასრულისას, როდესაც ქალბატონი სანჩესი აკვირვებს ალეხანდრას კითხვით: „დავივიწყებ თუ არა ქრისტეს ბაჰაი თემში გაწევრიანებით?“ ალეხანდრამ იცის პასუხი, მაგრამ მის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ბ-ნი სანჩესი იღიმება და მის დასახმარებლად მოდის: „ვფიქრობ, ჩემი სიყვარული ქრისტეს მიმართ ფაქტობრივად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგეთ ბაჰაი სწავლებების შესახებ“. „ეს ზუსტადაც ასეა ბევრი ადამიანისთვის მთელ მსოფლიოში“, დასძენს ალეხანდრა, რომელმაც თავისი აზრები შეკრიბა. „მათი სიყვარული მოსეს, ქრისტეს, კრიშნას, ბუდას, ზოროასტრისა და მუჰამედის მიმართ ძლიერდება იმის გამო, რასაც ბაჰაულა ასწავლის ღმერთის ერთიანობის, რელიგიის ერთიანობისა და კაცობრიობის ერთიანობის შესახებ“.

სასარგებლო იქნება თქვენთვის, რომ თქვენს ჯგუფში დაუთმოთ ერთი წუთი და განიხილოთ ის თვისებები და დამოკიდებულებები, რომლებიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ალეხანდრას ვიზიტის დროს, რათა ის ასეთი ნაყოფიერი ყოფილიყო. მათ შორის მთავარი, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ, არის თავმდაბლობა. ყოველგვარი თავმდაბლობის საფუძველი არის თავმდაბლობა ღვთის წინაშე. მისგან მომდინარეობს თავმდაბლობა მისი ქმნილებების წინაშე. თავმდაბლობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანი საუბრობს ღმერთზე და მის გამოვლინებებზე. იმსკელეთ ბაჰაულას შემდეგ სიტყვებზე და ყველა ღონე იხმარეთ მათ დასამახსოვრებლად:

„მათ, ვინც ღვთისაგან რჩეულია, სადაც არ უნდა იკრიბებოდნენ და ვისაც არ უნდა ხვდებოდნენ, ისეთი მორჩილება და თავმდაბლობა უნდა გამოავლინონ უფლისადმი, ასევე მისი ხოტბისა და დიდების გამოხატვის წესში, რომ მათსავე ფერხთ ქვეშ არსებული მტვრის ყოველი ნამცეცი მათ უდიდეს თავგანწირვაზე მეტყველებდეს. ამ წმინდა სულთა საუბარი ისეთი ძალით უნდა იყოს შთაგონებული, რომ იგივე ნამცეცნიც კი მტვრისა სრულად მოიცვას მათმა ზეგავლენამ. ისინი საკუთარ თავს ისე უნდა წარუმღვნენ, რომ დედამიწამ, რომელზეც ფეხს ადგამენ, ვერასოდეს უსაყვედუროს: "მე თქვენზე მეტს ვიმსახურებ, რამეთუ მოწმენი ხართ რაოდენ მოთმინებით ვიტან ხვედრს, მხვნელი რომ მარგუნებს. მე ის იარაღი ვარ, ყოველ სულიერს გამუდმებით რომ გადასცემს ყოველგვარი სიკეთის წყაროს მიერ მინდობილ

წყალობას. მიუხედავად იმ პატივისა, მე რომ მარგუნა წილად უფალმა, მიუხედავად ჩემი ურიცხვი სიმდიდრისა, ყოველი არსების მოთხოვნილებას რომ აკმაყოფილებს – შეხეთ ჩემს უზომო თავმდაბლობას, მოწმობდეთ ჩემს სრულ მორჩილებას, რომლითაც ნებას ვაძლევ კაცთ, ფეხქვეშ გამთელონ…"“[4]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავმდაბლობა ჩვენი მოყვასის წინაშე ღვთის წინაშე თავმდაბლობიდან მოედინება. სწორედ ასეთი თავმდაბლობით ვიღებთ ლოცვით დამოკიდებულებას მეგობრის ან მეზობლის სახლში სტუმრობისას, რათა გავაღრმავოთ ჩვენი გაგება გარკვეული თემების შესახებ. საუბრის დროს ჩვენ ხშირად მივმართავთ ჩვენს აზრებს ღმერთისკენ და ვთხოვთ მას, გაანათოს ჩვენი და ყველა დამსწრეს გონება და გული. ბევრი ფრაზა და წინადადებაა ლოცვებიდან, რომლებიც შეგვიძლია დავიმახსოვროთ ამ მიზნით. ეს მხოლოდ რამდენიმეა:

„გაანათე ჩვენი გულები, გვიწყალობე თვალი გამჭოლი და ყური მახვილი.“”[5]

„ჰოი უფალო! გვიწყალობე უსაზღვრო ძღვენი შენნი, და გააბრწყინე ნათელი შენი წინამძღოლობისა.“[6]

„განაღე კარიბჭე ჭეშმარიტი გაგებისა და დაე გაბრწყინდება მთელ თავის დიდებულებაში რწმენის ნათელი.“[7]

„გაასხივოსნე, ჰოი უფალო, სახეები შენთა მსახურთა, რათა გიხილონ შენ…“[8]

„ჩემი სახე შენი მოწყალე ხატებისაკენ მივაქციე, მთელი ჩემი გულის მხურვალებით, ჩემი გონებითა და ენით, გევედრები, დამიფარო ყველაფრისგან, რაც ეწინააღმდეგება შენს ნებას ამ, შენი ღვთაებრივი ერთიანობის ციკლში….“[9]

განყოფილება 6

ალეხანდრას გული სიხარულით არის აღსავსე სანჩესების სახლში ვიზიტისა და მათთან მარადიული აღთქმის თემაზე საუბრის შემდეგ. „მომდევნო ვიზიტი, - ფიქრობს ის, - კარგი შესაძლებლობა იქნება მათთვის, გააღრმავონ ცოდნა ბაჰაულას ცხოვრების შესახებ. ქვემოთ მოცემულია პრეზენტაცია, რომელსაც ალეხანდრა გამოიყენებს:

ბაჰაულა 1817 წლის 12 ნოემბერს დაიბადა სპარსეთის დედაქალაქ თეირანში. ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივ თვისებებს ამჟღავნებდა. მისმა საქციელმა დაარწმუნა მშობლები, რომ ის დიდი საქმეებისათვის იყო დაბადებული. ბაჰაულას მამას, შაჰის კარზე მიღებულ მინისტრს უსაზღვრო სიყვარულით უყვარდა თავისი ვაჟი. ერთ დღეს დაესიზმრა, რომ ბაჰაულა უკიდეგანო ოკეანეში მიცურავდა. მისი სხეული ანათებდა და კაშკაშებდა ვეებერთელა სივრცეში. თავს უმშვენებდა კუპრივით შავი, გრძელი თმა, რომელიც ყველა მიმართულებით ტივტივებდა. მის გარშემო უამრავი თევზი შეკრებილიყო, თითოეული მათგანი თმის თითო ღერს ჩასჭიდებოდა, ურიცხვი იყო თევზი, მაგრამ ბაჰაულას თმის ერთი ღერიც კი არ დაჰკლებია. თავისუფლად და შეუფერხებლად მოძრაობდა წყლის ზედაპირზე და თევზებიც მას მიჰყვებოდნენ. ბაჰაულას მამამ სიბრძნით განთქმულ კაცს სიზმრის ახსნა სთხოვა. მან აუხსნა, რომ უკიდეგანო ოკეანე ყოფიერების სამყარო იყო.

ბაჰაულა კი მარტოდმარტო, დაუხმარებლად მიაღწევდა მასზედ უზენაესობას. თევზების გუნდი იმ გადატრიალებას მოასწავებდა, რომელსაც იგი მსოფლიოს ხალხებში მოახდენდა. მაგრამ ყოვლისშემძლის მფარველობა და მხარდაჭერა დაიცავდა მას ყოველგვარი უბედურებისგან, ვერავინ და ვერაფერი ზიანს ვერ მიაყენებდა.

14 წლის ასაკში, იგი შაჰის კარზე საკმაოდ იყო ცნობილი თავისი სიბრძნისა და განსწავლულობის გამო. 22 წლისას მამა გარდაეცვალა და მთავრობამაც მისი მაღალი თანამდებობის დაკავება შესთავაზა. მაგრამ ბაჰაულას არასოდეს უფიქრია ამქვეყნიური საქმეების მართვაზე დაეკარგა დრო. მან მიატოვა სამეფო კარი და მინისტრები, რათა გაჰყოლოდა ყოვლისშემძლის მიერ მითითებულ გზას. იგი დროს ჩაგრულთა, სნეულთა თუ გაჭირვებულთა დახმარებაში ატარებდა და მალე ცნობილი გახდა, როგორც სამართლიანობისა და მართალი საქმის ღირსეული დამცველი.

ოცდაშვიდი წლისამ სპეციალური მაცნის ხელით რამდენიმე წერილი მიიღო ბაბისა, რომელიც უფლის დღის მოახლოვებას აცხადებდა, დღისა, როცა ღმერთის მიერ წარგზავნილი ახალი გამოცხადება მოიტანდა მშვიდობას ერთობასა და სამართლიანობას, რასაც კაცობრიობა დიდხანს ელოდა. ბაჰაულამ მაშინვე აღიარა ბაბის მისია და მისი ერთ-ერთი მგზნებარე მიმდევარი გახდა. მაგრამ სამწუხაროდ ეგოისტური სურვილებით დაბრმავებული სპარსეთის მმართველები აღსდგნენ, რათა უსასტიკესად დაესაჯათ ბაბის მიმდევრები. მიუხედავად მისი კეთილშობილი წარმომავლობისა ამას ვერც ბაჰაულა გადაურჩა. 8 წელზე ოდნავ მეტი თუ იქნებოდა გასული ბაბის დეკლარაციიდან, ხოლო მისივე წამებიდან 2 წელი, როცა ბაჰაულა „შავ ორმოდ“ წოდებულ დილეგში ჩასვეს. სპარსულად ამ ადგილს „სიაჰ ჩალი“ ჰქვია. კისერზე შემოხვეული ჯაჭვი იმდენად მძიმე იყო, რომ მას თავის მაღლა აწევაც კი უჭირდა. აქ, უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა ბაჰაულამ 4 უსაშინლესი თვე. ჯერ კიდევ ამ დილეგში შთაბერა მას უფლის სულმა და გაუმჟღავნა რომ ის იყო ყველა დროის აღთქმული. ამ ბნელი დილეგიდან ბაჰაულას მზე ამობრწყინდა, გაანათა ყოველი ქმნილება.

შავ ორმოში გატარებული 4 თვის შემდეგ ბაჰაულას ჩამოერთვა მთელი თავისი ქონება და მის ოჯახთან ერთად გადასახლებაში იქნა გაგზავნილი. ზამთრის მწარე სიცივეში გაუყვნენ ისინი გზას. სპარსეთის დასავლეთით მდებარე მთებით ბაღდადისკენ. მაშინდელი ოსმანთა იმპერიის ქალაქისკენ, რომელიც დღეს ერაყის დედაქალაქია. ძნელია სიტყვებით აღიწეროს მათი ტანჯვა, როდესაც ასობით მილს ფეხით გადიოდნენ თოვლით და ყინულით დაფარულ მიწაზე, ბედისწერით განსაზღვრული ქალაქისკენ.

ბაჰაულას სახელ-დიდება სწრაფად გავრცელდა ბაღდადში თუ რეგიონის სხვა ქალაქებში. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მოდიოდა გადასახლებული პატიმრის კარზე ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც შურდათ მისი დიდება. მათ შორის იყო ბაჰაულას ნახევარძმაც მირზა იაჰია, რომელიც მისი მზრუნველობის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა. მირზა იაჰიამ ბაბის მიმდევრებს შორის დიდი განხეთქილების გამოწვევა განიზრახა, რითაც ძალზედ დაამწუხრა ბაჰაულა. ერთ ღამეს, ბაჰაულამ უსიტყვოდ დატოვა სახლი და ქურთისტანის მთებისაკენ გაეშურა. აქ ის განმარტოვებით ცხოვრობდა და მთელ დროს ლოცვასა და მედიტაციაში ატარებდა. ის გამოქვაბულში შეჩერდა და

სავსებით უბრალო, ღარიბული საკვებით იკვებებოდა. არავინ იცოდა მისი წარმოშობა, სახელი მაგრამ შემდეგ, თანდათან ხალხმა დაიწყო ლაპარაკი „უსახელო ვინმეზე“, დიად წმინდანზე, რომელიც ღვთისგან ბოძებულ ცოდნას ფლობდა. როგორც კი ცნობამ წმინდა კაცის შესახებ ბაჰაულას უფროსი შვილის აბდულ-ბაჰას ყურამდე მიაღწია, მან მაშინვე ამოიცნო უსაყვარლესი მამის ნიშან-თვისებები. მიხვდა, რომ ეს წმინდა კაცი მისი საყვარელი მამა იყო. ბაჰაულას შიკრიკის ხელით წერილი გაუგზავნეს, რომელშიც ბაღდადში დაბრუნებას ევედრებოდნენ. იგი დათანხმდა, რითაც წერტილი დაუსვა მტკივნეული განმარტოვების პერიოდს, რომელმაც ორ წელს გასტანა.

ბაჰაულას არყოფნისას ბაბის მიმდევართა თემი სწრაფად დაკნინდა. შვიდი წლის განმავლობაში ის ცხოვრობდა ბაღდადში მთებიდან დაბრუნების შემდეგ, რის დროსაც მან შეუდგა დევნილი და თავგზააბნეული ბაბის მიმდევრებში მხნეობის, ახალი სულისკვეთების გაღვივებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ჰქონდა გამოცხადებული თავისი მისია, მისი სიტყვების ძალამ და სიბრძნემ რაოდენობრივად მზარდ ბაბიდებში ერთგულების მოპოვება დაიწყო, ასევე მისით აღფრთოვანებული იყვნენ სრულიად განსხვავებული საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანებიც. მაგრამ ფანატიკურად განწყობილ მუსლიმან ღვთისმსახურებს აღარ შეეძლოთ ეცქირათ რაოდენ უზარმაზარი იყო ბაჰაულას ზეგავლენა მრავალ ადამიანზე. ისინი ჩიოდნენ და ჩიოდნენ ხელისუფლებაში, ვიდრე სპარსეთის მთავრობამ, ოსმანთა იმპერიის ხელისუფლებასთან ერთად იგი მისი სამშობლოდან კიდევ უფრო შორს არ გადააგზავნა ამჯერად კონსტანტინოპოლში.

1863 წლის აპრილი ბაღდადის მოსახლეობისთვის უდიდესი მწუხარების თვე იყო. ის ვინც ასე ძლიერ შეიყვარეს, ტოვებდა მათ ქალაქს, მიდიოდა მათთვის უცნობი დანიშნულების ადგილისკენ. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ბაჰაულა ქალაქის გარეუბანში მდებარე ბაღში შევიდა, გამართა კარავი და 12 დღის განმავლობაში იღებდა მასთან გამოსამშვიდობებლად მოსულ მნახველებს. ბაბის მიმდევრები ამ ბაღში გულდამძიმებული შემოდიოდნენ. ბაჰაულას რამდენიმე მათგანი თან მიჰყვებოდა ახალ გადასახლებაში, მაგრამ უმრავლესობა უნდა დარჩენილიყო, მოკლებული მასთან სიახლოვეს. მაგრამ ღმერთმა არ ინება, რომ ეს განშორება მწუხარე ყოფილიყო. მისი უსაზღვრო წყალობის კარი ფართოდ გაიღო და ბაჰაულამ გარშემო მყოფთ განუცხადა, რომ სწორედ ის იყო ვისზედაც ბაბი წინასწარმეტყველებდა – ანუ ვისაც ღმერთი მოავლენდა. მწუხარებამ გზა დაუთმო უსაზღვრო სიხარულს. გულები აღივსო და სულები აგიზგიზდა მისი სიყვარულის ცეცხლით. მას შემდეგ და მომავალ საუკუნეებშიც ეს თორმეტი დღე, 21 აპრილიდან 2 მაისამდე, ბაჰაის მიერ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აღინიშნება, როგორც რიდვანის დღესასწაული – იუბილე ბაჰაულას მთელ საკაცობრიო მისიის გამოცხადებისა.

კონსტანტინოპოლი ოსმანთა იმპერიას ეკუთვნოდა. აქაც ბაჰაულას დიდმა სიბრძნემ და პიროვნულმა მომხიბლავობამ სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოიზიდა. „ის აღარ უნდა დარჩეს კონსტანტინოპოლში,“ ბუზღუნებდა ფანატიკოსი მუსლიმანი ღვთისმსახური, რომელმაც ხელისუფლება დაარწმუნა ამჯერად იგი ადრეანოპოლში გადაესახლებინათ. სწორედ აქ დაწერა ბაჰაულამ სიგელები სამყაროს მეფეებისა თუ

მმართველებისადმი, მოუწოდებდა მათ მიეტოვებინათ ჩაგვრის გზა და თავი ხალხის კეთილდთღეობისთვის მიეძღვნათ. შემდეგ მისმა მტრებმა ყველაზე ულმობელი სასჯელი მოიფიქრეს – ის და მისი ოჯახი გადაესახლებინათ აკკაში, რომელიც იმ დროისათვის მთელს იმპერიაში ყველაზე საშინელი კოლონია იყო. "ის უეჭველად დაიღუპება ამ ციხე -ქალაქის მძიმე პირობებში," ეს უგუნური ადამიანები ფიქრობდნენ და წარმოიდგენდნენ, რომ შეძლებდნენ იმის შეჩერებას, რაც თავად ღმერთმა მოიყვანა მოძრაობაში.

შორს წაგვიყვანდა იმ გაჭირვებათა ჩამოთვლა, რაც ბაჰაულამ აკკაში გადაიტანა. მოკლებული იყო ყოველგვარ კომფორტს და დღედაღამ მტრებით იყო გარემოცული. მაგრამ პატიმრობის პირობები თანდათან შეიცვალა. აკკას მცხოვრებნი და მთავრობაც დარწმუნდნენ მათ ქალაქში გადმოსახლებულ ბაჰაის მცირე ჯგუფის უდანაშაულობაში. ადამიანები კვლავაც მოხიბლა ამ არაჩვეულებრივი პიროვნების სიბრძნემ და სიყვარულმა, თუმცა უმრავლესობას არ ესმოდა მისი დიადი მდგომარეობა. დაახლოებით ცხრა წლის შემდეგ ციხე-ქალაქის კარები გაიღო ბაჰაულასა და მისი თანამოაზრეებისათვის. მისმა საყვარელმა შვილმა აბდულ-ბაჰამ შეძლო მოეპოვებინა ღირსეული ადგილი მამისთვის საცხოვრებლად ქალაქის გალავნის მიღმა, და საბოლოოდ კი აბდულ-ბაჰასთვის შესაძლებელი გახდა სახლის დაქირავება სოფლად, სადაც ბაჰაულამ შეძლო თავისი ცხოვრების დარჩენილი ცამეტი წელი შედარებით სიმშვიდეში გაეტარებინა. დღეს ეს ადგილი ბაჰჯის მამულის სახელითაა ცნობილი. და სწორედ აქ გარდაიცვალა დიდების მწვერვალზე მყოფი 1892 წლის მაისში.

ბაჰაულამ აღმართა საყოველთაო მშვიდობისა და ძმობის ალამი და გაამჟღავნა უფლის სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ მტრები ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ, მაინც გაიმარჯვა მათზე, როგორც ეს ღმერთმა აღუთქვა თეირანის ციხეში ბორკილდადებულს. სიცოცხლეშივე მისმა სიტყვამ ათასობით ადამიანის გული დაიპყრო. და დღეს ეს მოძღვრება კვლავაც აგრძელებს გავრცელებას მთელს მსოფლიოში. ვერაფერი აღუდგება მას მისი უმაღლესი მიზნისკენ სწრაფვაში, რაც კაცობრიობის ერთი საყოველთაო საერთო საქმისათვის, ერთი საერთო რწმენისთვის გაერთიანებას გულისხმობს.

ბაჰაულას ცხოვრების ზემოხსენებული მონათხრობი შედარებით გრძელია. სანამ ქვემოთ მოცემულ სავარჯიშოებზე გადახვიდოდეთ, თქვენ უნდა წაიკითხოთ მონათხრობი აბზაც-აბზაც თქვენს ჯგუფში და დაუსვათ ერთმანეთს კითხვები, სანამ კარგად არ შეისწავლით შინაარსს და ადვილად გადმოსცემთ მას. შემდეგი რუკა დაგეხმარებათ გაიხსენოთ ბაჰაულას გადასახლების გზა და გაიხსენოთ ამ გზაზე მომხდარი მოვლენები.

1. შესაძლოა გამოგადგეთ, რომ ქვემოთ მოცემულ სივრცეში ჩამოწეროთ ბაჰაულას ცხოვრებასთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენების თანმიმდევრობა.

2. ბაჰაულას ცხოვრების თემის ირგვლივ განხილვისას, არსებობს მთელი რიგი ცნებებისა, რომელთა ხაზგასმაც საჭიროა, გარდა მოვლენათა თანმიმდევრობისა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ტანჯვას, რომელიც მან გადაიტანა კაცობრიობის სიყვარულის გამო, ისევე როგორც მისი რწმენის მიერ მიღწეულ გასაოცარ გამარჯვებებს წინააღმდეგობის წინაშე. დაე, ეს სიტყვები ჩვენს გონებასა და გულში აღიბეჭდოს:

„უხნესი მშვენიერება დათანხმდა ბორკილები დაედოთ მისთვის, რათა ამ უღლისაგან კაცობრიობა გაეთავისუფლებინა; იგი დათანხმდა ამ უმტკიცესი სიმაგრის ტუსაღი ყოფილიყო, რომ ქვეყნიერებას განეცადა ჭეშმარიტი თავისუფლება. მან ძირამდე გამოსცალა მწუხარების ფიალა, რომ დედამიწის ხალხებს ეგემნათ მხიარულება და სიხარულით აღვსილიყვნენ. ესე არს წყალობა უფლისა შენისა, თანამგრძნობისა, ყოვლადმოწყალისა. ჩვენ დავთანხმდით დამდაბლებას, მორწმუნენო ღმერთის ერთობისა, თქვენი ამაღლებისთვის და მზად ვიყავით გვეტანჯა მრავალის ტანჯვით, თქვენი აყვავებისა და წარმატებისათვის. ის, ვინც ქვეყნიერების ხელახლა ასაშენებლად მოვიდა – უცქირეთ როგორ აიძულეს უკაცრიელ ქალაქში ეცხოვრა და თანაც იმათ, თავი ღმერთს რომ გაუტოლეს.“[10]

3. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ბაჰაულას ტანჯვაზე, იგი მისი მტრების ხელთ ჩავარდნილ უმწეო მსხვერპლად როდი უნდა წარმოვადგინოთ. ის დათანხმდა თავადაც ეტარებინა ბორკილები, ოღონდაც კაცობრიობა გაეთავისუფლებინა. მისი ცხოვრება, თუნდაც მრავალი ტანჯვითა თუ განსაცდელით აღსავსე თავისი არსით ტრიუმფის ისტორიაა. შეგიძლიათ თუ არა ბაჰაულას ცხოვრების წარმოდგენილ ისტორიაზე დაყრდნობითა და თქვენი წამყვანის დახმარებით შეადგინოთ მოკლე მოთხრობა მის ტანჯვასა და გამარჯვებებზე მისი ცხოვრების შესახებ თქვენი ამჟამინდელი ცოდნის საფუძველზე? შესაძლოა დაიხმაროთ ქვემოთ მოცემული კითხვები.

ა. რატომ დათანხმდა ბაჰაულა თავადაც ეტარებინა ბორკილები?_____
_____
_____

ბ. რატომ დათანხმდა ბაჰაულა თავადაც ტუსაღი გამხდარიყო?_____
_____
_____

გ. რატომ გამოსცალა ბაჰაულამ მწუხარების ფიალა?_____
_____
_____

დ. რატომ დათანხმდა ბაჰაულა დამდაბლებას?_____
_____
_____

ე. რატომ იტანჯებოდა ბაჰაულა მრავალი ტანჯვით?_____
_____
_____

ვ. დათანხმდა თუ არა ბაჰაულა ტანჯვას, რადგან უძლური იყო სხვაგვარად მოქცეულიყო?_____
_____
_____

ზ. თუ ბაჰაულა არ იყო უძლური მისი მტრების წინაშე, მაშინ რატომღა დათანხმდა ტანჯვას?_____
_____
_____

განყოფილება 7

ალეხანდრას მეორე ვიზიტი სანჩესების სახლში ისეთივე სასიხარულოა, როგორც პირველი. ბატონი და ქალბატონი სანჩესები უკვე გარკვეულწილად იციან ბაჰაულას ცხოვრების ამბავი, მაგრამ ისინი სიამოვნებით სწავლობენ ალეხანდრას პრეზენტაციიდან და აშკარად განიცდიან მისი ტანჯვის ცნობას. „როგორც ჩანს," ერთ მომენტს ქალბატონი სანჩესი ფიქრობს, რომ "ღმერთის გამოვლინებები ყოველთვის იტანჯება იმათ ხელში, ვისაც ლიდერობა და ამქვეყნიური ძალაუფლება სწყურია". ალეხანდრა გადაწყვეტს, რომ მიზანშეწონილია გაუზიაროს მათ ციტატა, რომელიც მან დაიმახსოვრა - რაც თქვენც სავარაუდოდ დაიზეპირეთ თქვენი ბოლო ნაწილის შესწავლიდან - სადაც ბაჰაულა საუბრობს იმ ტანჯვაზე, რომელიც მან გადაიტანა კაცობრიობის გულისთვის, რომ ჩვენ გავთავისუფლდეთ უღლისაგან და მივაღწიოთ მუდმივ ბედნიერებას. სამივე მეგობარი იმ დღის დისკუსიით თავს გახარებულად გრძნობენ.

შემდეგი ვიზიტის განხილვისას ალეხანდრას სწრაფად გამოაქვს დასკვნა, რომ აბდულ-ბაჰას მდგომარეობა დისკუსიის ბუნებრივი თემა იქნებოდა. ეს არის ის პუნქტები, რომლებსაც ის აუცილებლად დაფარავს:

> ბაჰაულას უფროსი ვაჟი, აბდულ-ბაჰა არის ყველაზე უნიკალური ფიგურა კაცობრიობის ისტორიაში, და მის მსგავს პიროვნებას ვერც ერთ წინა რელიგიაში ვერ ვიპოვით. მან ჯერ კიდევ ბავშვობაში აღიარა მამის ღვთაებრივი მდგომარეობა და გაიზიარა მისი გადასახლებები და ტანჯვა. სწორედ აბდულ-ბაჰას მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ დატოვა ბაჰაულამ ბაჰაი თემი მისი გარდაცვალების შემდეგ. ჩვენ ვერასოდეს შევაფასებთ იმას, თუ რა უზარმაზარი ძღვენი აჩუქა ბაჰაულამ კაცობრიობას, და გამოავლინა არა მხოლოდ თავისი ამაღლებული გამოცხადება, არამედ მისი ვაჟიც, რომლის ცოდნითა და სიბრძნით, მისი თქმით, სამყარო წარმართული და განათებული იქნებოდა.

როდესაც ჩვენ ვსწავლობთ აბდულ-ბაჰას ცხოვრებასა და გამონათქვამებს, ჩვენ ვიგებთ იმ უნიკალურ მდგომარეობას, რომელსაც ის იკავებს ამ დისპენსაციაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ მდგომარეობის სამი ასპექტი გავითვალისწინოთ.

პირველი, აბდულ-ბაჰა არის ბაჰაულას აღთქმის ცენტრი. ბაჰაულამ დადო აღთქმა თავის მიმდევრებთან და მოუწოდა მათ, მიმართონ თავიანთი გულები ამ ცენტრისკენ და ყოფილიყვნენ მისი ერთგულები. თავის ნებასა და ანდერძში, აბდულ-ბაჰამ დაასახელა შოგი ეფენდი, რწმენის მფარველი, ქცეულიყო ცენტრად, რომელსაც ყველამ უნდა მიმართოს მისი გარდაცვალების შემდეგ. დღეს ეს ცენტრი არის მსოფლიო სამართლიანობის სახლი, რომელიც შეიქმნა ბაჰაულას მკაფიო ბრძანებისა და აბდულ-ბაჰას და მფარველის მიერ მიცემული მკაფიო მითითებების შესაბამისად. აღთქმის ძალა აერთიანებს ბაჰაი თემს და იცავს მას დაყოფისა და დაშლისგან.

მეორე, აბდულ-ბაჰა არის ბაჰაულას სიტყვების უშეცდომო განმმარტებელი. იმდენად უზარმაზარია ბაჰაულას გამოცხადება, იმდენად ღრმა მნიშვნელობებია ჩაწერილი მის გამონათქვამებში, რომ მან საჭიროდ ჩათვალა დაეტოვებინა განმმარტებელი, რომელსაც თავად შთააგონებდა. ამრიგად, მომავალი თაობების განმავლობაში კაცობრიობა შეძლებს გაიგოს ბაჰაულას სწავლებები აბდულ-ბაჰას განმარტებების შესწავლით მის მრავალრიცხოვან სიგელებში და მისი საუბრების დამოწმებულ ჩანაწერებში. მფარველი იყო ბაჰაულას სწავლებების განმმარტებელი აბდულ-ბაჰას შემდეგ; მასთან განმარტების ამოცანა დასრულებულია, და არავის აღარ აქვს უფლება განმარტოს ბაჰაულას სიტყვები მისი დისპენსაციის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

წარსულში, ყველა რელიგია განიცდიდა განხეთქილებას მისი წმინდა წერილებიდან ნაწყვეტების სხვადასხვა განმარტებების გამო. მაგრამ ამ დისპენსაციაში, როდესაც გაურკვევლობაა ბაჰაულას ნაწყვეტის მნიშვნელობის შესახებ, ყველა მიმართავს აბდულ-ბაჰას და მფარველის განმარტებებს. თუ გაურკვევლობა დარჩება, შესაძლოა მივმართოთ მსოფლიო სამართლიანობის სახლს დაზუსტებისთვის. მაშასადამე, ადგილი აღარ რჩება სწავლებების მნიშვნელობის შესახებ კონფლიქტისთვის, რაც უზრუნველყოფს რწმენის ერთიანობის დაცვას.

მესამე, აბდულ-ბაჰა არის მამის სწავლების მისაბაძი მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერასოდეს ვიმედოვნებთ ასეთი სრულყოფილების მიღწევას, ჩვენ ყოველთვის უნდა გვედგას ის ჩვენს თვალწინ და შევეცადოთ მივბაძოთ მის მაგალითს. როდესაც ვკითხულობთ ნაწერებში სიყვარულის შესახებ, შეგვიძლია მივმართოთ აბდულ-ბაჰას და დავინახოთ თვით სიყვარულისა და სიკეთის არსი. როდესაც ვკითხულობთ სიწმინდის, სამართლიანობის, ზნეობის, სიხარულისა და კეთილშობილების შესახებ, შეგვიძლია მივმართოთ მას და ვიფიქროთ მის ცხოვრებაზე, და დავინახოთ, თუ როგორ ავლენდა ის ამ თვისებებს მათ უმაღლეს სრულყოფილებამდე.

აბდულ-ბაჰას ცხოვრების ნიშანი, რა თქმა უნდა, მისი მსახურება იყო. სახელი აბდულ-ბაჰა ნიშნავს „ბაჰას მსახურს“ და ეს იყო წოდება, რომელიც ის ამჯობინებდა ყველა სხვა დანარჩენს, რაც მას მინიჭებული ჰქონდა.

აბდულ-ბაჰას შემდეგი სიტყვები არის მისი მსახურების მხურვალე სურვილის გამოხატულება:

„ჩემი სახელია აბდულ-ბაჰა. ჩემი თვისება არის აბდულ-ბაჰა. ჩემი რეალობა არის აბდულ-ბაჰა. ჩემი ქება არის აბდულ-ბაჰა. კურთხეული სრულყოფილებისადმი მონობა ჩემი დიდებული და მანათობელი დიადემაა და მთელი კაცობრიობისადმი მსახურება ჩემი მარადიული რელიგია. . . არც სახელი, არც წოდება, არც ხსენება, არც ქება-დიდება მქონია და არც მექნება, გარდა აბდულ-ბაჰას. ეს ჩემი ლტოლვაა. ეს ჩემი ყველაზე მწვავე სურვილია. ეს არის ჩემი მარადიული სიცოცხლე. ეს არის ჩემი მარადიული დიდება."[11]

ცხადია, რის გაზიარებას გეგმავს ალეხანდრა სანჩესებთან მის მომავალ ვიზიტზე, სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე უნიკალური ფიგურის შესავალი; მათი მადლიერება აბდულ-ბაჰას მიერ დაკავებულ მდგომარეობაზე ამ დისპენსაციაში გააგრძელებს ზრდას მომავალ წლებში. საკუთარ ცხოვრებაში, როცა მსახურების გზაზე დადიხართ, გაგიჩნდებათ მრავალი შესაძლებლობა, გაიხსენოთ მისი მაგალითი და დაფიქრდეთ მის სიტყვებზე. უკვე, წინა განყოფილებაში, თქვენ გაეცანით მის ზოგიერთ გამონათქვამს და თქვენ წაქეზებულნი იყავით გესწავლათ მისი იდეების გამოხატვა ისე, როგორც ის აკეთებდა თავის სიგელებსა და საჯარო მოხსენებებში. ამ დროისთვის, მისი მდგომარეობის შესახებ თქვენი ამჟამინდელი გაგების გასამყარებლად, თქვენ უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენი ჯგუფის სხვა წევრებთან ზემოთ აღნიშნულ მთავარ საკითხებზე და ივარჯიშოთ მათ კარგად გადმოცემაზე. ციტირებული მონაკვეთის მსჯელობა შთააგონებს თქვენს ძალისხმევებს წინ წახვიდეთ მსახურების გზაზე.

განყოფილება 8

კითხვა, რომელიც ალეხანდრას აწუხებდა მას შემდეგ, რაც მან ბატონ და ქალბატონ სანჩესებთან ვიზიტი დაიწყო, არის ის, თუ რა თემები დაეხმარება მათ ყველაზე მეტად გახდნენ თემის აღმშენებლობის პროცესის დადასტურებული და აქტიური გმირები სამეზობლოში. ერთის მხრივ, არის ისეთი თემები, როგორიცაა ლოცვა, სულის უკვდავება და ღვთის სიყვარულში ურყევობა, რომელთა განხილვის იმედიც აქვს მათთან, რადგან მათი სულიერი ცხოვრების საფუძვლები მუდმივად განმტკიცებული უნდა იქნას. მეორეს მხრივ, მათთვის მნიშვნელოვანი იქნება შეიძინონ ხედვა იმ ტიპის თემის შესახებ, რომელიც თანდათანობით განვითარებად პროცესშია და იცოდნენ, რომ მათ შეუძლიათ ღირებული წვლილი შეიტანონ მის განხორციელებაში. ბატონ და ქალბატონ სანჩესებთან აბდულ-ბაჰას მდგომარეობის შესახებ საუბრისას ალეხანდრა თანდათან ხვდება, რა უნდა იყოს მისი შემდეგი ვიზიტის თემა. „მათ მკაფიოდ იციან რწმენის მიზნის შესახებ, გააერთიანოს ხალხები", - ფიქრობს ის. "ასე რომ, თემა, რომელიც ალბათ ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, არის ის, თუ როგორ უნდა ავაშენოთ და შევინარჩუნოთ ერთიანი თემი."

ალეხანდრა იწყებს მეოთხე ვიზიტს იმ აქტივობების აღწერით, რომლებსაც ამჟამად ახორციელებენ მეგობრების შედარებით მცირე ჯგუფი სამეზობლოში. „ჩვენი რიცხვების ზრდისას", განმარტავს ის, „ყველაზე რთული პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ ყველამ თავის თავზე უნდა ავიღოთ, უნდა უფრო და უფრო მეტად ერთიანნი გავხდეთ ჩვენს სიტყვებში, ჩვენს აზრებსა და ქმედებებში. თუ თანახმა ხართ, მაშინ დღეს ჩვენ შეგვიძლია ერთად შევისწავლოთ ერთიანობის თემა".

„მე მესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანობა ჩვენი თემის განვითარებისთვის“, - პასუხობს ქ-ნი სანჩესი.

„და ბოლოს და ბოლოს, ეს იყო ბაჰაულას ერთიანობის გზავნილი, რომელიც პირველმა მიიპყრო ჩვენი გული მისი სწავლებებისკენ“, - ამბობს ბ-ნი სანჩესი.

"მე რამდენიმე იდეა შევარჩიე და თითოეულისთვის ციტატა გამოვნახე", - ამბობს ალეხანდრა. „თუ წინააღმდეგი არ ხართ, შეგვიძლია ეს ციტატები სათითაოდ გადავხედოთ და განვიხილოთ“.

ქვემოთ მოცემულია ალეხანდრას იდეების სია:

- იმისათვის, რომ ბაჰაი თემი ჭეშმარიტად ერთიანი იყოს, ყოველი ბაჰაი უნდა ერიდოს დავას და დაპირისპირებას. ბაჰაულა ამბობს:

  „დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, გაუცხოვება და აპათია ღვთისაგან რჩეულთა შორის. მოიცილეთ ისინი უფლის ძალითა და მისი უზენაესი შეწევნით და კაცთა გულების შეკავშირებას ეცადეთ, სახელითა მისითა – გამაერთიანებლისა, ყოვლისმცოდნისა, ყოვლადბრძენისა.“[12]

- ჩვენ უნდა გვიყვარდეს თემის ყოველი მორწმუნე და ამას უნდა ვაკეთებდეთ მხოლოდ და მხოლოდ ღვთისადმი სიყვარულის გამო. აბდულ-ბაჰა ამბობს:

  „იყავით სრულყოფილ ერთობაში. ნურასოდეს გაუბრაზდებით ერთმანეთს.... გიყვარდეთ ყოველი ქმნილება ღვთის გულისათვის და არა მათი გულისათვის. თქვენ არასოდეს გაუბრაზდებით და იმწუხრებთ მათზე თუ შეიყვარებთ მათ ღვთის სახელისთვის. კაცობრიობა სრულყოფილი როდია. ნაკლი ყოველ ადამიანშია, და ყოველთვის უბედური იქნებით, თუ ადამიანებს შეხედავთ მხოლოდ მათ გულიზა. მაგრამ როცა მიაქცევთ მზერას ღმერთს, თქვენ შეძლებთ მათ შეყვარებას, იქნებით კეთილნი მათ მიმართ, რამეთუ ღმერთის სამყარო არის სამყარო სრულყოფილებისა და სრული მოწყალებისა.“[13]

- თუკი, მიუხედავად ურთიერთ სიყვარულისა, დაძაბულობა მაინც იზრდება ჩვენს შორის, დაუყოვნებლივ უნდა გავიხსენოთ აბდულ-ბაჰას რჩევა:

  „ყოველ თქვენგანს გაკისრებთ მოვალეობად თქვენი გულის ფიქრები გაამახვილოთ მხოლოდ სიყვარულსა და ერთობაზე. როცა წარმოიშობა აზრი ომზე, მას დაუპირისპირეთ უფრო ძლიერი აზრი მშვიდობაზე. სიძულვილის აზრი უნდა განადგურდეს უფრო ძლიერი აზრით – სიყვარულზე. ომზე ფიქრს მოაქვს რღვევა ყოველგვარი ჰარმონიისა, კეთილდღეობისა, სიმშვიდისა და კმაყოფილებისა.

  “ფიქრები სიყვარულზე ძმობის, მშვიდობის, მეგობრობისა და ბედნიერების აღმშენებელია.“[14]

- და თუ მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ვხედავთ რომ გრძნობებმა გვძლია და მათ კონფლიქტამდე მივყავართ, სისუსტის ჟამს ბაჰაულას შემდეგი სიტყვები დაგვეხმარება:

„თუ თქვენს შორის აზრთა სხვადასხვაობა წამოიჭრა, მე შემომხედეთ, თქვენს წინ მდგარს და ნუ მიაქცევთ ყურადღებას ერთმანეთის შეცდომებს, ჩემი სახელისათვის და ნიშნად ჩემი თვალნათელი, შუქმფინარი სიყვარულისა.“[15]

- სულიერი დისციპლინა, რომლის წყალობითაც თვალს ვხუჭავთ სხვათა ნაკლოვანებებზე, ყურადღებას ვამახვილებთ მათ ღირსეულ თვისებებზე და თავს ვიკავებთ ავსიტყვაობისგან, ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს განხეთქილების წინააღმდეგ. ავსიტყვაობის მიდრეკილების დაძლევა უფრო ადვილია, როდესაც გვიყვარს ერთმანეთი. უნდა გვახსოვდეს, რომ მიდრეკილნი ვართ იმათ ნაკლოვანებათა თვალის დახუჭვას, ვინც გვიყვარს, და არანაირი სირთულე არ არსებობს მათ უცოდველი თვალებით მზერაში. აბდულ-ბაჰა ამბობს:

„არასრულყოფილი თვალი ამჩნევს არასრულყოფილებას. თვალნი, არასრულყოფილებათა მიმტევებელნი, მიმართულია ადამიანთა სულების შემოქმედისაკენ. მან შექმნა ისინი, გაზარდა და აღზარდა, მიანიჭა მათ სიცოცხლის, ხედვის, სმენის უნარი და ამიტომ ისინი არსია მისი დიდებულების ნიშნებისა. ყველას უნდა მოექცნენ სიყვარულითა და სიკეთით, იზრუნონ ღარიბებზე, დაიცვან უმწეონი, განკურნონ სნეულნი, ასწავლონ და გაანათლონ უმეცარნი.“[16]

ბაჰაულა ამბობს:

„ჩემი ტახტის თანამოზიარევ! ნუ მოისმენ აუგს და ნურც დაინახავ. ნუ დამცირდები და ნურც ამოიოხრებ ან აქვითინდები. ნუ იტყვი აუგს, რომ შენვე არ დაგიბრუნდეს, ნურც სხვის ნაკლოვანებებს გააზვიადებ, შენი საკუთარი უმძიმესად რომ არ გეჩვენოს. ნუ უსურვებ სხვას დამცირებას, თავად რომ არ აღმოჩნდე მის დღეში. იცხოვრე შენი ცხოვრებით, რომელიც წამზე უმოკლესია, სპეტაკი გულით, შეუბღალავი სინდისით, ნათელი აზრით და წმინდა სულით. რომ თავისუფალმა და კმაყოფილმა მოიშორო მიწიერი ჩარჩოები, დაუბრუნდე იდუმალ სამოთხეს და საუკუნოდ დამკვიდრდე მარადიულ სასუფეველში.“[17]

და ის გვეუბნება:

“უცხო ქვეყანაში მცხოვრებნო! ენა ჩემი ხსენებისთვისაა განკუთვნილი. ნუ წაიბილწავთ მას ლანძღვა–გინებით. თუ პატივმოყვარეობის ცეცხლი შეგიპყრობთ, საკუთარი ცოდვები გაიხსენეთ და ნუ განიკითხავთ ჩემს ქმნილებათ თავიანთი ნაკლოვანებებისათვის, რამეთუ ყოველი თქვენგანი საკუთარ თავს სხვაზე უკეთესად იცნობს.”[18]

- ერთობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ განხეთქილებისა და დაცვის არ არსებობა როდია და სიყვარულიც მხოლოდ სიტყვებით როდი გამოიხატება. მხოლოდ მაშინ შევძლებთ განვაცხადოთ ჭეშმარტი ერთიანობის არსებობაზე ჩვენს ბაჰაი თემში, თუ ჩვენი ერთმანეთისადმი სიყვარული მსახურებაში გარდაისახება და ჩვენი ქმედებანი ნაკარნახევი იქნება თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით. აბდულ-ბაჰა ამბობს:

„არ დაისვენო, თუნდაც ერთი წამით, და ნუგეშსაც ნუ დაეძებ, თუნდაც ერთი წუთით; უფრო მეტიც, იშრომე მთელი გულითა და სულით, რათა ერთგულად

ემსახურო მხოლოდ ერთს მეგობრებს შორის და ბედნიერება და სიხარული მხოლოდ ერთ ნათელ გულს მოუტანო. ეს არის ჭეშმარიტი ძღვენი, და ამით არის შუქით მოჰფენილი აბდულ-ბაჰას წარბნი. ამაში იყავ მაშ ჩემი თანამზრახველი და თანამოაზრე."[19]

და ის ამბობს:

„უზენაესი მოთხოვნილება კაცობრიობისა თანამშრომლობა და ურთიერთდამოკიდებულებაა. რაც უფრო მტკიცეა ადამიანთა შორის ძმობისა და სოლიდარობის კავშირები, მით ძლიერია შემოქმედებითი უნარები და მიღწევები ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროში."[20]

- თემის საქმიანობაში წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გასაღებს – ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გულწრფელი და სიყვარულით აღსავსე თათბირი წარმოადგენს. ასეთი კონსულტაციის მეშვეობით ჩვენს მიერ დანახული მრავალი განსხვავებული გზა თუ თვალსაზრისი კონკრეტულ საკითხზე ერთად შეირწყმება და ვპოვებთ ერთობლივი მოქმედებების საუკეთესო მიმართულებას. თათბირისას ჩვენ ვაღწევთ აზრთა ერთსულოვნებას და ერთიანი აზრებითა თუ შეხედულებებით შეკავშირებულნი, ვქმნით ჩვენი თემების ზრდის ხელშემწყობ გეგმებს. თათბირის მონაწილეთა შესახებ აბდულ-ბაჰა ამბობს:

"მათთვის, ვინც ერთად თათბირობენ, მთავარი მოთხოვნილებაა განზრახვების სიწმინდე, სულის სიკაშკაშე, განდგომილება ყველაფრისგან, გარდა ღმერთისა, მიზიდულობა მისი ღვთაებრივი სურნელებისადმი, თავმდაბლობა და მორჩილება მის საყვარელ ადამიანებთ შორის, მოთმინება და მრავალტანჯულობა სირთულეებში და მსახურება მისი ამაღლებული ზღურბლისკენ. თუ ისინი შემწეულნი იქნებიან ამ თვისებების შეძენაში, მაშ მიენიჭებათ მათ ბაჰას უხილავი სამეფოს გამარჯვების ღირსყოფა."[21]

- ფიქრთა ერთსულოვნება მიუღწეველია, თუ იგი არ გაიზრდება ერთობლივ ქმედებაში, ერთად მოქმედება იმას როდი ნიშნავს, რომ ყველამ ერთიდაიგივე ვაკეთოთ, პირიქით, როცა თემი ერთობლივი მოქმედების გეგმას შეიმუშავებს, მაშინ ხორციელდება თითოეული პიროვნების სხვადასხვა ნიჭისა თუ ტალანტის სრულფასოვანი გამოყენება. ჩვენი ძალები იზრდება და მცირერიცხოვან თემსაც კი ხელეწიფება მიაღწიოს იმას, რისი შესრულებაც მსოფლიოს ყველაზე დიდ და მძლავრ ორგანიზაციებს არ ძალუძთ. აბდულ-ბაჰა ამბობს:

„როდესაც წმინდა სულები, ზეციურ ძალებზე დაყრდნობილნი, აღდგებიან სულის ისეთი თვისებებით, და ერთხმად ივლიან, გამწკრივებულნი, ყოველი თითოეული მათგანი იქნება როგორც ათასი სული, და ამ ძლევამოსილი ოკეანის ტალღები იქნება ისეთივე, როგორც ბატალიონები ზეცათა მკვიდრთა."[22]

მას შემდეგ რაც ყურადღებით წაიკითხავთ ზემოხსენებულს და თქვენი ჯგუფის მონაწილეებთან ერთად განიხილავთ შინაარსს, თქვენ უნდა დაეხმაროთ ერთმანეთს თემის წარმოდგენის პრაქტიკაში, ისევე როგორც ეს გააკეთეთ წინა სამთან. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები დაგეხმარებათ თქვენს ამ ძალისხმევაში.

1. დაასრულეთ წინადადებები:

ა. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, _____ _____ და განხეთქილება, დავა, გაუცხოვება და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

ბ. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და _____, დავა, გაუცხოვება და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

გ. დღეს ამას სხვა _____ დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, გაუცხოვება და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

დ. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, გაუცხოვება და _____ ღვთისგან რჩეულთა შორის.

ბ. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, _____, გაუცხოვება და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

ვ. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, _____ და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

ზ. დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ _____ ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, გაუცხოვება და აპათია ღვთისგან რჩეულთა შორის.

2. მეორე ციტატაში აბდულ-ბაჰა გვეუბნება, რომ:

ა. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სრულყოფილ _____

ბ. ჩვენ არასოდეს არ უნდა _____

გ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ხალხი _____ და არა თავად მათ გამო.

დ. ჩვენ არასოდეს _____ ან _____თუ ადამიანები _____ გვეყვარება.

ბ. კაცობრიობა _____ როდია.

ვ. ჩვენ ყოველთვის _____ ვიქნებით, თუ _____ მხოლოდ _____.

ზ. მაგრამ როცა მივაქცევთ მზერას _____, ჩვენ შევძლებთ ხალხის _____, და ვიქნებით _____ მათ მიმართ.

3. მესამე ციტატაში აბდულ-ბაჰა გვეუბნება, რომ:

ა. თითოეული ჩვენგანისთვის ყოველი ფიქრი ჩვენი გულისა დამყარებული უნდა იყოს _____ და _____.

ბ. როცა ომზე ფიქრი გვებადება, უნდა დავუპირისპიდეთ მას _____.

გ. ფიქრები სიძულვილზე შეიძლება დაძლეულ იქმნას _____ _____.

დ. ომზე ფიქრს მოაქვს რღვევა _____.

ბ. ფიქრები სიყვარულზე _____.

4. როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა შევამჩნევთ, რომ ჩვენსა და თემის სხვა წევრებს შორის უთანხმოება ჩნდება? _____
_____
_____
_____

5. აღწერეთ სულიერი დისციპლინა, რომელიც თქვენ თემში ერთობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. _____
_____
_____
_____

6. განსაჯეთ, შეუწყობს ხელს თუ არა ქვემოთ მოყვანილი მოქმედებანი ერთიანობას?

_____ სხვათა ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება.

_____ სხვათა ნაკლოვანებებზე თვალების დახუჭვა.

_____ მეგობართან ერთად სხვის ნაკლოვანებათა განსჯა.a

_____ ამბის გაზვიადება ან შეცვლა რომელიმე პიროვნების ცუდად წარმოდგენის მიზნით. სხვათა ნაკლოვანებებზე ფიქრი

7. რატომ ვაკრიტიკებთ ზოგიერთ პიროვნებას საკუთარი შეცდომების გამო და არა სხვების მიერ ჩადენილ მსგავს საქციელს? _____

_____

_____

_____

8. შესაძლებელია თუ არა იყოს ერთობა თემში, სადაც ადამიანები ერთმანეთზე ავსიტყვაობენ? რატომ არა? _____

_____

_____

_____

9. ცხადია, რომ ვინმეს შესახებ მიზანდასახულად სიცრუის თქმა არასწორია. მაგრამ რამდენად მართებული იქნება გამოთქვა სხვებთან კრიტიკული შენიშვნები იმ ადამიანების მიმართ, ვინც რაღაც ნამდვილად დააშავა? _____

_____

_____

10. რა განსხვავებაა ჭორაობას, ავსიტყვაობას და კრიტიკას შორის? _____

_____

_____

_____

11. რა გავლენას ახდენს ჭორაობა, ავსიტყვაობა და მუდმივი კრიტიკა თემზე?

_____

_____

_____

12. როგორ შეიძლება ამ ჩვევების ჩვენი ცხოვრებიდან აღმოფხვრა? _____

_____

_____

_____

13. რა მოხდება, თუკი ადამიანებზე ისე ვილაპარაკებთ, თითქოსდა ისინიც ესწრებიან ამ საუბარს? _____

_____

_____

_____

14. რა ზეგავლენას მოახდენს ბავშვებზე მათი თანდასწრებით ავსიტყვაობა?
_____
_____
_____

15. როგორ ფიქრობთ, რატომ გაგვაჩნია ერთმანეთის გაჭორვის და ავსიტყვაობის ტენდენცია? _____
_____
_____
_____

16. ბაჰაულა გვეუბნება: „თუ პატივმოყვარეობის ცეცხლი შეგიპყრობთ, _____ _____ და ნუ _____ _____, რამეთუ ყოველი თქვენგანი _____ სხვაზე _____."

17. სიყვარული მხოლოდ სიტყვებით არ გამოიხატება. კიდევ რა არის საჭირო?
_____

18. ერთიანობასთან და სიყვარულთან დაკავშირებით, აბდულ-ბაჰა მოგვიხმობს: "_____, თუნდაც ერთი წამით, და _____, თუნდაც ერთი წუთით; უფრო მეტიც, _____, რათა ერთგულად ემსახურო _____ მეგობრებს შორის და _____ მხოლოდ ერთ ნათელ გულს მოუტანო."

19. და ის შემდეგ აგრძელებს: „უზენაესი მოთხოვნილება კაცობრიობისა _____ და _____, რაც უფრო მტკიცეა _____ და _____ მით ლიერია _____ _____ ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროში."

20. რა არის ყველზე მნიშვნელოვანი გასაღები თემის წარმატებისა მის საქმიანობაში? _____
_____

21. აბდულ-ბაჰა მოუწოდებს მათ, ვინც თათბირობს: "მათთვის, ვინც ერთად თათბირობენ, მთავარი მოთხოვნილებაა _____, _____, _____, _____, _____, _____ მის საყვარელ ადამიანებთ შორის, _____ სრთულეებში და

_____ მისი ამაღლებული ზღურბლისკენ. თუ ისინი შემწეულნი იქნებიან ამ თვისებების შეძენაში, მაშ _____ მათ ბაჰას უხილავი სამეფოს _____."

22. ერთობაში მუშაობის ძალასთან დაკავშირებით, აბდულ-ბაჰა გვეუბნება: "როდესაც წმინდა სულები, _____ დაყრდნობილნი, აღდგებიან _____, და _____ ივლიან, გამწკრივებულნი, _____ მათგანი იქნება როგორც _____, და ამ ძლევამოსილი ოკეანის ტალღები იქნება ისეთივე, როგორც _____."

განყოფილება 9

ბატონ და ქალბატონ სანჩესებთან მეოთხე ვიზიტის დროს ალეხანდრას სიამოვნება შესწია ბეატრიჩეს გაცნობა, შვილიშვილის, რომელიც მათთან საცხოვრებლად გადმოვიდა, მაშინ როცა ახლომდებარე საშუალო სკოლაში სწავლობდა. ბეატრიჩეს ძალიან აინტერესებს ერთიანობის თემა და ენთუზიაზმით მონაწილეობს დისკუსიაში. როდესაც საუბარი დასასრულს უახლოვდება, ქ-ნ სანჩესს ყველასათვის ყავა და ნამცხვარი გამოაქვს. ეს აძლევს ალეხანდრას შესაძლებლობას, უკეთ გაიცნოს ბეატრიჩე, და ის გეგმავს მასთან შეხვედრას მეორე დღეს, რათა ისაუბროს სამეზობლოში თემის აღმშენებლობის ძალისხმევებზე. "მას შეიძლება აინტერესებდეს ძირითადი რიგი კურსების შესწავლა", - ფიქრობს თავისთვის ალეხანდრა. „შესაძლოა დავეხმარო მას პირველი რამდენიმე წიგნის სტაბილური ტემპით გავლაში. მას შემდეგ შესაძლოა მოინდომოს ბავშვთა კლასის დაწყება ან დამეხმაროს სამეზობლოში მოზარდთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში. ამ შემთხვევაში, მას შეუძლია თანდათან მეტი პასუხისმგებლობა აიღოს ჯგუფზე, სანამ ის მიიწევს მე-5 წიგნამდე, რომელიც მოამზადებს მას წამყვანის როლში მსახურებად. ალეხანდრა დაესწრო რამდენიმე ახალგაზრდულ შეხვედრას, რომლებიც, განხილვის გარკვეულ თემებზე იყო ორიენტირებული, რამაც გამოიწვია ბევრის მონაწილეობა ინსტიტუტის პროცესში. იგი გადაწყვეტს, რომ მეორე დღეს ბეატრიჩესთან საუბარში იდეების იგივე თანმიმდევრობას მიჰყვეს. საუბარი ასე იწყება:

> ყველა ჩვენგანს გვინდა, რომ სამყარო უკეთეს ადგილად იქცეს. ჩვენ მოუთმენლად ველით მომავალს, როდესაც დამყარდება საყოველთაო მშვიდობა და ადამიანთა ოჯახი იცხოვრებს ჰარმონიაში. ასეთი მომავალი ოცნება როდია და შესაძლოა აშენდეს ჩვენი უფრო და უფრო მეტი მცდელობით წვლილი შევიტანოთ მსოფლიოს გაუმჯობესებაში. ჩვენს გულებში თითოეულ ჩვენგანს აქვს სურვილი, ემსახუროს ჩვენს თემს. რაც ჩვენ გვჭირდება არის ჩვენი უნარების განვითარება საერთო კეთილდღეობისთვის უანგარო მსახურების განსახორციელებლად.
>
> ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ კაცობრიობისადმი ჩვენს მსახურებაზე, თუ წარმოვიდგენთ მსახურების გზას, რომელზეც ერთად მივიწევით. ეს გზა ყველასთვის ღიაა. თითოეული ჩვენგანი ვარჩევთ მასზე დადგომის არჩევანს, და მასზე საკუთარი ტემპით მივიწევთ წინ. ჩვენ მარტო არ

> მივდივართ ამ გზაზე; ჩვენ ვმსახურობთ ჩვენს მეგობრებთან ერთად, ერთად ვსწავლობთ და თან ერთმანეთის თანხლებით გადავდგამთ ნაბიჯებს. ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვდგამთ, იწვევს სიხარულს და დარწმუნებას, და ყოველი ძალისხმევა, რომელსაც ჩვენ მივაგებთ, ღვთაებრივი დადასტურება მოაქვს.

ბეატრიჩეს მოსწონს ის, რასაც ისმენს, და ამ მოკლე პრეზენტაციის შემდეგ იმართება ცოცხალი საუბარი. სანამ უფრო შორს წავალთ, მოდით აქ შევჩერდეთ და დავფიქრდეთ ამ ორ ახალ მეგობარს შორის ურთიერთქმედების ბუნებაზე. ალეხანდრამ გადაწყვიტა ჩაერთოს არსებით საუბარში, რათა მოიწვიოს ბეატრიჩე ინსტიტუტის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. რატომ არ იქნებოდა მისთვის საკმარისი უბრალოდ ეთქვა ბეატრიჩეს, რომ ინსტიტუტი მას სთავაზობდა კურსების სერიას და მოეწვია მათ გასავლელად?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

განყოფილება 10

ალეხანდრასა და ბეატრიჩეს შორის საუბარი დაახლოებით ორი საათი გრძელდება. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე დამატებითი იდეა, რომელსაც ალეხანდრა უზიარებს თავის ახალ მეგობარს. ჩვენ გვესმის, რა თქმა უნდა, რომ ის არ წარმოადგენს ხანგრძლივ უწყვეტ პრეზენტაციას. ორი საათის უმეტესი ნაწილი მიდის ამ აბზაცებში ასახულ იდეებზე ერთად განხილვაში:

> ჩვენ ახალგაზრდები ვართ, გვაქვს ენერგია და დიდი ენთუზიაზმი. ხალხი თვლის, რომ ჩვენ უდარდელები ვართ. მაგრამ პირიქითაა; ჩვენ შეშფოთებულები ვართ კაცობრიობის გასაჭირით და გვსურს ვიხილოთ რეალური ცვლილებები საზოგადოებაში. ჩვენ ასევე უნდა ვიფიქროთ საკუთარ ცხოვრებაზე - განათლებაზე, სამუშაოზე, მეგობრებზე, ოჯახზე. ყოველწლიურად, რაც უფრო ვიზრდებით, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება; ჩვენი მშობლები ჩვენგან ბევრს მოელიან. ხანდახან, როცა ყველა ჩემს პასუხისმგებლობაზე ვფიქრობ, თავს გაოგნებულად ვგრძნობ. შემდეგ მახსენდება ციტატა ბაჰაი წერილებიდან, რომელიც დამახსოვრებული მაქვს: „ადამიანის სიცოცხლეს თავისი გაზაფხული აქვს, რომელიც საოცარი დიდებითაა დაჯილდოებული. ახალგაზრდობის პერიოდი ხასიათდება სიძლიერითა და ენერგიით და გამოირჩევა, როგორც ყველაზე რჩეული პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში“.
>
> რაც მინდა გაგიზიაროთ არის ის, რომ ბევრი ახალგაზრდა მთელს მსოფლიოში ჩვენს მსგავს თემებში აცნობიერებს, რომ მათი ენერგიები შეიძლება მიმართული იყოს ორმხრივი მიზნით: აიღონ პასუხისმგებლობა

საკუთარ ინტელექტუალურ და სულიერ ზრდაზე და წვლილი შეიტანონ საზოგადოების ტრანსფორმაციაში. ჩვენი მიზნის ეს ორი ასპექტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. როდესაც ჩვენ განვავითარებთ საკუთარ უნარებს, უკეთესად შევძლებთ ვემსახუროთ სხვებს, და ერთმანეთის დახმარებისას, ვიზრდებით, როგორც ინდივიდები და ვაძლიერებთ ჩვენს თვისებებს.

სწორედ აქ იბადება იდეა მსახურების გზის შესახებ, რომელიც ადრე აღვნიშნე. მასზე სიარული არ არის ის, რაც ჩვენს ცხოვრებას უბრალოდ ემატება; მას მნიშვნელობა მოაქვს ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. თემისადმი მსახურება გვეხმარება უკეთ გავიგოთ ჩვენი განათლების მიზანი, გავაშუქოთ ჩვენი აზრები მომავლის შესახებ, განვავითაროთ ის თვისებები, რაც გვჭირდება ჩვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის. ის აძლიერებს ჩვენს მეგობრობას. ის გვიცავს ენერგიის გაფანტვისგან წვრილმან საქმეებზე.

ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ ზრდაზე ფიქრისას უნდა გავაცნობიეროთ მრავალი ძალის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენზე. ზოგიერთი მათგანი, როგორიცაა ცოდნის, სამართლიანობისა და სიყვარულის ძალები, გვიბიძგებს სწორი მიმართულებით და ჩვენ უნდა ვისწავლოთ თუ როგორ გავუსწორდეთ ამ ძალებს ერთ ხაზზე. სხვები, მატერიალიზმისა და ეგოცენტრულობის ძალების მსგავსად, პირიქით აკეთებენ და ჩვენ მათ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ სრულყოფილებას და გვქონდეს რწმენა, რომ ჩვენი ძალისხმევა დალოცვილი იქნება ღვთიური დადასტურებით.

და როდესაც ვფიქრობთ ჩვენს წვლილზე საზოგადოების ტრანსფორმაციაში - ძალადობის, სიღარიბისა და ტანჯვის სამყაროს მშვიდობის, კეთილდღეობისა და ჰარმონიის სამყაროდ გარდაქმნაზე - უნდა გავითვალისწინოთ როგორც მატერიალური, ასევე სულიერი პროგრესი. მატერიალური პროგრესი ყველა ადამიანისთვის ვერ იქნება მიღწეული, თუ ჩვენც არ მივაღწევთ სულიერ პროგრესს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ხელიხელჩაკიდებული იქნებიან, სამყაროს გაუმჯობესება მიიღწევა. არის კიდევ ერთი ციტატა, რომელიც მე დამახსოვრებული მაქვს: „მატერიალური ცივილიზაცია ჰგავს ლამპარს, ხოლო სულიერი ცივილიზაცია არის სინათლე ამ ლამპრისა. თუ მატერიალური და სულიერი ცივილიზაცია გაერთიანდება, მაშინ ჩვენ გვექნება სინათლე და ლამპარი ერთად და შედეგი იქნება სრულყოფილი“.

მსახურების გზაზე სვლით ჩვენ ვსწავლობთ ინდივიდების ჯგუფებთან მუშაობას, განსაკუთრებით ბავშვებთან და მოზარდებთან, ვეხმარებით მათ ცოდნის, უნარებისა და სულიერი თვისებების შეძენაში. ჩვენ ასევე ვსწავლობთ ყურადღების მიქცევას ჩვენი თემების ერთიანობაზე. ინდივიდებმა, ოჯახებმა და ორგანიზაციებმა, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ თემის პროგრესში, უნდა ითანამშრომლონ. მათ უნდა ჩამოაყალიბონ საერთო ხედვა და მიზანი და დატოვონ კონფლიქტის გზები.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობაში განვავითაროთ სხვებთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩვევები. ჩვენ უნდა ვიყოთ მეგობრები: თან ვახლდეთ ერთმანეთს ნებისმიერ საქმიანობაში, მივიღოთ ერთმანეთის წვლილი, წავახალისოთ და მხარი დავუჭიროთ ერთმანეთს, დავინახოთ

ერთმანეთის ძლიერი მხარეები, ვეძიოთ და მივცეთ ერთმანეთისთვის სასარგებლო რჩევები და ვიხალისოთ ერთმანეთის მიღწევებით. მსახურების გზაზე სიარულისას ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, ვიფიქროთ ჩვენს ქმედებებზე, გავმართოთ კონსულტაციები და ერთად ვისწავლოთ.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ბაჰაი თემმა მიაღწია წარმატებას მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში უნიკალური ტიპის სასწავლო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. ეს ინსტიტუტები, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, გვთავაზობენ კურსებს, რომლებიც აძლიერებს ჩვენს უნარებს თემის მსახურებაში. ამ კურსების შესწავლით ჩვენ ვიღებთ სულიერ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც საჭიროა მსახურების გზაზე ერთად წინსვლისთვის. რაც უფრო წინ მივდივართ მათი მეშვეობით, იზრდება ჩვენი უნარები, განვახორციელოთ უფრო რთული მსახურების აქტები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენთან ერთად მსახურობენ ისინი, ვინც ჩვენზე უფრო გამოცდილია და დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, ვმსახურობთ ნაკლები გამოცდილების მქონე მეგობრებთან ერთად. თავიდანვე, ჩვენ ყველანი ვართ პიროვნული და სოციალური ტრანსფორმაციის მთავარი გმირები, რომლებიც მოუთმენლად ვიღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და თემის მსახურებაზე.

„იყო მთავარი გმირი“ ნიშნავს გვქონდეს ნებისყოფა ვიმოქმედოთ გააზრებულად, დაჟინებული ვიყოთ ჩვენს ძალისხმევებში და ყოველ ნაბიჯზე ცოდნის მიღება და გამოყენება. მთავარი გმირი არ არის სარგებლის უბრალო პასიური მიმღები, არამედ პროგრესის აქტიური ხელშემწყობი. მთავარი გმირი რომ იყო, უნდა ისწავლო შემოქმედებითი და დისციპლინირებული ინიციატივის განხორციელება. ინსტიტუტის კურსები გვეხმარება გავაძლიეროთ ჩვენი უნარები, ვიყოთ თემური აღმშენებლობის პროცესის გმირები.

ჩვენ უნდა გამოვყოთ ერთი წუთი ზემოაღნიშნული აბზაცების იდეებზე დასაფიქრებლად. როგორც განყოფილების დასაწყისში აღინიშნა, ალეხანდრა უბრალოდ არ წარმოადგენდა იდეებს ერთმანეთის მიყოლებით, არამედ რწმუნდებოდა იმის შესახებ, რომ ბეატრიჩეს აქვს საკმარისი შესაძლებლობა იფიქროს მათზე და წვლილი შეიტანოს დისკუსიაში. ის, რაც შესაძლოა სურვილი გქონდეთ განიხილოთ - მას შემდეგ, რაც საშუალება გექნებათ განიხილოთ ყველა აბზაცი თქვენს ჯგუფში და ისწავლოთ იდეების კარგად გამოხატვა - არის თუ არა საუბარი განვითარებული იმ დონემდე, რომ ალეხანდრა დარწმუნებული იქნებოდა რამდენიმე სიტყვის გაზიარებაზე რუჰის ინსტიტუტის ზოგიერთი კურსის შესახებ და ბეატრიჩეს მოსაწვევად წიგნი 1-ის შესასწავლად. შეგიძლიათ ქვემოთ მოცემულ სივრცეში აღწეროთ თუ რას იტყოდით მის ადგილას რომ ყოფილიყავით? როგორ აღწერთ 1 და 2 წიგნებს და მათში მოცემულ მსახურების აქტებს? მოკლე მითითება მსახურების აქტებზე, რომლებიც შემდგომ წიგნებშია გამოყენებული - განსაკუთრებით ბავშვების სულიერი აღზრდის გაკვეთილების სწავლებისა და მოზარდთა ჯგუფის, როგორც მისი წამყვანის ხელმძღვანელობის შესახებ - უდავოდ დაეხმარებოდა ბეატრიჩეს იმის ხედვაში, თუ რა მსახურების გაწევა შეეძლო მას მომავალში. თქვენი ჯგუფის მასწავლებელს შეუძლია დაგეხმაროთ რამდენიმე წინადადების დაწერაში მსახურების ამ ორ აქტზე, მსგავსად იმისა, როგორც ალეხანდრამ შესაძლოა დაამატოს ბეატრიჩეს 1 წიგნის შესასწავლად მოწვევისას.

განყოფილება 11

ორი კვირა გადის მანამ, სანამ ალეხანდრა სანჩესების სახლში მომავალ ვიზიტზე გაემართება. ამ დროის განმავლობაში, ბეატრიჩეს შეეძლო მონაწილეობა მიეღო ინტენსიურ კამპანიაში და დაესრულებინა წიგნი 1-ის პირველი ორი ნაწილი. ის ახლა გადის მესამე ნაწილს ხუთ მეგობართან ერთად, რომლებიც კვირაში ორჯერ იკრიბებიან სამეზობლოში. ალეხანდრა თვლის, რომ მიზანშეწონილია ისაუბროს სანჩესების ოჯახთან ლოცვის თემაზე და ეკითხება ბეატრიჩეს, სურს თუ არა მას მისი დახმარება. თქვენ თავად შეისწავლეთ წიგნი 1-ის მეორე ნაწილი, ამიტომ არ არის საჭირო თქვენთვის ალეხანდრასა და ბეატრიჩეს მიერ ვიზიტის დროს დაფარული შინაარსის შეჯამება. იმ ნაწილის მიმოხილვის შემდეგ, თქვენ უნდა შეგეძლოთ იმ ძირითადი პუნქტების ჩამოთვლა, რომელთა განხილვასაც შეეცდებით ამ თემის ირგვლივ დისკუსიაში. ქვემოთ არის ადგილი, სადაც შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი იდეები.

განყოფილება 12

ალეხანდრას ვიზიტები სანჩესების ოჯახში კიდევ რამდენიმე კვირა გრძელდება, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა განიხილონ რამდენიმე თემა, რომლებიც ბუნებრივად მომდინარეობს ლოცვის მნიშვნელობის შესახებ მათი მსჯელობიდან - სულის სიცოცხლე, სულიერი თვისებების განვითარება, ღვთის კანონებისა და დადგენილებებისადმი მორჩილება და სიმტკიცე მის სიყვარულში. ერთხელ ისინი ასევე საუბრობენ ადმინისტრაციული წყობის ინსტიტუტებზე, განსაკუთრებით ადგილობრივ და ეროვნულ სასულიერო საკრებულოებზე. არ არის საჭიროება გავითვალისწინოთ შინაარსი, რომელიც განიხილება ყოველი შემდგომი ვიზიტის დროს. თუმცა, არის ორი კითხვა, რომელიც ხშირად ჩნდება მონაწილეთა შორის საუბრის სერიაში, მსგავსი ჩვენი წარმოდგენილი საუბრისა. პირველი დაკავშირებულია თემის მიერ გამართული შეხვედრების ხასიათთან და მეორე ფინანსურ რესურსებთან. ჩვენ განვიხილავთ შეხვედრების საკითხს, კონკრეტულად მე-19 დღის დღესასწაულს, ამ განყოფილებაში და განვიხილავთ ფინანსების საკითხს შემდეგში.

ასე რომ, შემდეგი პუნქტები შესაძლოა საფუძვლად წარუდგეს საუბარს მე-19 დღის დღესასწაულის თემაზე:

- ბაჰაი თემში იმართება შეხვედრები სხვადასხვა მიზნებისთვის - ლოცვისთვის, სწავლისთვის, განსაკუთრებული შემთხვევების აღსანიშნავად, თემის საქმეებზე კონსულტაციისთვის და საზოგადოებისთვის მსახურებისთვის, სამოქმედო გეგმების განსახილველად. ბაჰაულა იძლევა შემდეგ დაპირებას:

  „ვფიცავ ჩემს სიცოცხლეს და საქმეს ჩემსას! იმ სამყოფელის გარშემო, სადაც შევლენ მეგობრები ღვთისა და საიდანაც მათი ძახილი ხოტბას აღუვლენს და განადიდებს უფალს, წრეს შეკრავენ ჭეშმარიტ მორწმუნეთა სულები და ყველა მფარველი ანგელოზი.“[23]

- მეგობართა თავყრილობაზე ღვთის სიტყვის მოსმენა უზომო სიხარულის წყაროა და აძლიერებს ერთიანობის კავშირებს. ბაჰაულლა მოგვიწოდებს:

„ევალებათ მეგობრებს, რომელ მიწაზეც არ უნდა იყვნენ ისინი, შეიკრიბონ ერთად შეხვედრებზე, სადაც ისაუბრებენ გონივრულად, მჭერმეტყველებით და წაიკითხავენ ღმერთის ტაეპებს, რამეთუ ღმერთის სიტყვა სიყვარულის ცეცხლს დაანთებს და ააგიზგიზებს.“[24]

აბდულ-ბაჰა წერდა:

„მოაწყვეთ შეხვედრები, იკითხეთ და იგალობეთ ზეციური საგალობელი ისე, რომ ქალაქი ესე სინამდვილის ნათელმა გააბრწყინოს და ქვეყანა ესე სულიწმინდის ძალით ჭეშმარიტ სამოთხედ იქცეს, რამეთუ ეს არის ციკლი დიადი მეუფისა, ადამიანთა სამყაროს ერთობისა და სოლიდარობის მელოდიამაც მიაღწიოს ყურთ აღმოსავლეთსა და დასავლეთში.“[25]

- ბაჰაი შეხვედრების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მე-19 დღის დღესასწაულებს ენიჭება. ბაჰაი კალენდარი 19 თვეს მოიცავს, თითოეულ მათგანში 19 დღეა, და ყველა ადგილობრივ დონეზე, ბაჰაი იკრიბებიან ერთად თვეში ერთხელ ამ შეხვედრისთვის, როგორც ამას თავად ბაჰაულა მოუწოდებს:

  „ჭეშმარიტად, გევალებათ თქვენ თვეში ერთხელ დღესასწაულის მოწყობა, თუნდაც მხოლოდ წყლით შეძლოთ გამასპინძლება; რამეთუ ღმერთმა ინება შეაკავშიროს გულები როგორც მიწიერი, ისე ზეციური საშუალებებით.“[26]

- მეცხრამეტე დღის დღესასწაული სამი ნაწილისგან შედგება. პირველი – სულიერი ნაწილი, რომლის დროსაც იკითხება ლოცვები და ტაეპები სარწმუნოების წმინდა წერილებიდან. მეორე – ადმინისტრაციული ნაწილის განმავლობაში მეგობრები თათბირობენ თემის საქმეებზე, მესამე – ეს არის სოციალური ნაწილი.

- დღესასწაულის სულიერი ნაწილის მნიშვნელობაში აბდულ-ბაჰას შემდეგი სიტყვებიდან ვრწმუნდებით:

  „ჰოი ერთგულო მსახურნო უძველესი სილამაზისა! ყოველ ციკლსა და გამოცხადებაში დღესასწაული უყვარდათ და პატივს სცემდნენ და თვლიდნენ საქებარ ქმედებად ტრაპეზის მომზადებას მეუფის შეყვარებულთათვის. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა დღეს, ამ შეუდარებელი გამოცხადების ჟამს, ეპოქათა შორის ყველაზე გულუხვ საუკუნეში, როცა ეს დღესასწაული უმაღლეს მდგომარეობამდეა აყვანილი, რამეთუ ჭეშმარიტად ითვლება იგი იმ თავყრილობათა შორის, რომლებიც ღმერთის თაყვანისცემად და სადიდებლად იმართება. აქ იკითხება წმინდა ლექსები, ღვთიური გალობანი და ჭეშმარიტებანი და თრთის გული და მიიწევს ზეცად.“[27]

- ადმინისტრაციულ ნაწილში მეგობრები ისმენენ ანგარიშებს ბაჰაი თემის მოღვაწეობის შესახებ შორეულ თუ ახლო წარსულში, თათბირობენ სარწმუნოების საქმეებზე თავიანთ თემში, მსჯელობენ მის განვითარებაზე, ეცნობიან მსოფლიოს სამართლიანობის სახლიდან მიღებულ მითითებებს და განსახილველ წინადადებებს წარუდგენენ რწმენის ინსტიტუტებს. კონსულტაციები მეცხრამეტე დღის დღესასწაულზე უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი მეშვეობით თითოეული მორწმუნე ბაჰაის მსოფლიო თემის საქმიანობაში იღებს მონაწილეობას.

- რაც შეეხება დღესასწაულის სოცილაურ ნაწილს, ეს არის დრო მეგობრობისა და გამასპინძლებისა. შეიძლება ჟღერდეს მუსიკა, გაისმას სულის ამამაღლებელი გამოსვლები, წარმოდგენები გამართონ ბავშვებმა, მოკლედ გამოყენებული იქნას მართებულად შერჩეული ელემენტები კულტურისა, რომლებიც თავისი ღირსებებისა და მხიარულების გამო სიცოცხლეს მატებენ დღესასწაულის ამ ნაწილს.

- მეცხრამეტე დღის დღესასწაული სარწმუნოების ადმინისტრაციული წესრიგის უნიკალური შტრიხია. იგი აერთიანებს თემის ცხოვრების სულიერ ადმინისტრაციულ და სოციალურ ასპექტებს. მათგან თითოეულს თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს, რამდენადაც დღესასწაულის წარმატება სწორედ სამივე შემადგენელ ნაწილს შორის წონასწორობაზეა დამოკიდებული. ბაჰაულას მიდევრების მიმართ 1989 წლის აგვისტოში დაწერილ წარგზავნაში სამართლიანობის მსოფლიო სახლი ამბობს:

  „ბაჰაულას მსოფლიო წესრიგი საზოგადოების ყველა ერთეულს იპყრობს; იგი ერთ მთელად აქცევს ცხოვრების სულიერ, ადმინისტრაციულ და სოციალურ პროცესებს; ახალი ცივილიზაციის ასაშენებლად ერთმანეთს უკავშირებს ადამიანური თვითგამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს. მეცხრამეტე დღის დღესასწაული ყველა იმ ასპექტს მოიცავს, რომელსაც საზოგადოება ემყარება. ფუნქციონირებს სოფელში, დაბასა თუ ქალაქში, იგი წარმოადგენს ინსტიტუტს, რომლის წევრებსაც ბაჰას ხალხი შეადგენს. იგი მოწოდებულია ერთობის ხელშესაწყობად, წინსვლის უზრუნველსაყოფად და ბედნიერების დასამკვიდრებლად.“[28]

- ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა მეცხრამეტე დღის დღესასაწული, არ შეიძლება მოწყობილ იქნას ნაჩქარევად. ლოცვისა და მსჯელობის მეშვეობით თითოეულმა მორწმუნემ სულიერად უნდ მოამზადოს საკუთარი თავი დღესასწაულისათვის, მასში მონაწილეობა მიიღოს გულითა და გონებით, მიუხედავად იმისა, სულიერ ნაწილში კითხულობს თუ უბრალოდ ისმენს ზეპირად წარმოთქმულ ნაწყვეტებს, ანგარიშს წარადგენს, ხელმძღვანელობას იღებს თუ საკუთარ წინადადებებს სთავაზობს. მასპინძელია თუ უბრალოდ ტკბება სტუმარ-მასპინძლობით. ამავე წერილში სამართლიანობის მსოფლიო სახლი ამბობს:

  „მე-19 დღის დღესასწაულის მომზადების მნიშვნელოვანი ასპექტები ასევე მოიცავს აღნიშნული შემთხვევისთვის შესაფერისი ლოცვების მომზადებას, იმ ადამიანთა შერჩევას, რომლებიც კარგად კითხულობენ. ყოველივე ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ლოცვითი ნაწილი საზეიმო ატმოსფეროში მიმდინარეობდეს. პროგრამა კი ღირსეულად იქნას წარმოდგენილი და აღქმული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ვითარებას, რომელშიც დღესასწაული მიმდინარეობს, კერძოდ დახურულ შენობაში თუ ღია ცისქვეშ, საგრძნობლად ახდენს ზეგავლენას მიღებულ გამოცდილებას. სისუფთავე, პრაქტიკული თუ დეკორატიული თვალსაზრისით სივრცის სწორი გამოყენება – ყველაფერი ეს თამაშობს დიდ როლს. დღესაწაულის დროულად დაწყებაც კი მის კარგ მომზადებაზე მიუთითებს.

  მე-19 დღის დღსასწაულის წარმატება ყველაზე მეტად თითოეული პირის მომზადებასა და მონაწილეობაზეა დამოკიდებული. უსაყვარლესი მოძღვარი შემდეგ რჩევას გვთავაზობს: ‘უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭე მეცხრამეტე

დღის შეხვედრებს, რათა ამ დროს რჩეულთ უფლისა და მხევალთ ყოვლადმოწყალისა შეძლონ თავიანთი სახეების მიპყრობა სასუფევლისკენ, იგალობონ წმინდა საგალობლები, ღმერთს შეევედრონ დახმარებას, აღივსონ მხიარულებითა და ურთიერთისადმი სიყვარულით, ესწრაფონ სისპეტაკესა და სიწმინდეს, და ღმერთის მოშიშობით, უკუაგდონ ვნება და საკუთარი მეს სიყვარული. მაშინ ისინი შეძლებენ განუდგნენ ამ სტიქიურ სამყაროს და ჩაიძირონ სულის მგზნებარებაში."[29]

როგორც ყოველთვის ჯგუფში რამდენიმეჯერ წაიკითხეთ ზემოთმოყვანილი აზრები და იმსჯელეთ, რათა მათი საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ისწავლოთ. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები დაგეხმარებათ ჩასწვდეთ მე-19 დღის დღესასწაულის არსს:

1. ბაჰაულას დარწმუნებით, რა ახასიათებს ყოველ სახლს, სადაც მეგობრები ხოტბას აღუვლენენ და განადიდებენ უფალს? _____

   _____

2. ზემოთმოყვანილ მეორე ნაწყვეტში, ბაჰაულა გვეუბნება, რომ როდესაც ერთად ვიკრიბებით შეხვედრებზე, უნდა ვისაუბროთ _____, _____, და წავიკითხოთ _____; რამეთუ ღმერთის სიტყვა _____ და _____ .

3. ზემოთმოყვანილ მესამე ნაწყვეტში, აბდულ-ბაჰა რჩევას გვაძლევს მოვაწყოთ შეხვედრები, ვიკითხოთ და ვიგალობოთ ზეციური საგალობლები, რომ

   – ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შესაძლოა _____ .

   – ქალაქი, რომელზედაც ვიმყოფებით იქცეს _____ _____ .

4. რამდენ თვეს მოიცავს ბაჰაი კალენდარი? _____

5. რამდენი დღეა თითოეულ თვეში? _____

6. რა განსაკუთრებულ შეხვედრას აქვს ადგილი ბაჰაის შორის თვეში ერთხელ?

   _____

   _____

7. დაასახელეთ მეცხრამეტე დღის დღესასწაულის სამი შემადგენელი ნაწილი?

   _____

_____

_____

8. როგორია მეცხრამეტე დღის დღესასწაულის განყოფილებათა თანმიმდევრობა? _____

9. რა მიზანს ემსახურება დღესასწაულის სულიერი ნაწილი? _____

_____

_____

_____

_____

10. რა მიზანს ემსახურება დღესასწაულის ადმინისტრაციული ნაწილი?_____

_____

_____

_____

_____

11. რა მიზანს ემსახურება დღესასწაულის სოციალური ნაწილი? _____

_____

_____

_____

_____

12. ქვემოთმოყვანილი თემებიდან რომლის განხილვა იქნებოდა მიზანშეწონილი დღესასწაულის ადმინისტრაციულ ნაწილში?

_____ თემის წამოწყებების ფინანსური საჭიროებანი

_____ ფეხბურთის ეროვნული გუნდის ქულები

_____ როგორ გადაიჭრას ბაჰაი თემის ორ წევრს შორის არსებული უთანხმოება

_____ ბაჰაი ბავშვთა კლასების პროგრესი თემში

_____ თემის ერთ-ერთი წევრის მიერ კვირის დასაწყისში შესწავლილი წმინდა წერილების ნაწყვეტების მნიშვნელობის განხილვა

_____ მოზარდთა ჯგუფის პროგრამის აქტიურობა თემში

_____ ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი სამუშაო ადგილების შექმნა

_____ მხარდაჭერა, რომელსაც თემს შეუძლია გაუწიოს მოზარდთა ჯგუფებს, რომელთა მსახურების პროექტები გართულდა

_____ ვიზიტები ბავშვების და მოზარდების მშობლებთან ინსტიტუტის მიერ დაწინაურებულ საგანმანათლებლო პროგრამებში

_____ თემის ლოცვითი ხასიათის განმტკიცება

_____ ტელევიზიით გაშვებული გადაცემების განრიგი

_____ სასწავლო წრეებში მხიარული და დისციპლინირებული ატმოსფეროს შემუშავების შესახებ მიღებული ცოდნა

_____ დამდეგი წმინდა დღესასწაულის აღნიშვნა

_____ თემური აღმშენებლობის პროცესიდან გამომდინარე სოციალური მოქმედების ინიციატივები

13. ჯგუფთან ერთად იმსჯელეთ შეკითხვაზე: რატომ არის ასე მნიშვნელოვანი დღესასწაულის სამივე ნაწილში წონასწორობის დაცვა?

14. ახლა კი იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

   ა. როგორ მოემზადებით დღესასწაულისთვის, თუკი მას თქვენ მასპინძლობთ?

   ბ. როგორ მოემზადებით დღესასწაულისთვის, თუკი თქვენ უბრალოდ ესწრებით მას?

განყოფილება 13

მეორე კითხვა, რომელიც ხშირად ჩნდება რწმენის შესახებ საუბარში, არის ის, თუ როგორ აკმაყოფილებს ბაჰაი თემი თავის ფინანსურ საჭიროებებს. აქ მოცემულია რამდენიმე პუნქტი, რომელიც დაგეხმარებათ უპასუხოთ ასეთ შეკითხვებს:

- ინსტრუმენტი, რომელსაც ბაჰაი თემი იყენებს თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის ბაჰაი ფონდი. მას მართავენ რწმენის ინსტიტუტები სხვადასხვა დონეზე: ადგილობრივი, ეროვნული, კონტინენტური და საერთაშორისო. ბაჰაის მიაჩნიათ, რომ მათ თავად უნდა გაიღონ თავიანთი რწმენის ხელშეწყობის ძალისხმევების ხარჯები და, შესაბამისად, ფონდი იღებს შემოწირულობებს მხოლოდ თემის წევრებისგან.

- ფონდში შენატანი არის ნებაყოფლობითი აქტი. ის კონფიდენციალურია იმ გაგებით, რომ ეს არის საკითხი ინდივიდსა და რწმენის ინსტიტუტებს შორის; შემწირავთა ვინაობა და მოცემული თანხები არ სახელდება. არავითარი ზეწოლა არ ხდება თემის წევრებზე წვლილის შესატანად. ინსტიტუტები თემს მიმართავენ ზოგად მოწოდებებს, ახსენებენ ფონდის მნიშვნელობას და მიუთითებენ მის მოთხოვნებზე. არცთუ იშვიათად, თემი თავისთვის ადგენს წვლილის შენატანის ოდენობის მიზანს. მაგრამ თანხები არასოდეს არის ფიქსირებული რომელიმე პირებისთვის და ფული არ არის დაჟინებით მოთხოვნილი. თითოეულმა ინდივიდმა უნდა გადაწყვიტოს,

თუ რა ოდენობის წვლილი შეიტანოს, მის მიერ ამ საკითხის პრინციპების გაგების მიხედვით.

- ცივილიზაცია, რომლის აშენებასაც ვცდილობთ, აყვავებული იქნება, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად. სიმდიდრე მისაღებია მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ეს პატიოსანი შრომით უნდა შევიძინოთ. ის კაცობრიობის სასიკეთოდ უნდა დავხარჯოთ. და მთელი თემი უნდა ამაღლდეს; მიუღებელია, რომ რამდენიმე იყოს უკიდურესად მდიდარი, მაშინ როცა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მინიმუმ საჭიროებებს. ბაჰაულა გვეუბნება:

  "ადამიანთაგან ყველაზე წარჩინებული ისაა, ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობს და საკუთარ თავსა თუ ახლობლებზე ღვთის სიყვარულის გამო ზრუნავს, რომელიც არს მეუფე ყოველთა სამყაროთა."[30]

  ". . . კეთილი და მშვენიერი ნაყოფი უნდა გამოიღოთ, რათა თქვენთან ერთად სხვამაც ისარგებლოს. ამიტომ ყოველი ვალდებულია აირჩიოს რაიმე ხელობა ან რაიმე საქმიანობა. სწორედ ამაში მდგომარეობს სიმდიდრის არსი, გონიერნო!"[31]

  და აბდულ-ბაჰა გვიხსნის:

  "სიმდიდრე ყველაზე დასაფასებელია, იმ პირობით, რომ მთელი მოსახლეობა მდიდარია. თუმცა, თუ რამდენიმეს აქვს გადაჭარბებული სიმდიდრე, ხოლო დანარჩენები გაღატაკებულია, და ამ სიმდიდრიდან ნაყოფი ან სარგებელი არ მოდის, მაშინ ეს მხოლოდ დაბრკოლება და მძიმე ტვირთია მფლობელის წინაშე."[32]

- უსამართლობისა და უბედურებისგან თავისუფალი საზოგადოების ასაშენებლად, ჩვენ ყველა უნდა ვიყოთ გულუხვი და სულგრძელი. მაშინაც კი, თუ ჩვენი ფინანსური რესურსები მწირია, ჩვენ მაინც უნდა შევიტანოთ რაიმე წვლილი კაცობრიობის წინსვლაში, რადგან ნამდვილი კეთილდღეობა მხოლოდ გაცემით არის შესაძლებელი. კეთილშობილება ადამიანის სულის თვისებაა; მას არაფერი აქვს საერთო ჩვენს მატერიალურ გარემოებასთან. იდუმალ სიტყვებში ბაჰაულა ამბობს:

  "უხვად გაცემა და ხელგაშლილობა – ჩემი თვისებებია. ნეტარ არიან შემკულნი ჩემი ღირსებით."[33]

- ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სიმდიდრის ჭეშმარიტი წყარო, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, არის ღმერთი, ყოვლადუხვი. ის გვაძლევს არსებობის საშუალებას; ის გვაძლევს წინსვლის შესაძლებლობას. და როდესაც ჩვენ შევწირავთ ფონდს, ჩვენ ვხარჯავთ მის საქმეზე იმ ნაწილს, რაც მან მოგვცა. მაშ, ბაჰაისთვის ფონდისთვის გაცემა არ არის მხოლოდ კეთილშობილების საკითხი; ეს არის ასევე სულიერი ძღვენი და დიდი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. მფარველი გვირჩევს:

  "ჩვენ უნდა დავემსგავსოთ შადრევანს ან წყაროს, რომელიც გამუდმებით აცლის ყველაფერს, რაც აქვს და განუწყვეტლივ ივსება უხილავი წყაროდან. გამუდმებით გაწიროთ ჩვენი თანამემამულეების სასიკეთოდ,

დაუფრთხობელი სიღარიბის შიშით და დაყრდნობილი ყოველგვარი სიმდიდრისა და სიკეთის წყაროს ამოუწურავ გულუხვობაზე - ეს არის სწორი ცხოვრების საიდუმლო."[34]

თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, უფრო ღრმად განიხილოთ აქ მოცემული ზოგიერთი იდეა, ამ რიგთა შემდგომ კურსში, რომელიც ეხება მატერიალური საშუალებების საკითხს. ამ დროისთვის, როგორც ყოველთვის, მოგიწოდებთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული შინაარსი პუნქტად და გააკეთოთ შემდეგი სავარჯიშოები, რათა ისწავლოთ იდეების ბუნებრივად და მარტივად გამოხატვა:

1. ციტატების საფუძველზე შეავსეთ ცარიელი ადგილები ქვემოთ მოცემულ წინადადებებში.

   ა. ბაჰაულა გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა საკუთარი შრომით _____ საკუთარ თავსა თუ ახლობლებზე _____

   ბ. _____ და _____ ნაყოფი უნდა გამოვიღოთ, რათა თქვენთან ერთად სხვამაც _____.

   გ. ამიტომ ყოველი ვალდებულია _____ რაიმე _____ ან _____, სწორედ ამაში _____, _____

   დ. აბდულ-ბაჰა გვეუბნება, რომ სიმდიდრე _____, იმ პირობით, რომ _____ მდიდარია.

   ე. თუმცა, თუ _____ აქვს გადაჭარბებული _____, ხოლო _____, და ამ _____ ან _____ არ მოდის, მაშინ ეს მხოლოდ _____ წინაშე

   ვ. ბაჰაულა ამბობს, "უხვად _____ და _____ ჩემი თვისებებია; ნეტარ არიან _____ ჩემი _____."

   ზ. და მფარველი გვამხნევებს ჩვენ დავემსგავსოთ _____ ან _____ რომელიც გამუდმებით _____ რაც აქვს და განუწყვეტლივ _____

   თ. გამუდმებით _____ ჩვენი _____, დაუფრთხობელი _____ და დაყრდნობილი _____ - ეს არის სწორი ცხოვრების საიდუმლო.

2. ჩამოწერეთ იმ იდეების თანმიმდევრობა, რომლებიც მოცემული იყო ზემოთ მოყვანილ პრეზენტაციაში:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

განყოფილება 14

იმისათვის, რომ გავიგოთ საუბრის სახეები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს აქტიურობით აღსავსე სოფელში ან სამეზობლოში, ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებდით ალეხანდრას, ახალგაზრდა უნივერსიტეტის სტუდენტის ძალისხმევებს. ვიზიტების სერიის განმავლობაში, რომელიც რამდენიმე კვირას გაგრძელდა, მან განიხილა ბ-ნ და ქ-ნ სანჩესებთან რამდენიმე თემა, რომელიც, მისი იმედით, დაეხმარება მათ რწმენის შესახებ ცოდნის გაღრმავებაში და გააძლიერებს მათ ერთგულებას იმ სწავლებებისადმი, რომლებიც მათ მიიღეს. საბოლოოდ, ბეატრიჩეს, სანჩესების შვილიშვილის, სცენაზე შემოსვლამ საშუალება მოგვცა დაგვენახა სხვა სახის საუბარი, ამ შემთხვევაში ორ ახალგაზრდას შორის, რომელთაც სურთ გაეგოთ, თუ როგორ ემსახურათ თავიანთი თემებისთვის. მონათხრობის განხილვისას და სავარჯიშოების შესრულებისას, ჩვენ დავინახეთ, რომ შესაბამისი საგნების მზარდი ცოდნის გარდა, საჭიროა გარკვეული სულიერი თვისებები, დამოკიდებულებები და უნარები იმ საუბრების შესანარჩუნებლად, რომელსაც აქ განვიხილავთ.

ამ თავის მიმდინარე და მომდევნო განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის თემებს - ეს არის ის თემები, რომლებიც ზოგადად განიხილება ინსტიტუტის მიერ დაწინაურებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდების ოჯახებში ვიზიტების დროს. როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვებისთვის გაკვეთილების სწავლება და მოზარდთა ჯგუფის, როგორც წამყვანის ხელმძღვანელობა, არის მსახურების აქტები, რომლებიც განხილულია შემდგომ კურსებში, შესაბამისად 3 და 5 წიგნებში. თქვენ შესაძლოა გაცნობილი ხართ ან არა ამ შესაბამის ორ პროგრამასთან, იმისდა მიხედვით, რამდენად ადრეულ ასაკში მიიღეთ მათში მონაწილეობა.

მოდით გადავხედოთ, პირველ რიგში, შინაარსს, რომელიც ხშირად საფუძველს უქმნის მოზარდების ოჯახებთან მიმდინარე საუბარს. ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ გარკვეული დრო გავიდა ჩვენი ამბავის დასულების შემდეგ, და რომ ბეატრიჩე ახლა სწავლობს წიგნს 2. ალეხანდრა ეკითხება მეგობარს, ისურვებდა თუ არა მას თან ახლდეს, როდესაც ის ეწვევა რამდენიმე მოზარდის ოჯახებს, რომლებიც აპირებენ ჯგუფის შექმნას მისი დახმარებით. ის პირდაპირვე თანხმდება.

ალეხანდრა უხსნის ბეატრიჩეს, თუ რას წარმოიდგენს. „ჩვენ დავიწყებთ თითოეულ ვიზიტს," აცნობებს იგი მას, "გავაცნობთ მშობლებს პროგრამას, რომლითაც მათი ვაჟიშვილი ან ქალიშვილი დაინტერესდა გაწევრიანებით და აღვნიშნოთ, რომ ეს არის თემის აღმშენებლობის პროცესის ნაწილი, რომელიც წინ მიიწევს სამეზობლოში. შემდეგ ჩვენ მათთან ერთად განვიხილავთ პროგრამის ძირითად ცნებებსა და იდეებს. ეს იქნება პირველი ვიზიტის სერიიდან და ჩვენი იმედი გვაქ, რომ საუბრის დროთა განმავლობაში სვლისას, ოჯახი არა მხოლოდ აქტიურად დაუჭერს მხარს ჯგუფს სხვადასხვა გზით, არამედ გახდება მოზარდების სულიერი გაძლიერების ხელშემწყობი თემში."

ალეხანდრა და ბეატრიჩე განაგრძობენ რამდენიმე საკითხის განხილვას, რომელთა წამოწევასაც აპირებენ თითოეულ ოჯახთან ერთად. ისინი გადაწყვეტენ ჩამოწერონ ყველა იდეა, რომელიც მათ მიაჩნიათ მნიშვნელოვანად, რადგან იცოდნენ, რომ პირველ ვიზიტში მხოლოდ რამდენიმეს გააშუქებენ და დანარჩენს კი შემდგომ საუბრებში განიხილავენ. ქვემოთ მოცემულია მათ მიერ ჩამოთვლილი პუნქტები მოზარდების უნარების შესახებ:

- ინდივიდის ცხოვრებაში, 12-დან 15 წლამდე სამი წლის შუალედი გადამწყვეტი პერიოდია - ბავშვობიდან მომწიფებამდე გადასვლის ეტაპი.

- ამ ასაკის ახალგაზრდებს ხშირად „მოზარდებს" ვუწოდებთ. ისინი აღარ არიან ბავშვები, მაგრამ ჯერ არ მიუღწევიათ ახალგაზრდობის სისრულეს.

- სამწუხაროდ, არსებობს მოზარდების მცდარი, მაგრამ ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა, როგორც იმპულსური, მეამბოხე, საკუთარ თავში ჩაფლული და მუდმივი კრიზისისკენ მიდრეკილი. თუმცა ჩვენ მათ სხვა კუთხით ვუყურებთ. მართალია, ცხოვრების ამ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ჩვენ ყველანი განვიცდით სწრაფ ფიზიკურ, ემოციურ და ფსიქიკურ ცვლილებებს. და ისიც მართალია, რომ შედეგად, ჩვენ შესაძლოა გამოვავლინოთ გარკვეული მეამბოხეობა. მაგრამ, სინამდვილეში, ეს არის დიდი პოტენციალების და დიდი დაპირების პერიოდი.

- თვით ჩვენ ვიყავით მოზარდები არც ისე დიდი ხნის წინ და გვახსოვს, თუ როგორ იმოქმედა ჩვენზე ამ ცვლილებებმა. ხან გაბედულები ვიყავით და ხან მორიდებულნი. ხან საკმაოდ კომუნიკაბელური ვიყავით, ხან კი ძალიან მორცხვები. ხშირად გამოვთქვამდით მარტო დარჩენის სურვილს, თან ყურადღების მიქცევის იმედით. გვინდოდა გაგვეგო, რაში ვიყავით კარგები და რა ნიჭი და უნარები გვქონდა. და ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ გვიყურებდნენ სხვები და რას ფიქრობდნენ ისინი ჩვენს იდეებზე.

- მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ასეთი ქცევა მხოლოდ დროებითია. ადამიანის ცხოვრებაში სწორედ ამ წლებში ვითარდება გონების გარკვეული ძალები სწრაფად. ჩვენ ვიწყებთ პასუხების ძიებას არსებობის ფუნდამენტურ კითხვებზე. ჩვენ ვაანალიზებთ იმას, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და კითხვის ქვეშ ვაყენებთ იმას, რაც გვასწავლეს. და ჩვენ აღარ გაგვაჩნია სურვილი ავტომატურად მივყვეთ იმას, რასაც უფროსები გვეუბნებიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვხედავთ წინააღმდეგობებს მათ სიტყვებსა და ქმედებებს შორის.

- თუ ახალგაზრდებს დაეხმარებიან თავიანთი წარმოშობილი ძალების ნაყოფიერად გამოყენებაში, აუცილებელია, თავი ავარიდოთ მათ, როგორც ბავშვებად მოპყრობას. აი, როგორ აღწერს აბდულ-ბაჰა ამ პერიოდს:

  "გარკვეული დროის შემდეგ ის შედის ახალგაზრდობის პერიოდში, როდესაც მისი ყოფილი გარემოებები და საჭიროებები ჩანაცვლებულია ახალი მოთხოვნებით, შესაფერისი მისი დონის წინსვლისთვის. მისი დაკვირვების უნარები ფართოვდება და ღრმავდება; მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები გაწაფული და გაღვიძებულია; ბავშვობის შეზღუდვები და გარემო ვეღარ ზღუდავს მის ენერგიებს და მიღწევებს."[35]

- სამართლიანობის მსოფლიო სახლი, ბაჰაი რწმენის მმართველი ორგანო, ამბობს ამას იმ მიდგომის შესახებ, რომელიც ჩვენ მივიღეთ მოზარდებთან მუშაობისას:

  "მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ტენდენციები ამ ასაკობრივ ჯგუფს გამოსახავენ როგორც პრობლემატურს, დაკარგულთ მშფოთვარე ფიზიკური და ემოციური კრუნჩხვების ცვლილებების დროს, უთანაგრძნობო და საკუთარ „მე"-ში ჩაძირულთ, ბაჰაი თემი - მის მიერ გამოყენებული ენით და მიდგომებით - გადამწყვეტად მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით, მოზარდებში ნაცვლად ალტრუიზმის, სამართლიანობის მწვავე გრძნობის, სამყაროს შესწავლის სურვილის და უკეთესი სამყაროს მშენებლობაში წვლილის შეტანის სურვილის ხედვით."[36]

ალეხანდრა და ბეატრიჩე შემდეგ ყურადღებას ამახვილებენ სულიერი გაძლიერების პროგრამას და ცდილობენ ამოიცნონ მისი ზოგიერთი მახასიათებელი:

- 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდებს სურთ მიეკუთვნებოდნენ მეგობრების ჯგუფს, რომელთანაც მათ შეუძლიათ თავიანთი აზრების გაზიარება, პროექტებზე მუშაობა, სპორტი და ა.შ. ამ მიზეზით, პროგრამა აგებულია „მოზარდთა ჯგუფის" კონცეფციის გარშემო. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს „წამყვანი", ხშირად უფროსი ახალგაზრდა, რომელიც, როგორც წევრების ნამდვილი მეგობარი, ეხმარება მათ უნარების განვითარებაში.

- ჯგუფები რეგულარულად იკრიბებიან. მათ შეხვედრებზე მოზარდები სწავლობენ კონცეფციების და იდეების გამოხატვას ცენზურის ან დაცინვის შიშის გარეშე. მათ მოუწოდებენ მოუსმინონ, ისაუბრონ, დაფიქრდნენ, გააანალიზონ, მიიღონ გადაწყვეტილებები და იმოქმედონ მათზე.

- ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროს, როდესაც უამრავი უარყოფითი ძალა ახდენს გავლენას მოზარდების აზროვნებასა და ქცევაზე. წამყვანები ეხმარებიან მათ ამ ძალებთან ბრძოლაში - არა მხოლოდ იმისთვის, რომ დაიცვან თავი საზოგადოების მორალური გახრწნისაგან, არამედ იმუშაონ მსოფლიოს გასაუმჯობესებლად.

- პროგრამა მიზნად ისახავს ადამიანის სულის თანდაყოლილი ძალების აღზრდას, ძალებს, რომლებიც ადრეული სიყმაწვილის პერიოდში უფრო და უფრო დიდ ხარისხში იწყებს გამოვლენას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზროვნების და გამოხატვის ძალა. ახალგაზრდებმა უნდა განავითარონ ენა, რომელიც საჭიროა როგორც სამყაროს შესახებ ღრმა იდეების გამოსახატავად, ასევე იმის მკაფიოდ ჩამოსაყალიბებლად, თუ როგორ უნდათ ამ ცვლილების დანახვა.

- მოზარდები მზად არიან იმსჯელონ მიზანმიმართული ცხოვრებისათვის ფუნდამენტური ცნებების მნიშვნელობაზე. ბედნიერება, იმედი და სრულყოფილება რამდენიმე მაგალითია. სამწუხაროდ, ადამიანები ამ იდეებზე ზედაპირულად საუბრობენ. ამგვარი ცნებების ღრმად გააზრება, იმის გაგება, თუ როგორ პოულობენ ისინი გამოხატულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესაძლოა დაეხმაროს ახალგაზრდა გონებას ჯანსაღი მორალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და გაუმკლავდეს საზოგადოების ნეგატიურ ძალებს.

- ცნებების გაგება აუცილებელია ინტელექტუალური განვითარებისთვის. მოზარდები ხანდახან შესაძლოა წააწყდნენ სირთულეებს სკოლაში, რადგან მათგან მოელიან ბევრი ინფორმაციის შესწავლას სხვადასხვა საკითხზე, საფუძვლიანი ცნებების გასაგებად საკმარისი დახმარების გარეშე. პროგრამა მოტივირებს მათ ღრმად იფიქრონ იდეებზე - მორალურ, მათემატიკური, სამეცნიერო და ა.შ. - და ეს კი თავისთავად აუმჯობესებს მათ სწავლის უნარიანობას სკოლაში.

- მოზარდებს აქვთ საგანთა გაგების დიდი სურვილი. მათ სურთ გაიგონ მან გარშემო მყოფი მოვლენების მიზეზები. წარმატების მისაღწევად მათ უნდა შეეძლოთ ხედვა არა მხოლოდ ფიზიკური თვალებით, არამედ სულის თვალითაც. ამრიგად, პროგრამის მნიშვნელოვანი მიზანია სულიერი აღქმის გაძლიერება: სულიერი ძალების ამოცნობისა და სულიერი პრინციპების იდენტიფიცირების უნარი შექმნილ სიტუაციებში.

- პროგრამა აღწევს თავის სხვადასხვა მიზნებს - ზნეობის, სულიერი აღქმის და გამოხატვის უნარის განვითარებას - ტექსტების სერიის დახმარებით. ტექსტები შედგება მარტივი ისტორიებისგან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდების ცხოვრების შესახებ. გარდა ამ ტექსტების ერთობლივი შესწავლისა, მათი შინაარსის განხილვისა და საჭირო სავარჯიშოების შესრულებისა, მოზარდები მონაწილეობენ სპორტში და სწავლობენ ხელოვნებასა და ხელოსნობას.

- წამყვანების დახმარებით ჯგუფები ასევე შეიმუშავებენ და ახორციელებენ მსახურების პროექტების სერიას, რაც პროგრამის ძირითადი კომპონენტია. ამ პროექტების მეშვეობით მოზარდები სწავლობენ თემისა და მის

საჭიროებებზე ფიქრს, კონსულტაციებს და თანამშრომლობას ერთმანეთთან და თემის სხვა წევრებთან ერთად.

- ტექსტებში ასახული საგნები მრავალფეროვანია; თითოეული მათგანი ყურადღებას ამახვილებს მოზარდების სულიერი გაძლიერების აუცილებელ თემაზე. პირველი ტექსტი, მაგალითად, განიხილავს „დადასტურების“ თემას - რომ ღმერთი ადასტურებს ჩვენს ძალისხმევას კეთილშობილური მიზნების მისაღწევად. კიდევ ერთი ტექსტი ეხება „იმედს“ - როგორ უნდა შევხედოთ მომავალს იმედის გრძნობით ყველაზე მძიმე დროსაც კი. სხვა ტექსტი აანალიზებს "სრულყოფილების" კონცეფციას. "სიხარული" არის ერთი მოთხრობის თემა, ხოლო "სიტყვის ძალა" სხვაში მსჯელობის საგანია. იმ ტექსტებს შორის, რომლებიც ეხება მათემატიკურ ცნებებს, ერთი იკვლევს მოწესრიგებული გონების ჩვევებს. მეცნიერების სფეროში არის ტექსტი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ჯანმრთელობაზე - ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ ზრუნვაზე. და არის კიდევ ათეული ან მეტი, რომლებიც მოზარდები სამი წლის განმავლობაში სწავლობენ.

ალეხანდრა და ბეატრიჩე გეგმავენ თან წაიღონ რამდენიმე ტექსტი, იმ შემთხვევაში თუ მშობლებს მოუნდებათ მათი გადახედვა. თუ კარგად არ იცით ტექსტები, შესაძლოა გამოგადგეთ გარკვეული დროის გამოყოფა და რაც შეიძლება მეტი მოთხრობის წაკითხვა — ეს საშუალებას მოგცემთ უკეთ თვალი ადევნოთ თემში მიმდინარე მრავალფეროვან საუბრებს. იმავდროულად, მოგიწოდებთ, სრულად განიხილოთ თქვენი სასწავლო ჯგუფის სხვა მონაწილეებთან ერთად ზემოთ წარმოდგენილი იდეები, რომლებიც უფრო ღრმად არის განხილული მე-5 წიგნში. თუ ამ წიგნის შესწავლის შემდეგ გადაწყვეტთ იმსახუროთ როგორც მოზარდთა ჯგუფის წამყვანი, თქვენ სისტემატურად მოინახულებთ მისი წევრების ოჯახებს და მათთან ერთად შეისწავლით ამ და ბევრ მსგავს იდეას. მაგრამ ახლაც, ბეატრიჩეს მსგავსად, შესაძლოა გსურდეთ, რომ გამოცდილების მქონე ადამიანს ახლდეთ რამდენიმე ვიზიტზე თქვენი თემის მოზარდების ოჯახებში.

განყოფილება 15

მეორე დღეს ალეხანდრა და ბეატრიჩე სტუმრობენ სამი მოზარდის სახლებს, რომლებიც შეუერთდებიან ახალ ჯგუფს, რომელიც იქმნება სამეზობლოში. ბეატრიჩე სიამოვნებით უყურებს იმ ენთუზიაზმს, რომლითაც მშობლები ერთვებიან საუბარში სულიერი გაძლიერების პროგრამაზე. შუადღის ბოლოს, იგი დარწმუნებულია, რომ სურვილი აქვს დაეხმაროს ალეხანდრას მოზარდთა ჯგუფში და ისწავლოს თავად ახალი ჯგუფის წამყვანად მსახურება, იმედია წლის განმავლობაში. ის ხვდება, რა თქმა უნდა, რომ ამავდროულად რამდენიმე ინსტიტუტის წიგნი უნდა დაასრულოს. მაგრამ მას გადაწყვეტილი აქვს ისწავლოს იმავე სტაბილური ტემპით, რამაც ის ასე შორს მიიყვანა.

ასე რომ, ალეხანდრას მუდმივი დახმარებითა და წახალისებით, ბეატრიჩე წინ მიიწევს მსახურების გზაზე. მოდით ისევ გავაგრძელოთ მისი ამბავი, რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ის ასრულებს მე-3 წიგნის სწავლას. მისი სასწავლო წრის მასწავლებელმა სთხოვა მარიბელს, ბავშვთა კლასის მასწავლებელს, დაეპატიჟებინა ბეატრიჩე და მისი თანამონაწილეები მასთან ერთად, მონაცვლეობით, 1 საფეხურის ახლად შექმნილ კლასში ახალგაზრდების მშობლებთან ვიზიტებზე. ბეატრიჩე

გრძნობს, რომ მან ბევრი რამ ისწავლა მე-3 წიგნის შესწავლიდან. და მან იცის ალეხანდრასგან, რომელმაც ეს რამდენჯერმე ახსენა, რომ იდეები, რომლებიც მან მოიპოვა წიგნიდან, განამტკიცებს მის უნარს, იმსახუროს წამყვანის როლში.

როდესაც ისინი ერთად იკრიბებიან, მარიბელი ეუბნება ბეატრიჩეს, რომ ისინი ემას დედას ეწვევიან. "ის არის მომხიბლავი პატარა გოგონა, რომელსაც უყვარს სწავლა", - გვიზიარებს მარიბელი. „მე ერთხელ უკვე ვესტუმრე მის მშობლებს და ავუხსენი ბაჰაი ბავშვთა კლასის არსი. ისინი სიამოვნებით აძლევდნენ ემას მონაწილეობის უფლებას. მისმა დედამ გამოხატა ინტერესი, გაეგო მეტი ამ კლასის შესახებ, მე კი დავპირდი, რომ დავბრუნდებოდი და ვისაუბრებდი იმ საგანმანათლებლო იდეებზე, რომლებიც ემყარება იმ მასალას, რომელსაც ჩვენ ვასწავლით. მე ჩემთვის რამდენიმე ჩანაწერიც კი გავიკეთე. თუ გინდათ, ჩვენ შეგვიძლია ერთად გადავხედოთ და ვისაუბროთ მათზე“. ბეატრიჩე თანხმდება. აქ არის ჩანაწერები, რომლებსაც ისინი განიხილავენ:

- პირველ რიგში, ქალბატონ მარტინესს ვეტყვი, რა მოხარული ვარ, რომ ემა მყავს კლასში და აღვნიშნავ მის რამდენიმე შესანიშნავ თვისებას.

- როგორც ჩანს, უმჯობესია მასთან ერთად დისკუსიის გამართვა ბაჰაულას წერილებიდან ამ ციტატის წაკითხვით:

  “ჩათვალეთ კაცი ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტით მდიდარ საბადოდ; მის საგანძურს მხოლოდ განათლება თუ გამოამზეურებს და კაცობრიობას მისით სარგებლობის საშუალებას მისცემს.”[37]

- შემდეგ შემიძლია გავაზიარო რამდენიმე აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი გავლენა მოახდინა ამ ნაწყვეტმა ჩემზე, როგორც მასწავლებელზე. გული სიხარულით მევსება, როცა კლასში ბავშვებს გადავცქერი და ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტით მდიდარ საბადოდ მივიჩნევ. თითოეულ მათგანს აქვს ზეციური თვისებების გამოვლენის პოტენციალი. თითოეულ მათგანს აქვს ნიჭი, რომლის აღმოჩენა და განვითარება შესაძლებელია. თითოეულ მათგანს შეუძლია გაიზარდოს და გახდეს საზოგადოების ღირებული წევრი და წვლილი შეიტანოს მსოფლიოს გაუმჯობესებაში.

- შემდეგ, ალბათ, რამდენიმე მაგალითი უნდა მოვიყვანო იმ ძვირფასი თვალ-მარგალიტების შესახებ, რომელთა გამოვლენასაც განათლება ყველა ბავშვში უნდა ცდილობდეს. მე შემიძლია აღვნიშნო გონების ზოგიერთი ძალა, მაგალითად, ბუნების კანონების აღმოჩენა, ლამაზი ხელოვნების ნიმუშების შექმნა და კეთილშობილური აზრების გამოხატვა. ბავშვებს შეუძლიათ დაიწყონ ყველა ამ ძალის განვითარება, მე აგიხსნით, როდესაც ისინი მიიღებენ სათანადო განათლებას. მაგრამ, ეს რომ მოხდეს, მათ უნდა შეიძინონ გარკვეული თვისებები ადრეულ ასაკში. მაგალითად, მათ უნდა ისწავლონ ყურადღების მიქცევა, საჭიროების შემთხვევაში შრომისმოყვარეობა და ფოკუსირება იმაზე, რასაც აკეთებენ. ისინი უნდა გაიზარდონ ინდივიდებად, რომლებიც ზრუნავენ სხვების კეთილდღეობაზე და სურთ ემსახურონ თავიანთ თემებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდობაში ყურადღება დაეთმოს მათი ხასიათის განვითარებას.

- ეს, მაშ, შესაფერისი მომენტი იქნება ვთხოვოთ ქალბატონ მარტინესს, გაგვიზიაროს რამდენიმე იდეა იმის შესახებ, თუ როგორი ადამიანი უნდა რომ იყოს მისი ქალიშვილი. რა არის ზოგიერთი ადამიანის თვისება, რომელიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია ემასთვის?

- მის მიერ ნახსენებ თვისებებს შორის, ზოგიერთი, რა თქმა უნდა, სულიერი თვისებების კატეგორიაში მოხვდება, რასაც მომდევნო საგანი შემოგთავაზებთ. არსებობს გარკვეული თვისებები, რომლებიც ინდივიდს უნდა ჰქონდეს, რაც ფუნდამენტურია ადამიანის არსებობისთვის. ისინი ეკუთვნის ადამიანის სულს. ჩვენ განვავითარებთ მათ, როდესაც ვასუფთავებთ ჩვენი გულის სარკეს, რათა მან შეძლოს ღმერთის თვისებების არეკვლა. მათ ჩვენ ვუწოდებთ სულიერ თვისებებს და გაკვეთილები, რომლებსაც ვასწავლით ჩვენს კლასებში 1 საფეხურისთვის, ძირითადად ამ თვისებებზეა ფოკუსირებული.

- ვფიქრობ, რომ უბრალოდ გავაგრძელებ და ჩამოვთვლი რამდენიმე სულიერ თვისებას, რომლებიც განხილულია მე-3 წიგნის 1 საფეხურის გაკვეთილებზე და გავუზიარებ მას შესაბამის ციტატებს. მე ავუხსნი, რომ ემა დაიმახსოვრებს ამ ციტატებს და რომ მას შეუძლია სთხოვოს თავის ქალიშვილს წაეკითხა ისინი მისთვის, ისევე როგორც ლოცვები, რომლებსაც ის ისწავლის:

  – სიყვარული

    "მეგობარო! გულის ბაღში მხოლოდ სიყვარულის ვარდი დარგე . . ."[38]

  – სამართლიანობა:

    „მიჰყევით სამართლიანობის გზას, რამეთუ ის არის, ჭეშმარიტად, გზა პირდაპირი."[39]

  – სიმართლე:

    "სიმართლე არის საფუძველი ყველა ადამიანური სათნოებისა."[40]

  – სიხარული:

    "ძეო ადამიანისა! აღავსე გული შენი სიხარულით, რათა ღირსი გახდე ჩემი ხილვისა და ჩემი სილამაზე აირეკლო."[41]

მარიბელი და ბეატრიჩე გადაწყვეტენ, რომ ზემოხსენებული იდეები საკმარისია ერთი ვიზიტისთვის. თქვენ მალე გადახვალთ მე-3 წიგნის შესწავლაზე და გექნებათ შესაძლებლობა იმსჯელოთ რამდენიმე პრინციპზე, რომლებიც აყალიბებს რუჰი ინსტიტუტის ექვსწლიან პროგრამას ბავშვების სულიერი განათლებისთვის. თუ მანამდე გაგიჩნდებათ შემთხვევა, რომ რამდენიმე მშობელს ეწვიოთ ბავშვთა კლასის მასწავლებელთან ერთად, აქ ჩამოყალიბებული იდეები დაგეხმარებათ ამ წამოწყებაში, და თქვენ ასევე უნდა განიხილოთ ისინი ახლა პუნქტებად თქვენს სასწავლო ჯგუფში.

განყოფილება 16

ადრე ჩვენ წავიკითხეთ აბდულ-ბაჰას შემდეგი სიტყვები: „რაც უფრო ძლიერი იქნება ადამიანთა შორის თანამეგობრობისა და სოლიდარობის კავშირები, მით უფრო დიდი იქნება შემოქმედებითისა და აღსრულების ძალა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში“. სამართლიანობის მსოფლიო სახლი გვეუბნება, რომ სახლებში სტუმრობისას და ჩვენთან მოწვევისას, ჩვენ „ვამყარებთ სულიერ ნათესაურ კავშირებს, რომლებიც ხელს უწყობს თემური გრძნობის აღქმას“. ჩვენ არ უნდა შევამციროთ ამ პრაქტიკის ზეგავლენა ჩვენი მზარდი თემის კულტურაზე.

წინა განყოფილებებში ჩვენ განვიხილეთ საუბრის რამდენიმე განსხვავებული სახეობა, რომელიც შეიძლება განვითარდეს ერთმანეთის სახლებში ვიზიტების დროს. ყველა ჩვენგანი, მსახურების გზაზე სვლისას, მონაწილეობას იღებს გაფართოებად საუბარში ჩვენს სოფელში, ქალაქში ან სამეზობლოში ბაჰაულას სწავლებების გამოყენების შესახებ ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცხოვრებაში. ზოგჯერ ეს ვლინდება ფორმალური ვიზიტების სერიაში, რომლებიც ორგანიზებულნი არიან, რათა მზარდმა რიცხვმა გააღრმავოს ცოდნა ამ სწავლებების შესახებ. არაერთგზის განხილვის საგანი იქნება ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამები, მათი მიზნები და შინაარსი. თემური აღმშენებლობის პროცესში ჩართვის მოწვევები გავრცელდება უფრო და უფრო მეტ მეზობელზე და მეგობარზე. მაშინ, როცა შესცქერით მომავალს, და მსახურების გზას, რომელიც თქვენს წინ არის გადაჭიმული, ყველა ძალისხმევა უნდა მიაგოთ იმისათვის, რომ კარგად ისწავლოთ ამ თავში წარმოდგენილი შინაარსი, მიიღოთ გამოცდილება თითოეულ თემაზე საუბრისას და, რა თქმა უნდა, გააგრძელოთ თქვენი ცოდნის გაღრმავება ბაჰაულას სწავლებების შესახებ. მაშასადამე, თქვენს ხელთ იქნება უსასრულო სიხარული ღვთის სიტყვის სხვებისადმი გაზიარებით.

ბიბლიოგრაფია

1. Bahá'u'lláh, *The Hidden Words* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2003, 2012 printing), Arabic no. 4, p. 4.

2. Bahá'u'lláh, in *Bahá'í Prayers: A Selection of Prayers Revealed by Bahá'u'lláh, the Báb, and 'Abdu'l-Bahá* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2002, 2017 printing), p. 4.

3. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1983, 2017 printing), IV, par. 1, p. 5.

4. Ibid., V, par. 2, pp. 6–7.

5. 'Abdu'l-Bahá, in *Bahá'í Prayers*, p. 81.

6. Ibid., p. 111.

7. Ibid.

8. From a talk given on 16 August 1912, published in *The Promulgation of Universal Peace: Talks Delivered by 'Abdu'l-Bahá during His Visit to the United States and Canada in 1912* (Wilmette: Bahá'í Publishing, 2012), par. 23, p. 364.

9. 'Abdu'l-Bahá, in *Bahá'í Prayers*, p. 130.

10. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh* , XLV, par. 1, pp. 111–12.

11. 'Abdu'l-Bahá, cited by Shoghi Effendi, *The World Order of Bahá'u'lláh: Selected Letters* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1991, 2012 printing), p. 139.

12. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, V, par. 5, p. 8.

13. From a talk given by 'Abdu'l-Bahá on 5 May 1912, published in *The Promulgation of Universal Peace*, par. 4, p. 128.

14. From a talk given on 21 October 1911, published in *Paris Talks: Addresses Given by 'Abdu'l-Bahá in 1911* (Wilmette: Bahá'í Publishing, 2006, 2016 printing), no. 6.7–8, p. 22.

15. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXLVI, par. 1, p. 357.

16. From a talk given by 'Abdu'l-Bahá on 5 May 1912, published in *The Promulgation of Universal Peace*, par. 4, p. 128.

17. *The Hidden Words*, Persian no. 44, p. 37.

18. Ibid., Persian no. 66, p. 45.

19. From a Tablet of 'Abdu'l-Bahá. (authorized English translation)

20. From a talk given by ‘Abdu’l-Bahá on 25 September 1912, published in *The Promulgation of Universal Peace*, par. 2, pp. 478–79.

21. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2010, 2015 printing), no. 43.1, p. 125.

22. Ibid., no. 207.3, p. 360.

23. Bahá’u’lláh, in *Bahá’í Meetings: Extracts from the Writings of Bahá’u’lláh, ‘Abdu’l-Bahá, and Shoghi Effendi*, compiled by Research Department of the Universal House of Justice (Wilmette: Bahá’í Publishing Trust, 1976, 1980 printing), p. 3.

24. Ibid.

25. *Tablets of Abdul-Baha Abbas* (New York: Bahá’í Publishing Committee, 1916, 1930 printing), vol. 3, p. 631. (authorized English translation)

26. Bahá’u’lláh, in *The Kitáb-i-Aqdas: The Most Holy Book* (Wilmette: Bahá’í Publishing Trust, 1993, 2013 printing), par. 57, p. 41.

27. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá*, no. 48.1, p. 130.

28. From a letter dated 27 August 1989, published in *Messages from the Universal House of Justice, 1986–2001: The Fourth Epoch of the Formative Age* (Wilmette: Bahá’í Publishing Trust, 2010), no. 69.2, pp. 132–33.

29. Ibid., no. 69.9–10, p. 135.

30. *The Hidden Words*, Persian no. 82, p. 51.

31. Ibid., Persian no. 80, p. 51.

32. ‘Abdu’l-Bahá, *The Secret of Divine Civilization* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2007, 2016 printing), par. 46, p. 33.

33. *The Hidden Words*, Persian no. 49, p. 39.

34. Shoghi Effendi, cited in *Bahá’í News*, no. 13 (September 1926), p. 1.

35. From a talk given by ‘Abdu’l-Bahá on 17 November 1912, published in *The Promulgation of Universal Peace*, par. 3, p. 617.

36. From a message dated 21 April 2010, published in *Framework for Action: Selected Messages of the Universal House of Justice and Supplementary Material, 2006–2016* (West Palm Beach: Palabra Publications, 2017), no. 14.16, p. 82.

37. *Gleanings from the Writings of Bahá’u’lláh*, CXXII, par. 1, p. 294.

38. *The Hidden Words*, Persian no. 3, p. 23.

39. *Gleanings from the Writings of Bahá'u'lláh*, CXVIII, par. 1, p. 283.

40. 'Abdu'l-Bahá, cited by Shoghi Effendi, *The Advent of Divine Justice* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2006, 2018 printing), par. 40, p. 39.

41. *The Hidden Words*, Arabic no. 36, p. 12.